

საქართველო: დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) – წინსვლის ანგარიში (2014-2015)

ლაშა გოგიძე, დამოუკიდებელი მკვლევარი

სარჩევი

რეზიუმე: საქართველო.....	3
I. ეროვნული მონაწილეობა OGP-ში.....	20
II. სამოქმედო გეგმის შემუშავება.....	25
III. სამოქმედო გეგმის შესრულება.....	32
IV. სამოქმედო გეგმის შინაარსის ანალიზი.....	33
დაჯგუფებული ვალდებულებები.....	39
ჯგუფი 1: საჯარო სერვისები.....	39
ჯგუფი 2: ღია მონაცემები.....	48
ჯგუფი 3: მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები.....	53
ჯგუფი 4: ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები.....	60
ჯგუფი 5: საჯარო სამსახურის მართვის ელექტრონული სისტემები.....	68
ჯგუფი 6: არქივების გამჭვირვალობა.....	73
ჯგუფი 7: ტექნოლოგიების მეშვეობით უსაფრთხო გარემოს შექმნა.....	79
ცალკე მდგომი ვალდებულებები.....	85
10: ინფორმაციის თავისუფლების აქტის პროექტის შემუშავება.....	85
11: ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი.....	89
13: საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალობა.....	93
14: საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა.....	97
16: სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობა.....	100
17: ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება.....	103
18: საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.....	106
19: საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობა.....	110
20: შესყიდვების ელექტრონული სისტემა.....	113
V. პროცესი: თვითშეფასება.....	118

VI. ქვეყნის კონტექსტი.....	121
VII. ზოგადი რეკომენდაციები	127
VIII. მეთოდოლოგია და წყაროები.....	132
IX. დასაშვებობის მოთხოვნები	135

რეზიუმე: საქართველო

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) – წინსვლის ანგარიში (2014-2015)

საქართველომ ღია მონაცემების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და გადაწყვეტილების მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შექმნაში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ვალდებულებების ორი მესამედი საჯარო მომსახურების განვსასა და შიდა სამთავრობო სისტემების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული, ღია მმართველობის ძირითადი ღირებულებების (გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა) განხორციელების კუთხით მთავრობას უფრო მეტის გაცვთება შეეძლო.

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის ნებაყოფლობითი საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია, მთავრობები მოქალაქეებისადმი უფრო ანგარიშვალდებული იყვნენ გამჭვირვალობის გაზრდით, მოქალაქეთა შესაძლებლობების გაძლიერებით, კორუფციასთან ბრძოლით და მმართველობის რეფორმისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. საქართველო ამ ინიციატივას 2011 წელს შეუერთდა. დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) აღნიშნული ინიციატივის წევრი თითოეული ქვეყნის მიერ ერთი წლის განმავლობაში განხორციელებულ ღონისძიებებს აანალიზებს.

2013 წლის 9 ივლისს საქართველოს მთავრობამ მიიღო განკარგულება (იხ. გვ. 22-ზე სქოლიო 9), რომელიც OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის (იხ. ქვევით) შესრულებაში მონაწილე უწყებებს განსაზღვრავს. მათ შორის არიან საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, რომელთა ზედამხედველობას საქართველოს მთავრობა ახორციელებს. ამასთანავე, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკურ დეპარტამენტს OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების კოორდინაციის ფუნქცია მიენიჭა.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი ეროვნულ დონეზე OGP-ის ძირითადი საკოორდინაციო მექანიზმია. ფორუმს ჰყავს ორი თანათავმჯდომარე, რომლებიც საქართველოს მთავრობას და სამოქალაქო საზოგადოებას წარმოადგენენ.

OGP-ის წევრი ქვეყნები OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების დროს კონსულტაციებს გადიან.

მიმდინარე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს კონსულტაციები მნიშვნელოვნად ფართო მასშტაბის იყო და ამ კონსულტაციებზე საზოგადოების ინფორმირება უფრო ადრე მოხდა, ვიდრე წინა ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას. მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩასატარებელი საჯარო კონსულტაციების გეგმის მიხედვით, იუსტიციის სამინისტრომ და

მოკლედ

წევრი: 2011 წლიდან
ვალდებულებათა რაოდენობა: 29

ვალდებულებების შესრულების დონე:

შესრულებული: 12 (41%)
არსებითი: 7 (24%)
შეზღუდული: 9 (31%)
არ დაწყებულა: 1 (3%)

ვალდებულებების შესრულების ვადა:

გრაფიკის მიხედვით: 13 (45%)
გრაფიკს წინ უსწრებს: 6 (21%)

ვალდებულებების აქცენტი:
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა: 13 (45%)
მოქალაქეთა ჩართულობა: 7 (24%)
საჯარო ანგარიშვალდებულება: 6 (21%)

ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის: 1 (3%)

იმ ვალდებულებათა რაოდენობა, რომლებიც გარკვევით უკავშირდება OGP-ის ღირებულებებს: 17 (59%)
რომელთაც ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი აქვთ: 3 (10%)
რომლებიც არსებითად ან სრულად

ფორუმის წევრებმა საქართველოს 9 რეგიონის 15 ქალაქსა და სოფელში გამართეს საკონსულტაციო შეხვედრები, რომლებშიც ფართო საზოგადოება მონაწილეობდა. თუმცა კონსულტაციებში პრემიერ-მინისტრის კაბინეტი, პარლამენტი და კერძო სექტორი ჩართული არ ყოფილან და OGP-ის შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონეც დაბალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა პოპულარულმა ონლაინ მედია გამოცემამ გამოაქვეყნა ინფორმაცია კონსულტაციების შესახებ, საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სხვა პოპულარულ სატელევიზიო არხებს ეს ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ.

სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში ფორუმი ორ თვეში ერთხელ თბილისში იკრიბებოდა. ფორუმის შეხვედრების ოქმები იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე ქვეყნდება.

იუსტიციის სამინისტრომ მთავრობის თვითშეფასების ანგარიშის პირველი პროექტი 2015 წლის 23 სექტემბერს გამოაქვეყნა და ამ დოკუმენტზე საჯარო კომენტარების მისაღებად 5 დღე გამოყო.

ვალდებულებების შესრულება

OGP-ის წევრობა ქვეყნებს ავალდებულებს, საკუთარი ვალდებულებები ორწლიან სამოქმედო გეგმაში ჩამოაყალიბონ. საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 29 ვალდებულებას შეიცავს. ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში მოკლედაა აღწერილი თითოეული ვალდებულების შესრულების დონე და პოტენციური შედეგი, ასევე აღნიშნულია, სრულდება თუ არა ის საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გრაფიკის შესაბამისად და რა მთავარი ნაბიჯებია გადასადგმელი ვალდებულების OGP-ის მომავალ ეროვნულ სამოქმედო გეგმებში უკეთ ასახვისთვის. IRM-მა უფრო კარგად აღსაქმელად ვალდებულებები თემატურ ჯგუფებად დაყო, ხოლო ცალკე მდგომი ვალდებულებები თემატურად დაჯგუფებული ვალდებულებების შემდეგ გააანალიზა.

IRM-ის მეთოდოლოგია ე. წ. „ვარსკვლავურ“ ვალდებულებებს მოიცავს. ეს ვალდებულებები უნდა იზომებოდეს, ნათლად უნდა უპასუხებდეს OGP-ის ღირებულებებს, ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგი უნდა ჰქონდეს და არსებითად ან სრულად უნდა იყოს შესრულებული. საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა 2 ასეთ ვალდებულებას – №15-ს (პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება) და №17-ს (ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება) – შეიცავს. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის დასაწყისში IRM-მა „ვარსკვლავური“ ვალდებულების განსაზღვრის კრიტერიუმი განაახლა და OGP-ის სანიშნო ვალდებულებებისთვის ზღვარი გაზარდა. ძველი კრიტერიუმები ასევე მოიცავდა ვალდებულებებს, რომლებსაც საშუალო პოტენციური შედეგი ჰქონდა. ძველი კრიტერიუმების მიხედვით საქართველო დამატებით 8 „ვარსკვლავურ“ ვალდებულებას (ვალდებულებები №2, №6, №9, №13, №16, № 18, №19 და №20) მიიღებდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.opengovpartnership.org/node/5919>.

ცხრილი 1: ვალდებულების მიხედვით წინსვლის შეფასება

ვალდებულების მოკლე დახასიათება	პოტენციური შედეგი				შესრულების დონე			შესრულების ვადები
	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდეგული	არსებითი	
ჯგუფი 1: საჯარო სერვისები								
1.ა. სამოგზაურო დაზღვევის სერვისი – მოქალაქეები იუსტიციის სახლში პასპორტთან ერთად სამოგზაურო დაზღვევის პოლისის მიღებასაც შეძლებენ.								გრაფიკს ჩამორჩება
1.ბ. სახელმწიფო ქონების რეგისტრაცია – ეს ინიციატივა მომხმარებელს საშუალებას მისცემს, სახელმწიფო ქონების იჯარით აღება, შეძენა და რეგისტრაცია ერთ სივრცეში განახორციელოს.								გრაფიკს ჩამორჩება
3. JUSTdrive – თბილისის იუსტიციის სახლში მდებარე JUSTdrive-ს ოფისი მოქალაქეების დროს დაზოგავს და მათ საშუალებას მისცემს, სერვისი მანქანიდან გადაუსვლელად მიიღონ.								გრაფიკის მიხედვით
4. განათლების სერვისები – სკოლის								გრაფიკს

სერტიფიკატებსა და დიპლომებს იუსტიციის სახლების პერსონალი დაამოწმებს და გასცემს.									ჩამორჩება
5. მოქალაქის პორტალი – www.mygov.ge – ეს პორტალი მოქალაქეებს ონლაინსერვისებში მეტ საჯარო სერვისს მიაწვდის.									გრაფიკს ჩამორჩება
8. ციფრული ხელმოწერა და ონლაინავთენტიფიკაცია – ეს ინიციატივა დოკუმენტების ადმინისტრირებას გააადვილებს და მასთან დაკავშირებულ ხარჯებს შეამცირებს.									გრაფიკს ჩამორჩება
ჯგუფი 2: ღია მონაცემები									
9. ღია მონაცემების პორტალი – data.gov.ge – განახლებული ღია მონაცემების პორტალი მოიცავს მონაცემებს ღია მონაცემთა ფორმატში.									გრაფიკის მიხედვით
15. პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციები – პარტიების დაფინანსების შესახებ მონაცემები ადვილად ხელმისაწვდომ (CSV) ფორმატში გამოქვეყნდება.									გრაფიკის მიხედვით

ვალდებულების მოკლე დახასიათება	პოტენციური შედეგი				შესრულების დონე				შესრულების ვადები
	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	
ჯგუფი 3: მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები									
2. „მომხმარებლის ხმა“ – ამ მექანიზმის მეშვეობით შესაძლებელი იქნება იუსტიციის სახლების მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხზე მოქალაქეთა კომენტარების მიღება.									გრაფიკის მიხედვით
12. I-Change.ge – პეტიციების ახალი ონლაინპლატფორმა გაზრდის გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობას.									გრაფიკს ჩამორჩება
ჯგუფი 4: ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები									
6.ა. საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება – ცენტრები ადგილობრივ დონეზე სერვისების მიწოდებას და მოქალაქეთა ჩართულობას გააუმჯობესებენ.									გრაფიკს წინ უსწრებს
6.ბ. ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართველობებში – ეს ინიციატივა საზოგადოებრივი ცენტრების 10 ყველაზე მოთხოვნადი სერვისის ციფრულ ინფრასტრუქტურას განავითარებს.									გრაფიკის მიხედვით
7. რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით – ეს ინიციატივა განახლებს სოფლებში არსებულ ბიბლიოთეკებს.									გრაფიკის მიხედვით

ჯგუფი 5: საჯარო სამსახურის მართვის ელექტრონული სისტემები									
21. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა – შეიქმნება ყველა საჯარო მოხელის და მათი სამუშაო აღწერილობების ერთიანი ელექტრონული ბაზა (e-HMRS).									გრაფიკს ჩამორჩება
25. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა – e-HMRS საჯარო სამსახურის სახელფასო სისტემას სახელმწიფო ხაზინასთან დააკავშირებს, რაც არის ნაწილი მთავრობის ვალდებულებისა, გააუმჯობესოს საქართველოს საჯარო ფინანსების მართვა (PFM).									გრაფიკს წინ უსწრებს
ჯგუფი 6: არქივების გამჭვირვალობა									
22. ელექტრონული შენახვის სისტემა: e-Archive – ეს სისტემა დაარქივებული მონაცემების ელექტრონულ კატალოგს შექმნის.									გრაფიკს ჩამორჩება
23. ეროვნული არქივის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა – ეს ინიციატივა ყველა დაარქივებული მონაცემის უფასო ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.									გრაფიკის მიხედვით
24. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ელექტრონული კატალოგი – საბჭოთა პერიოდის არქივები (მათ შორის, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და კომუნისტური პარტიის არქივები) გაციფრულდება და გამოქვეყნდება.									გრაფიკს ჩამორჩება
ჯგუფი 7: ტექნოლოგიების მეშვეობით უსაფრთხო გარემოს შექმნა									
26. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხები – ახალი არხები მოქალაქეებს საგანგებო მდგომარეობის დროს დახმარების თხოვნას გაუადვილებს.									გრაფიკს წინ უსწრებს
27. ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა – დანაშაულის სტატისტიკა ახალი GPS-ტექნოლოგიების მეშვეობით გახდება ხელმისაწვდომი.									გრაფიკს ჩამორჩება

ვალდებულების მოკლე დახასიათება	პოტენციური შედეგი				შესრულების დონე				შესრულების ვადები
	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულია	შეგდებულია	არსებითი	შესრულებულია	
ცალკე მდგომარეობის ვალდებულებები									
10. ინფორმაციის თავისუფლების აქტის პროექტის შემუშავება – ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ცალკე კანონის პროექტი შემუშავდება.									გრაფიკის მიხედვით
11. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი									გრაფიკს

- დანტერესებულ მხარეებს შორის შეხვედრები რეგულარულად, ორ თვეში ერთხელ გაიმართება.									წინ უსწრებს
13. საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალობა – მიღებული იქნება ახალი წესები საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად.									გრაფიკის მიხედვით
14. საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა – შეიქმნება საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ახალი სისტემა.									გრაფიკის მიხედვით
16. სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობა – აუდიოვებგვერდის მეშვეობით შესაძლებელი იქნება პოლიციის სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღება.									გრაფიკის მიხედვით
17. ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება – ფარული სატელეფონო მიყურადების მონაცემები საჯარო გახდება.									გრაფიკის მიხედვით
18. საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება – ჩატარდება ცნობიერების ამაღლების კამპანია საარჩევნო პროცესებზე მოქალაქეთა უკეთ ინფორმირებისთვის.									გრაფიკის მიხედვით
19. საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობა – ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტები საინფორმაციო პრეზენტაციებთან ერთად გამოქვეყნდება.									გრაფიკის წინ უსწრებს
20. შესყიდვების ელექტრონული სისტემა – შესყიდვების გაუმჯობესებული ელექტრონული პლატფორმა მოიცავს ახალ მოდულს სხვადასხვა სერვისის შესაძენად.									გრაფიკის წინ უსწრებს

ცხრილი 2: ვალდებულების მიხედვით წინსვლის შეჯამება

ვალდებულების სახელწოდება	შედეგების შეჯამება
ჯგუფი 1: საჯარო სერვისები	
1.ა. სამომავლო დაზღვევის სერვისი <ul style="list-style-type: none"> OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: გაურკვეველი პოტენციური შედეგი: მცირე შესრულება: არ დაწყებულა 	ამ ვალდებულებების მიზანია საჯარო სერვისების გაუმჯობესება ადმინისტრაციული ინოვაციისა და ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ეს ვალდებულება მისასაღმებელია, IRM-ის მკვლევარმა დაადგინა, რომ OGP-სთან მათი პირდაპირი კავშირი ბუნდოვანია. საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნებასთან, მოქალაქეთა ჩართულობასთან ან ანგარიშვალდებულებასთან თითოეული ასეთი ვალდებულების უფრო მჭიდრო კავშირი გააძლიერებს შემდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმას, თუ მთავრობა ამ სფეროში მუშაობის

<p>1.ბ. სახელმწიფო ქონების რეგისტრაცია</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: • გაურკვეველი პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შეზღუდული 	<p>გაგრძელებას გადაწყვეტს.</p> <p>სამოგზაურო დაზღვევა: ამ ვალდებულების მიზანი იყო საქართველოს მოქალაქეების დახმარება საზღვარგარეთ მგზავრობისთვის მათთვის იუსტიციის სახლში პასპორტთან ერთად, იმავდროულად სამოგზაურო დაზღვევის პოლისის გაცემით. ვალდებულების შესრულება არ დაწყებულა, რადგან მთავრობას არ შეურჩევია სერვისის მიმწოდებლები და არ დაუნერგავს ადმინისტრაციული სისტემა ვალდებულების შესასრულებლად.</p>
<p>3. JUSTdrive</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: • გაურკვეველი პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შესრულებული 	<p>სახელმწიფო ქონების რეგისტრაცია: ეს ვალდებულება მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, სახელმწიფო ქონების ყიდვა, იჯარით აღება და რეგისტრაცია იუსტიციის სახლებში განახორციელონ. შეფასების პერიოდში სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის სერვისი მხოლოდ მარნეულის მუნიციპალიტეტში დაინერგა. ამჟამად იუსტიციის სახლი სხვა მუნიციპალიტეტებში არსებული იუსტიციის სახლების პერსონალს უტარებს ტრენინგებს, რათა ეს სერვისი იქაც დაინერგოს.</p>
<p>4. განათლების სერვისები</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: • გაურკვეველი პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შეზღუდული 	<p>JUSTDrive: ამ ვალდებულების მთავარი მიზანია, თბილისში მოძრავ მძღოლებს იუსტიციის სახლის სერვისების მიღება გაუდვილდეთ, კერძოდ, მათ ეს მანქანიდან გადაუსვლელად შეძლონ. ეს სერვისი სრულად ხელმისაწვდომი 2015 წლის აპრილში გახდა. თუმცა JUSTdrive-ს სერვისით ძალიან ცოტა მომხმარებელმა ისარგებლა, რაც ნაწილობრივ იმით არის განპირობებული, რომ იუსტიციის სახლს არ ჩაუტარებია საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია. ამ ვალდებულების OGP-სთან კავშირი ბუნდოვანია.</p> <p>განათლების სერვისები: ეს ვალდებულება განათლების სერვისების – სკოლის სერტიფიკატებისა და დიპლომების დამონშებისა და გაცემის – იუსტიციის სახლებში ხელმისაწვდომობას ითვალისწინებს. შეფასების პერიოდში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მთავრობის მიერ განკარგულების მიღებას ელოდა, რომ აღნიშნული სერვისების მიწოდება დაეწყოს.</p>
<p>5. მოქალაქის პორტალი – www.mygov.ge</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: • გაურკვეველი პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შეზღუდული 	<p>ამ ვალდებულების მიზანი იყო მოქალაქეებისთვის ონლაინ სივრცეში მეტი საჯარო სერვისის მიწოდება. ამჟამად mygov.ge-ზე დაახლოებით 70 სერვისია ხელმისაწვდომი, რაც 2013 წელთან შედარებით 10-ჯერ მეტია. თუმცა პორტალზე ჯერ არ არის განთავსებული შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მუნიციპალიტეტების სერვისები. დაინტერესებულმა მხარეებმა პორტალთან დაკავშირებული სამი ძირითადი პრობლემა გამოყვეს: 1) პორტალზე დარეგისტრირება რთულ პროცედურებს მოიცავს; 2) ინფორმაციის გამოთხოვის განყოფილება მომხმარებლებს არ აძლევს საშუალებას, თვალი ადევნონ, როგორ და რამდენ ხანში ახდენს მთავრობა მათი მოთხოვნების</p>

	<p>ადმინისტრირებას; 3) mygov.ge-ს შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონე კვლავ დაბალია, რის გამოც პორტალზე განთავსებულ სერვისებს ბევრი მოქალაქე არ იყენებს. მთავრობამ ეს პლატფორმა მთელი ქვეყნის მასშტაბით საზოგადოების ფართო ფენებს უნდა გააცნოს, რათა პორტალი მთავრობასთან დასაკავშირებლად უფრო მეტმა მოქალაქემ გამოიყენოს.</p>
<p>8. ციფრული ხელმონწერა და ონლაინავთენტიფიკაცია</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: • გაურკვეველი პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შეზღუდული 	<p>ლოკუმენტების ადმინისტრირების გასამარტივებლად და მასთან დაკავშირებული ხარჯების შესამცირებლად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ციფრული ხელმონწერისა და ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების დანერგვის ვალდებულება აიღო. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთვის ძირითადი გამოწვევა ამ სისტემების მომხმარებელთა სიმცირეა. ეს იმით არის განპირობებული, რომ მოქალაქეები ხშირად კარგავენ აღნიშნულ სისტემებში შესასვლელ პინკოდებს, ამასთანავე, ერიდებიან თავიანთი პერსონალური ინფორმაციის ონლაინსივრცეში განთავსებას. ამ სისტემების გამოყენებას კერძო სექტორიც თავს არიდებს. მთავრობისადმი მთავარი რეკომენდაციაა, რომ მან ყველა ახალი საჯარო სერვისი მოქალაქეთა პრიორიტეტების მიხედვით განავითაროს. მნიშვნელოვანია, რომ ყველა შესაბამისმა უწყებამ – იუსტიციის სახლმა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, მონაცემთა გაცვლის სააგენტომ – დაიწყოს იმის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად და რეგულარულად გამოქვეყნება, თუ რამდენი მომხმარებელი ჰყავს მათ სერვისებს და როგორია მათი კმაყოფილების დონე.</p>
<p>ჯგუფი 2: ღია მონაცემები</p>	
<p>9. ღია მონაცემების პორტალი – data.gov.ge</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: არსებითი 	<p>ამ ვალდებულების მიზანი იყო არსებული ღია მონაცემების პორტალის, data.gov.ge-ს, განახლება მასზე თაქტობრივი მონაცემების ღია მონაცემთა ფორმატში განთავსებით (2015 წლის აგვისტოსთვის პორტალზე სულ 95 მონაცემი იყო გამოქვეყნებული). პორტალი მომხმარებელს საშუალებას აძლევს, ნახოს თითოეული მონაცემის გამოქვეყნებისა და ბოლო განახლების თარიღები, ასევე ამ მონაცემისთვის ჰასუსისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია. მთავრობას არ დაუზუსტებია, რა ტიპის მონაცემები გამოქვეყნდებოდა data.gov.ge-ზე, რამაც შეამცირა პორტალის საზოგადოებაზე გავლენის დონე და მასშტაბი. დაინტერესებულმა მხარეებმა ეს ვალდებულება პროზიტურად შეათვალეს. თუმცა მათ გამოთქვეს შენიშვნებიც, რომლებიც ძირითადად ეხება პორტალის მოხმარების დონის ამაღლებას, მასზე უფრო მეტი და დეტალური მონაცემის განთავსებას და მათი ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ასევე საკანონმდებლო ცვლილების მიღებას, რომელიც ყველა საჯარო უწყებას დაავალდებულებს, რომ მონაცემები data.gov.ge-ზე გამოაქვეყნონ.</p>
<p>15. პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციები</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული • შესრულება: შესრულებული 	<p>ეს ვალდებულება უკვე შესრულებულია და პირდაპირ უპასუხებს IRM-ის რეკომენდაციას, რომელიც პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონაცემების ადვილად ხელმისაწვდომ ფორმატში გამოქვეყნებას ეხება. ეს მონაცემები, CSV ფორმატში გადაყვანილი, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდის გარდა ასევე ხელმისაწვდომია data.gov.ge-ზე. დაინტერესებული მხარეების აზრით, საქართველოს ღია მონაცემებთან დაკავშირებული ვალდებულება წინ გადადგმული სწორი ნაბიჯია და ხელს უწყობს მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას. კვლევისა და ადვოკატირებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები რეგულარულად იყენებენ პარტიების ფინანსურ მონაცემებს, რომლებიც მათ შემომნიშვნელებს, შემოსაჯლებსა და ხარჯებს ეხება. შესაბამისად,</p>

	<p>ეს ვალდებულება შეფასდა, როგორც ტრანსფორმაციული პოტენციური შედეგის მქონე, დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციაა, რომ გამოქვეყნდეს ასევე ინფორმაცია პარტიების ინდივიდუალური შემომწირველების დაფინანსების წყაროების შესახებ.</p>
<p>ჯგუფი 3: მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები</p>	
<p>2. „მომხმარებლის ხმა“</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შესრულებული 	<p>იმისთვის, რომ მოქალაქეებს იუსტიციის სახლების სერვისებზე საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება ჰქონოდათ, იუსტიციის სახლმა უკუკავშირის მექანიზმის („მომხმარებლის ხმა“) შექმნის ვალდებულება აიღო. ეს ვალდებულება უკვე შესრულებულია. თუმცა ის არ მოიცავდა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელებას, რის გამოც ამ მექანიზმის მოხმარების დონე დაბალია. ვალდებულება ასევე არ მოიცავდა უკუკავშირის ფორმებზე მომუშავე იუსტიციის სახლების პერსონალის კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფად მონიტორინგის მექანიზმის შექმნას. შესაბამისად, OGP-ის ღირებულებებზე ამ ინსტრუმენტის გავლენა შეფასდა, როგორც საშუალო. იუსტიციის სახლისადმი მთავარი რეკომენდაციაა, რომ შეიქმნას „მომხმარებლის ხმის“ ონლაინვერსია, რათა დაიბოგოს იმ მოქალაქეების დრო და რესურსი, რომლებსაც იუსტიციის სახლების სერვისებზე საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა და რეფორმების განსახორციელებლად ახალი ინიციატივების წარმოდგენა სურთ.</p>
<p>12. I-Change.ge</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული • შესრულება: შეზღუდული 	<p>ამ ვალდებულების მთავარი მიზანი იყო გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა პეტიციის ელექტრონული პლატფორმის, I-Change.ge-ს, მეშვეობით. დაინტერესებული მხარეების აზრით, ელექტრონული პეტიციების პორტალი ღია მმართველობისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია. მთავრობამ პორტალი სამოქმედო გეგმაში მოცემული გრაფიკის მიხედვით, 2015 წლის ივნისში ვერ ამოქმედა, რადგან შესაბამისი განკარგულება არ მიუღია. დაინტერესებული მხარეების თქმით, იმისთვის, რომ მოქალაქეებს ახლო მომავალში ასამუშავებელი I-Change.ge-ს გამოყენების სურვილი გაუჩნდეთ, მთავრობამ ამ პორტალის მოხმარების პირობები მაქსიმალურად უნდა გაამარტივოს და ყველა შესაძლო ბიუროკრატიული დაბრკოლება (მათ შორის, პეტიციის ავტორების უფლებამოსილებასთან და ავტორიზაციასთან დაკავშირებული დაბრკოლებები) უნდა მოხსნას. ეს პორტალი ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც საკუთარი იდეების მთავრობისთვის მიწოდებას მოინდომებს.</p>
<p>ჯგუფი 4: ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები</p>	
<p>6.ა. საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შესრულებული 	<p>ამ ვალდებულების მიზანი იყო ადგილობრივ დონეზე სერვისების მიწოდების გაუმჯობესება და გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივი ცენტრების ქსელის გაფართოებით. თავდაპირველად დაგეგმილი 6-ის ნაცვლად 13 საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა, ხოლო კიდევ 7 საზოგადოებრივი ცენტრი მშენებლობის პროცესშია. საზოგადოებრივი ცენტრები მოქალაქეებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის 200-ზე მეტ სერვისს (მათ შორის, ბანკებისა და მობილური ოპერატორების სერვისებს) აწვდიან. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ ცენტრებში არის სივრცე, სადაც შესაძლებელია ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოქალაქეებს შორის უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება და ისეთი გადანყვეტილებების მიღება, რომლებიც უპასუხებს მოსახლეობის</p>

	<p>საჭიროებებს, OGP-ის მიზნების შესაბამისად, ეს ცენტრები ამ მიზნით შეზღუდულად გამოიყენება. დაინტერესებული მხარეების აზრით, მთავრობამ უკეთ უნდა გამოკვეთოს, რომ საზოგადოებრივი ცენტრების მთავარი მიზანია მთავრობის გამჭვირვალობის და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, ასევე მიწოდებული სერვისების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.</p>
<p>6.ბ. ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართველობებში</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: • გაურკვეველი პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: არსებითი 	<p>საზოგადოებრივი ცენტრების სერვისების ონლაინსივრცეში განსათავსებლად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ამ ცენტრების ელექტრონული ინფრასტრუქტურის განვითარების ვალდებულება აიღო. მუნიციპალური სერვისების მართვის სისტემის პილოტირებისთვის 5 მუნიციპალიტეტი შეირჩა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აღნიშნული სისტემის დასანერგად მჭიდროდ თანამშრომლობდა ამ მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო (საკრებულო) და აღმასრულებელ (მერი/გამგებელი) ორგანოებთან. OGP-ის ღირებულებებებთან ამ ვალდებულების მიმართება ბუნდოვანია, რადგან სამოქმედო გეგმაში არ არის დაკონკრეტებული, რა ახალ მექანიზმებს მოიცავს საზოგადოებრივი ცენტრების ელექტრონული სერვისები ადგილობრივ დონეზე მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად.</p>
<p>7. რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: • გაურკვეველი პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: არსებითი 	<p>ეს საპილოტე პროექტი 2015 წლის მარტიდან სექტემბრამდე მიმდინარეობდა. მისი მიზანი იყო სოფლებში არსებული ბიბლიოთეკების მოდერნიზება და ბიბლიოთეკების სერვისების საზოგადოებრივი ცენტრების სერვისებთან გაერთიანება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად. ბიბლიოთეკები მომხმარებელს უფასო ინტერნეტს, ასევე სხვადასხვა დაბეჭდილ ლიტერატურას (მათ შორის, მხატვრულ ლიტერატურას და მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოცემულ საჯარო დოკუმენტებს) სთავაზობენ. OGP-ის ღირებულებებებთან ამ ვალდებულების მიმართება ბუნდოვანია, რადგან იგი ორიენტირებულია სერვისის მიწოდებაზე და არა მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაზე.</p>
<p>ჯგუფი 5: საჯარო სამსახურის მართვის ელექტრონული სისტემები</p>	
<p>21. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: • გაურკვეველი პოტენციური შედეგი: არცერთი • შესრულება: შეზღუდული 	<p>საჯარო სამსახურის ბიურომ მიზნად დაისახა ყველა საჯარო მოხელის სამუშაო აღწერილობების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის, e-HMRS-ის, მეშვეობით. ეს მოდული უკვე დაინერგა 13 სამინისტროში, ხოლო 6 სამინისტროში ჯერ კიდევ დანერგვის პროცესშია. საჯარო სამსახურის ბიურო მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან თანამშრომლობს საჯარო უწყებებს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და საჯარო სამსახურის ბიუროს შორის მონაცემთა გაცვლის სპეციალური პროგრამის შესაქმნელად. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ვალდებულება მთავრობის შიდა სისტემებზეა ორიენტირებული, დაინტერესებული მხარეების აზრით, მას ნაკლებად აქვს კავშირი მოქალაქეებთან და, შესაბამისად, OGP-სთან.</p>
<p>25. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან 	<p>ეს ვალდებულება, რომლის მიხედვით, e-HMRS საჯარო სამსახურის სახელფასო სისტემას სახელმწიფო ხაზინასთან აკავშირებს, შესრულებულია. მისი მიზანი იყო საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემის გაუმჯობესება ისეთი ელექტრონული მოდულების შექმნით, როგორებიცაა e-Treasury,</p>

<p>მიმართება: გაურკვეველი</p> <ul style="list-style-type: none"> • პოტენციური შედეგი: არცერთი • შესრულება: შესრულებული 	<p>e-Budget, e-Debt-ის მართვა და ინვესტიცია და e-HMRS. ეს სისტემები ხელს უწყობს საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაერთიანებას და ამ ინფორმაციის ადმინისტრირებასთან და პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ვალდებულება მთავრობის შიდა სისტემებზეა ორიენტირებული, დაინტერესებული მხარეების აზრით, მას ნაკლებად აქვს კავშირი მოქალაქეებთან და, შესაბამისად, OGP-სთან.</p>
<p>ჯგუფი 6: არქივების გამჭვირვალობა</p>	
<p>22. ელექტრონული შენახვის სისტემა: e-Archive</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: გაურკვეველი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შეზღუდული 	<p>ამ ვალდებულების მიზანი იყო დაარქივებული მონაცემების ელექტრონული კატალოგის შექმნა. ეროვნულმა არქივმა მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ამ საკითხზე კონსულტაციები 2014 წელს დაიწყო. ეს ევროკავშირის twinning-ის პროექტის ნაწილი იყო. ამ კონსულტაციებზე დაყრდნობით, ეროვნულმა არქივმა შეიმუშავა ელექტრონული არქივის სისტემის ზოგადი კონცეფციის პროექტი, რომელიც სისტემის ძირითადი მოდულებისა და მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას მოიცავდა. თუმცა მის განხორციელებაში წინსვლა არ ყოფილა. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ვალდებულება ორიენტირებულია უფრო არქივის სისტემის შექმნაზე, ვიდრე მისი ხელმისაწვდომობის გაზრდაზე, OGP-სთან მისი კავშირი ბუნდოვანია.</p>
<p>23. ეროვნული არქივის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: არსებითი 	<p>ამ ვალდებულების მიზანია დაარქივებული მონაცემების უფასო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. იგი ორ კომპონენტს მოიცავს: 1) საკანონმდებლო ბაზის შექმნა; 2) ტექნიკური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა. ყველა დაარქივებული მონაცემის უფასო ხელმისაწვდომობისთვის ეროვნულმა არქივმა კანონპროექტი შეიმუშავა და იგი იუსტიციის სამინისტროს გადაუგზავნა. თუმცა ამ კანონპროექტის განსახორციელებლად ეროვნულ არქივს დამატებითი ტექნიკური რესურსი და ინფრასტრუქტურა სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა OGP-ის მნიშვნელოვანი და აღიარებული ღირებულებაა, უმჯობესია მთავრობამ აქცენტი არქივების გამჭვირვალობიდან ისეთ ვალდებულებებზე გადაიტანოს, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვს მოქალაქეების ცხოვრებასთან, კერძოდ, მთავრობის მიმდინარე საქმიანობის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია გასცეს, რათა გაიზარდოს გადანაცვტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა.</p>
<p>24. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ელექტრონული კატალოგი</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შეზღუდული 	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა პერიოდის არქივების (მათ შორის, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და კომუნისტური პარტიის არქივების) გაციფრულებისა და გამოქვეყნების ვალდებულება აიღო. დოკუმენტების დახარისხებისთვის აუცილებელი შესაბამისი საცავის არარსებობა და დაფინანსების ნაკლებობა ხელს უშლის ამ ვალდებულების შესრულებას. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა OGP-ის მნიშვნელოვანი და აღიარებული ღირებულებაა, უმჯობესია მთავრობამ აქცენტი არქივების გამჭვირვალობიდან ისეთ ვალდებულებებზე გადაიტანოს, რომლებსაც მოქალაქეების ცხოვრებასთან პირდაპირი კავშირი აქვს, კერძოდ, მთავრობის მიმდინარე საქმიანობის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია გასცეს, რათა გაიზარდოს გადანაცვტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა.</p>
<p>ჯგუფი 7: ტექნოლოგიების მემკვიდრეობით უსაფრთხო</p>	

<p>გარემოს შექმნა</p>	
<p>26. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხები</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: გაურკვეველი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შესრულებული 	<p>იმისთვის, რომ მოქალაქეებს საგანგებო მდგომარეობის დროს დახმარების თხოვნა გაუადვილდეთ, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-მა – „112“-მა, მასთან დასაკავშირებელი ალტერნატიული არხების შექმნის ვალდებულება აიღო. მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) და ვიდეოზარის სერვისები სმენისა და მეტყველების პრობლემის მქონე პირებისთვის 2015 წლის მარტში ამოქმედდა. გარდა ამისა, „112“-მა შეიძინა 60 GPS „ტრეკერი“ დაკარგული ადამიანების უფრო იოლად აღმოჩენისთვის. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ვალდებულება აქცენტს მოქალაქეთათვის სერვისის მიწოდებაზე აკეთებს, OGP-ის ღირებულებებთან მისი მიმართება ბუნდოვანია. დაინტერესებული მხარეების აზრით, მთავარი გამოწვევაა ის, რომ ეს სერვისები ხელმისაწვდომი არ არის იმ სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის, რომლებსაც ამისთვის აუცილებელი ტექნიკური მოწყობილობები არ აქვთ. შესაბამისად, ამ ვალდებულების პოტენციური შედეგი შეფასდა, როგორც საშუალო. დაინტერესებული მხარეების მთავარი რეკომენდაციაა, რომ პოლიციელებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგი იმაზე, თუ როგორ უნდა გააუმჯობესონ მათ სმენისა და მეტყველების პრობლემის მქონე პირებთან კომუნიკაცია.</p>
<p>27. ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შეზღუდული 	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრომ დანაშაულის სტატისტიკის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით გამოქვეყნების ვალდებულება აიღო. თუმცა სამინისტრომ ვერ შეასრულა ეს ვალდებულება სპეციალური GPS „ტრეკერების“ შექმნის პრობლემის გამო. დანაშაულის ინტერაქტიული სტატისტიკის გამოქვეყნება უზრუნველყოფს დანაშაულის შესახებ ადვილად ხელმისაწვდომი, ზუსტი და ღია მონაცემების არსებობას, რაც ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციისა და მოქალაქის სურვილია. ისინი ამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამენ, რადგან არსებული დანაშაულის სტატისტიკა დეტალურ ინფორმაციას არ შეიცავს და, შესაბამისად, მისი ანალიზი და წინა წლების სტატისტიკასთან შედარება ადვილი არ არის. ეს, თავის მხრივ, იმით არის განპირობებული, რომ არსებული სტატისტიკა ერთიანი მეთოდოლოგიის მიხედვით არ ქვეყნდება.</p>
<p>ცალკე მდგომი ვალდებულებები</p>	
<p>10. ინფორმაციის თავისუფლების აქტის პროექტის შემუშავება</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: არსებითი 	<p>მთავრობამ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ცალკე კანონის პროექტის შემუშავების და მისი პარლამენტისთვის წარდგენის ვალდებულება აიღო. ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წამყვანი როლი შეასრულა. თუ პარლამენტმა არსებული პროექტი უცვლელად მიიღო, ახალი კანონი საქართველოს ინფორმაციის თავისუფლების (RTI=Right to Information) გლობალურ რეიტინგში ამჟამინდელი, 32-ე ადგილიდან მე-2 ადგილზე გადაინაცვლებს. თუმცა არსებული პროექტი გადაუწყვეტელს ტოვებს ერთ საკვანძო საკითხს, კერძოდ, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული იმ კომპანიების შემოსავლების შესახებ ინფორმაციის არარსებობის პრობლემას, რომლებიც მოსახლეობისთვის კონკრეტული სერვისების მიწოდებით საჯარო ფუნქციას ასრულებენ. კიდევ ერთი გამოწვევა იმას უკავშირდება, თუ რა ფორმით იქნება მიღებული არსებული პროექტი, რადგან მნიშვნელოვნად შეცვლისას ის შეიძლება ნაკლებად ეფექტიანი გახდეს, რის გამოც კანონპროექტის მიღებას მცირე პოტენციური შედეგი ექნება. მიუხედავად ამისა, ამ</p>

<p>11. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: მცირე • შესრულება: შესრულებული 	<p>ვალდებულებას OGP-ისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.</p> <p>ეს ვალდებულება, რომლის მიზანი იყო ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მუშაობის გაუმჯობესება, უკვე შესრულებულია. იუსტიციის სამინისტრომ გააგრძელა ფორუმის შეხვედრების მასპინძლობა. შეხვედრები ჯერ (ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს) თვეში ერთხელ, ხოლო შემდეგ (გეგმის შესრულების დროს) – ორ თვეში ერთხელ იმართებოდა. დაინტერესებული მხარეების უმეტესობამ ფორუმი პოზიტიურად შეაფასა. თუმცა მათ შენიშვნებიც გამოთქვეს. კერძოდ, ზოგიერთი საჯარო უწყება ფორუმს სხვებზე ნაკლებად სერიოზულად აღიქვამს და ფორუმის საქმიანობაში მათი მონაწილეობა გამოიხატება უფრო ტექნიკური პრეზენტაციების წარდგენით, ვიდრე არსებით დისკუსიებში აქტიურად ჩართვით. დაინტერესებული მხარეების აზრით, ფორუმის მეტი ინკლუზიურობისთვის მის საქმიანობაში მონაწილეობა რეგიონულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც უნდა მიიღონ. ასევე კარგი იქნება, შეიქმნას ონლაინპლატფორმა მათთვის, ვინც ფორუმის შეხვედრებს ვერ ესწრება, თუმცა ინფორმაციის რეგულარულად მიღება და დისკუსიებში ჩართვა სურს.</p>
<p>13. საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალობა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შესრულებული 	<p>ეს ვალდებულება, რომელიც გეგმის მიხედვით, 2014 წელს შესრულდა, მიზნად ისახავდა საჯარო სამსახურში მიღების პროცედურების გამჭვირვალობას. ძირითადი სიახლე ის არის, რომ საკონკურსო კომისიებში დამოუკიდებელი ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციების და პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა ჩართვა სავალდებულო გახდა. თუმცა ზოგიერთი საკითხი (კერძოდ, ადგილობრივ დონეზე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის არასრული ინფორმაციის მიწოდება და საკონკურსო კომისიის საქმიანობაში მათი ნაკლები ჩართულობა) გადაუწყვეტელი დარჩა. აქედან გამომდინარე, IRM-მა ამ ვალდებულების პოტენციური შედეგი შეაფასა, როგორც საშუალო. დაინტერესებული მხარეები საჯარო სამსახურში მიღების პროცესის სრული გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტის შემოღებას ითხოვენ.</p>
<p>14. საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: არსებითი 	<p>ეს ვალდებულება საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნას გულისხმობს. ამ სისტემის დასაწესებლად უკვე შემუშავდა კანონპროექტი, რომელიც მთავრობას გადაეგზავნა. ამ პროექტის მიხედვით, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი შექმნის დამოუკიდებელ კომისიას, რომლის მუშაობაშიც ჩართული იქნება სამოქალაქო საზოგადოება და რომელიც მონიტორინგისთვის დეკლარაციებს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენებით შეარჩევს. მონიტორინგის პროცესში კომისიის წევრები ონლაინსივრცეში არსებული მონაცემთა ბაზებისა და სხვა დოკუმენტების შედარებით ანალიზს განახორციელებენ. სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში საჯარო სამსახურის ბიურო ამ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ სააგენტოს (დეპარტამენტს) გადაუგზავნის. კომისიის მუშაობაში სამოქალაქო საზოგადოების პირდაპირ ჩართულობას შეიძლება პოტენციურად ტრანსფორმაციული შედეგი ჰქონდეს. დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციებია: ახალი ფუნქციის შესასრულებლად საჯარო სამსახურის ბიურო</p>

	<p>შესაბამისი რესურსებით აღიჭურვოს; შესაძლო დარღვევის გამოკვეთის შემთხვევაში აქცენტი იმ საქმეებზე გაკეთდეს, რომელთა მიმართაც მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს; მონიტორინგის შედეგები რეგულარულად გამოქვეყნდეს; განისაზღვროს იმ დეკლარაციების მინიმალური რაოდენობა, რომელთა მონიტორინგიც ერთი წლის განმავლობაში განხორციელდება.</p>
<p>16. სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შესრულებული 	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვალდებულება აიღო, მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია ბრმა და მხედველობადაქვეითებული ადამიანებისთვისაც გაეხადა ხელმისაწვდომი, ასევე, ზოგადად, მოქალაქეებთან კომუნიკაცია გაეუმჯობესებინა. სპეციალური ვებგვერდი, voice.police.ge, რომელიც police.ge-ზე განთავსებული ინფორმაციის მოსმენის საშუალებას იძლევა, 2014 წელს ამოქმედდა. ამას წინ უძღოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსულტაციები „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ წარმომადგენლებთან, რათა ახალი ვებგვერდი მათ საჭიროებებს მორგებოდა. სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა OGP-ისთვის მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. მთავრობისადმი „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ წარმომადგენლების რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნეს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც ყველა საჯარო უწყებას დაავალდებულებს, რომ მათი ვებგვერდები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე იყოს მორგებული. კიდევ ერთი რეკომენდაციის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეგულარულად უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია voice.police.ge-ს გამოყენების სიხშირის და ამ ვებგვერდით მომხმარებელთა კმაყოფილების დონის შესახებ.</p>
<p>17. ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: ტრანსფორმაციული • შესრულება: შესრულებული 	<p>ეს ვალდებულება მთავრობის ფარული მიყურადების პრაქტიკის ზოგიერთი კომპონენტის შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად სატელეფონო მიყურადების შესახებ სტატისტიკის საჯაროდ გამოქვეყნებას გულისხმობდა. უზენაესმა სასამართლომ ამ სტატისტიკის წარმოება და, აღნიშნული საკითხის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, მისი გამოქვეყნება 2014 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. ამ ვალდებულების მიხედვით, მოქალაქეებს უნდა მიეზღოთ უფრო მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სიხშირით უსმენს მათ მთავრობა და იზრდება თუ არა მოსმენის ტენდენცია. დაინტერესებული მხარეები ითხოვენ უფრო დეტალურ მონაცემებს, რომლებიც დახარისხებული იქნება მოსმენის ობიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულის ტიპის, მოსმენის შუამდგომლობის ინიციატორი რაიონული პროკურატურის გეოგრაფიული არეალის და იმ ჩანაწერების რაოდენობისა და განადგურების სიხშირის მიხედვით, რომლებმაც გამოძიებისთვის მნიშვნელობა დაკარგა.</p>
<p>18. საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: არსებითი 	<p>საარჩევნო პროცესებზე მოქალაქეთა უკეთ ინფორმირებისთვის საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (ცესკო) ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება აიღო. მათი უმეტესობა უკვე განხორციელდა. იმის გათვალისწინებით, რომ განხორციელებული ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ძირითადად ახალგაზრდებზე იყო ორიენტირებული, ვალდებულების პოტენციური შედეგი შეფასდა, როგორც საშუალო. შეფასების პერიოდში ასეთი ღონისძიებები ამომრჩეველთა სხვა, დაგეგმილი ჯგუფებისთვის არ ჩატარებულა. დაინტერესებული მხარეების აზრით, მნიშვნელოვანია, რომ არჩევნების თემამ არჩევნების ჩატარების შემდეგ აქტუალურობა არ დაკარგოს. ცესკოსადმი მთავარი რეკომენდაციაა, რომ მან არჩევნების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები</p>

	<p>ჩაატაროს ასევე მოქალაქეთა იმ სამიზნე ჯგუფებისთვის, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩართული საარჩევნო პროცესებში და მათ შესახებ სხვებზე მწირი ინფორმაცია აქვთ.</p>
<p>19. საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შესრულებული 	<p>საბიუჯეტო პროცესების მეტი ღიაობისთვის ფინანსთა სამინისტრომ ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტების საინფორმაციო პრეზენტაციებთან ერთად გამოქვეყნების და საზოგადოების აზრის გასაგებად ონლაინკითხვარის შექმნის ვალდებულება აიღო. ყველა ეს კომპონენტი უკვე შესრულებულია. ამ ვალდებულებას OGP-ისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოქალაქეებს აინტერესებთ, როგორ ხარჯავს მთავრობა საჯარო ფინანსებს და რა მექანიზმები არსებობს ბიუჯეტის შემუშავების, შესრულებისა და მონიტორინგის პროცესებში საზოგადოების ჩასართავად. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ საშუალოზე საკმაოდ მაღალი ქულა მიიღო, მნიშვნელოვანი საბიუჯეტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად უფრო მეტია გასაკეთებელი.</p>
<p>20. შესყიდვების ელექტრონული სისტემა</p> <ul style="list-style-type: none"> • OGP-ის ღირებულებებთან მიმართება: ნათელი • პოტენციური შედეგი: საშუალო • შესრულება: შესრულებული 	<p>ამ ვალდებულების მთავარი მიზანი იყო არსებული ელექტრონული შესყიდვების სისტემის გაუმჯობესება მასში კონკურსის ელექტრონული მოდულის ინტეგრირებით, რომელიც სხვადასხვა სერვისის შესაძენად გამოიყენება. კონკურსის ელექტრონული მოდულის საპილოტე ვერსია 2015 წლის მაისში, ხოლო მთლიანი სისტემა – 2015 წლის 1 ივლისს ამოქმედდა. ძირითადი სიახლე ის არის, რომ კონკურსის ყველა პროცედურა (იგულისხმება შემოტანილი განაცხადების შერჩევა, შეფასება და გამარჯვებული კომპანიის შერჩევის თაობაზე საბოლოო გადანყვეტილების მიღება) ელექტრონულად ხორციელდება. დაინტერესებული მხარეების აზრით, კონკურსის ახალი ელექტრონული მოდული სასარგებლო მონიტორინგის მექანიზმია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისთვის კონკურსის პროცესის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის გასაზრდელად. მათი რეკომენდაციაა, რომ დაკონკრეტდეს შემოტანილი განაცხადის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები, ნათლად განიმარტოს „გადაუდებელი აუცილებლობა“, როგორც გამარტივებული ტენდერის ჩატარების წინაპირობა, და ტენდერების ადმინისტრირება მთავრობის ყველა დონეზე ცენტრალიზებულად წარიმართოს.</p>

რეკომენდაციები

საქართველომ OGP-ის ზოგიერთი მიზნის მიღწევაში (მათ შორის, ღია მონაცემების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდასა და გადანყვეტილების მიღებაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმების შექმნაში) მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე ვალდებულებების ორი მესამედი საჯარო სერვისების მიწოდებასა და შიდა სამთავრობო სისტემების გაუმჯობესებაზე ორიენტირებული, მთავრობის ვალდებულებების ღია მმართველობის ძირითად ღირებულებებზე (გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და მოქალაქეთა ჩართულობა) ორიენტირების კუთხით უფრო მეტის გაკეთება შეიძლებოდა. კერძოდ, გამოიკვეთა საჭიროება, შემუშავდეს ახალი ვალდებულებები მთავრობის უკანონო მიყურადების პრაქტიკის შეზღუდვის და ენერგეტიკის, ბუნებრივი რესურსების მოპოვებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროებში მთავრობის გადანყვეტილებების მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. ამ ანგარიშში გამოკვეთილ გამოწვევებსა და აღმოჩენებზე დაყრდნობით, ქვემოთ მოცემულია ძირითადი რეკომენდაციები.

ხუთი ძირითადი „SMART“ რეკომენდაცია
1. შემუშავდეს მთავრობის სტრატეგია და პოლიტიკის ხედვა OGP-ზე, რათა OGP გახდეს საქვეყნო პროექტი, რომელიც პირდაპირ გავლენას მოახდენს მოქალაქეთა ცხოვრებაზე.
2. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმში ჩართულ იქნენ მაღალი რანგის გადანყვეტილების მიმღები პირები, რათა გაიზარდოს OGP-ის კონკრეტული ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი უწყებების ანგარიშვალდებულება.
3. შემდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეტანილ იქნეს უფრო მეტი „ხალხისგან წამოსული“ ვალდებულება, რათა მოქალაქეებმა გაითავისონ ეს ვალდებულებები.
4. უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, როგორც OGP-ის სამომავლო ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი უწყებების, ჩართულობა, რათა ადგილობრივ დონეზე გადანყვეტილების მიღების პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდეს, ხოლო ადგილობრივი თემები გაძლიერდნენ და მდგრადი განვითარების გზას დაადგინენ.
5. ყველა საჯარო უწყებას დაევალოს მონაცემების data.gov.ge-ზე გამოქვეყნება, რათა ეს პორტალი მთავრობის მონაცემების ღია, ავტომატურ და განახლებად რეჟიმში მიღების ძირითადი წყარო გახდეს.

ღია გოვიდჟ არის დამოუკიდებელი მკვლევარი.

ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მიზანია გამჭვირვალობის, მოქალაქეთა უფლებამოსილებებით აღჭურვის, კორუფციასთან ბრძოლის და მმართველობის გაძლიერების მიზნით ახალი ტექნოლოგიების დასანერგად მთავრობების მიერ აღებული კონკრეტული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. OGP-ის ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი აფასებს ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და შესრულებას დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგის ხელშეწყობისთვის და ანგარიშგების გასაუმჯობესებლად.

დასაშვებობის მოთხოვნები: OGP-ის წევრობისთვის ქვეყანამ ღია მმართველობის მთავარი ღირებულებების მინიმალური კრიტერიუმების დაკმაყოფილებით ღია მმართველობის ერთგულება უნდა აჩვენოს. ქვეყნის მიერ ღია მმართველობის თითოეული ღირებულების კუთხით მიღწეული პროგრესის დასადგენად მესამე მხარის მიერ შემუშავებული ინდიკატორები გამოიყენება. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ამ ანგარიშის IX თავი („დასაშვებობის მოთხოვნები“) ან ვებგვერდი: <http://www.opengovpartnership.org/how-it-works/eligibility-criteria>.



Embargoed – not for quotation or citation

I. ეროვნული მონაწილეობა OGP-ში

OGP-ში მონაწილეობის ისტორია

ღია მმართველობის პარტნიორობა (OGP) არის ნებაყოფლობითი, მრავალმხრივი საერთაშორისო ინიციატივა, რომლის მიზანია, მთავრობები მოქალაქეებისადმი უფრო ანგარიშვალდებული იყვნენ გამჭვირვალობის გაზრდით, მოქალაქეთა შესაძლებლობების გაძლიერებით, კორუფციასთან ბრძოლით და მმართველობის რეფორმისთვის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით. ამ მიზნების მიღწევის გზაზე OGP უზრუნველყოფს საერთაშორისო ფორუმის არსებობას მთავრობებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის დიალოგისა და იდეების გაზიარებისთვის, რაც ხელს უწყობს ღია მმართველობის პრინციპების დანერგვას. OGP-ის დაინტერესებული მხარეები არიან მისი წევრი ქვეყნების მთავრობები, ასევე სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, რომლებიც მხარს უჭერენ OGP-ის მიზნებსა და პრინციპებს.

საქართველო ამ ინიციატივას ფორმალურად 2011 წლის აგვისტოში შეუერთდა, როდესაც მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, გრიგოლ ვაშაძემ, გააცხადა თავისი ქვეყნის სურვილი, პარტნიორობის წევრი გამხდარიყო.¹

OGP-ის წევრობისთვის ქვეყნების მთავრობებმა ღია მმართველობისთვის გამოკვეთილი მზადყოფნა იმით უნდა დაადასტურონ, რომ უნდა აკმაყოფილებდნენ ღია მმართველობის მთავარი მიმართულებებით საქმიანობის ზოგიერთ მინიმალურ კრიტერიუმს. ეს კრიტერიუმები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შედეგების თვალსაზრისით, კერძოდ, მოსახლეობის საჭიროებებზე მთავრობის რეაგირების, მოქალაქეთა ჩართულობისა და კორუფციასთან ბრძოლის გაძლიერების უზრუნველსაყოფად. ქვემოთ მოცემულია სხვა ორგანიზაციების (OGP-ის გარდა) მიერ შემუშავებული ობიექტური ინდიკატორები, რომლებითაც დგინდება თითოეული მიმართულებით კონკრეტული ქვეყნის წინსვლის დონე, რომელიც ქულებით გამოიხატება. OGP-ში განწევრებისას საქართველოს პირობები დასაშვებობის მინიმალურ მოთხოვნებს აღემატებოდა. მას ყველა კრიტერიუმში მაღალი შეფასება ჰქონდა. კერძოდ, საქართველოს უმაღლესი ქულები ჰქონდა ღია ბიუჯეტის კრიტერიუმში (შესაძლო 2 ქულიდან 2),² ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონმდებლობის კრიტერიუმში (შესაძლო 4 ქულიდან 4)³ და მაღალი თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების გამოქვეყნების კრიტერიუმში (შესაძლო 4 ქულიდან 4),⁴ ხოლო შესაძლო 10 ქულიდან 6.18 ქულა – „ეკონომისტის“ ანალიტიკური განყოფილების დემოკრატიის ინდექსის სამოქალაქო თავისუფლებათა კატეგორიაში.⁵

OGP-ის წევრი ყოველი ქვეყნის მთავრობა ვალდებულია შეიმუშაოს მისი ქვეყნის ეროვნული სამოქმედო გეგმა, რომელშიც პირველ ორწლიან პერიოდზე გათვლილი კონკრეტული ვალდებულებები იქნება თავმოყრილი. სამოქმედო გეგმა მთავრობის მიერ არჩეულ დიდ გამოწვევებთან დაკავშირებული ძალისხმევის გაზიარებით უნდა იწყებოდეს. ამ გამოწვევებს შორისაა ღია მმართველობის კონკრეტული სტრატეგიები და მიმდინარე პროგრამები (დიდი გამოწვევებისთვის იხილეთ ამ ანგარიშის IV თავი). ამის შემდეგ სამოქმედო გეგმაში ასახული უნდა

იყოს OGP-ის წინაშე მთავრობის ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც მის საქმიანობას დიდი გამოწვევების კუთხით არსებული სანჯისი ნიშნულიდან წინ წასწევს. ეს ვალდებულებები შეიძლება არსებულ ძალისხმევას ეფუძნებოდეს, მიმდინარე რეფორმების დასასრულებლად ახალ ნაბიჯებს ითვალისწინებდეს ან სრულიად ახალ სფეროში მოქმედებას უდებდეს სათავეს.

სხვა 39 ქვეყნის მსგავსად, საქართველომ თავისი პირველი სამოქმედო გეგმა 2011 წლის სექტემბრიდან 2012 წლის აპრილამდე პერიოდში შეიმუშავა. ეს სამოქმედო გეგმა 2012 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის 30 ივნისამდე უნდა შესრულებულიყო. (იხილეთ საქართველოს წინსვლის ანგარიში 2012-13).⁶ მთავრობამ პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის თვითშეფასების ანგარიში 2014 წლის თებერვალში, სავალდებულო თარიღიდან 5 თვის შემდეგ გამოაქვეყნა.⁷ 2014 წლის ივნისში მიღებული მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის შესასრულებლად ფორმალურად 2014 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 30 ივნისამდე პერიოდი განისაზღვრა. ამ სამოქმედო გეგმის თვითშეფასების ანგარიში მთავრობამ 2016 წლის 31 აგვისტომდე უნდა გამოაქვეყნოს. ეს წინსვლის ანგარიში ფარავს აღნიშნული სამოქმედო გეგმის შესრულების პირველ წელს, 2014 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 30 ივნისამდე პერიოდს. მთავრობამ თავისი შუალედური თვითშეფასების ანგარიშის პროექტი 2015 წლის სექტემბერში გამოაქვეყნა. ამ ანგარიშის წერის დროს (2015 წლის ოქტომბერი) მთავრობის საბოლოო თვითშეფასების ანგარიში გამოქვეყნებული არ იყო.

OGP-ის მოთხოვნების თანახმად, საქართველოს პირველი და მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შესრულების პროცესების შესაფასებლად OGP-ის ანგარიშგების დამოუკიდებელი მექანიზმი (IRM) დამოუკიდებელ მკვლევართან, ლაშა გოგიძესთან, თანამშრომლობდა. IRM-ის მიზანი OGP-ის წევრ თითოეულ ქვეყანაში სამომავლო ვალდებულებების შემუშავებისა და შესრულების თაობაზე მიმდინარე დიალოგის შევსება-გამდიდრებაა. ამ ანგარიშში გამოყენებული მეთოდებისა და წყაროების შესახებ ინფორმაცია მის მეთოდოლოგიურ დანართშია მოცემული.

I.2: ძირითადი ინსტიტუციური კონტექსტი

საქართველოში OGP-ის განხორციელებისთვის პასუხისმგებელია აღმასრულებელი ხელისუფლება, კონკრეტულად – იუსტიციის სამინისტრო და მისი ანალიტიკური დეპარტამენტი. თუმცა ამ სამინისტროს მცირე სამართლებრივი ბერკეტი ჰქონდა იმისთვის, რომ სხვა სამთავრობო უწყებებისთვის დაევალებინა მათ პოლიტიკაში ცვლილებების განხორციელება. ამჟამად იუსტიციის სამინისტროს მანდატი ძირითადად ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციას მოიცავს. თუმცა ეს სამინისტრო ვერ დაავალებს სხვა უწყებებს, ვალდებულებები აიღონ, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობის მეთაური, პრემიერ-მინისტრი, უშუალოდ არ არის ჩართული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პროცესში. იუსტიციის სამინისტროს შეზღუდული მანდატის გამო სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანწილად ორიენტირებულია საჯარო სერვისების მიწოდებაზე, რომლისთვისაც პასუხისმგებელი არიან ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უწყებები. გარდა ამისა, მთავრობას არ გამოუყვია ცალკე

ბიუჯეტი ან პერსონალი OGP-ისთვის, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის მიმდინარე პროგრამების ნაწილია.

2012 წლის აპრილში მთავრობამ შექმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმი, არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი, რომლის მიზანი იყო ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2012-2013 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაზე მუშაობა. საწყის ეტაპზე ფორუმის შეხვედრებს არაფორმალური ხასიათი ჰქონდა და მათში OGP-ის სფეროს წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციათა მცირერიცხოვანი ჯგუფი, ასევე OGP-სთან დაკავშირებით მთავრობის მხრიდან საკონტაქტო პირი მონაწილეობდნენ. სხვა დაინტერესებულ მხარეებს ფორუმის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდებოდათ, რის გამოც ფორუმმა ღია მმართველობის სფეროში მთავრობის გადანყვეტილებების მიღებაზე ქმედითი გავლენა ვერ მოახდინა. 2012 წლის ნოემბრიდან იუსტიციის სამინისტრომ შეწყვიტა ფორუმის შეხვედრების მასპინძლობა 2014 წლის იანვრამდე. ეს გადანყვეტილება ასევე განპირობებული იყო 2012 წლის ოქტომბრის საკმაოდ დაძაბული საპარლამენტო არჩევნებით და მაშინდელი მმართველი პარტიის („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“) მიერ ძალაუფლების ოპოზიციური კოალიციისთვის („ქართული ოცნება“) გადაცემით. ამ გარდამავალ პერიოდში ფორუმმა კოორდინაცია გაუწია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), მიერ OGP-სთან დაკავშირებით ორგანიზებულ რამდენიმე მრგვალ მაგიდას. 2014 წლის 15 იანვარს იუსტიციის სამინისტრომ ხელახლა აამოქმედა არასამთავრობო ორგანიზაციათა ფორუმი, რომელსაც, როგორც მრავალმხრივ უწყებათაშორის სტრუქტურას, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი ეწოდა. ფორუმს ახალი წესდება აქვს და წევრთა უფრო ფართო სპექტრს მოიცავს. მათ შორის არიან OGP-ის ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი საჯარო უწყებები და სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები.⁸ ფორუმმა ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებაში საკვანძო როლი შეასრულა. კერძოდ, ფორუმის წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის მასშტაბით OGP-ის საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების დაგეგმვასა და ჩატარებაში და ამ შეხვედრებზე საზოგადოებისგან მიღებული კომენტარების საბოლოო დოკუმენტში გათვალისწინებაში. მიუხედავად იმისა, რომ ფორუმმა კოორდინაცია გაუწია და ხელი შეუწყო ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებას, მათ შორის, ერთი ვალდებულების საკუთარ თავზე აღებით, მას არ აქვს მანდატი, დაავალდებულოს სხვა საჯარო უწყებები, რომ OGP-სთან დაკავშირებული ღონისძიებები განახორციელონ.

2013 წლის ივლისამდე საქართველოს OGP-ისთვის სამართლებრივი ბაზა არ ჰქონდა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 9 ივლისს მიიღო განკარგულება, რომლითაც OGP-ის ვალდებულებების შესრულება რამდენიმე უწყებას (მათ შორის, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს) დაევალა, ხოლო მათი ზედამხედველობის ფუნქცია მთლიანად მთავრობას მიენიჭა.⁹ იმავე განკარგულებით იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი განისაზღვრა წამყვან უწყებად, რომელიც პასუხისმგებელია OGP-ის

ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პროცესის კოორდინაციისთვის.

IRM-ის მკვლევარი ზემოაღნიშნულ პროცესებს აკვირდება საწყისი ეტაპიდანვე, 2012 წლის აპრილიდან, მას, შემდეგ, რაც საქართველომ OGP-ის პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმა შეიმუშავა.

განმარტება მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით

IRM-ს ადგილებზე პარტნიორული ურთიერთობა აქვს გამოცდილ, დამოუკიდებელ მკვლევარ-ავტორებთან, რომელთა მეშვეობითაც დგება ანგარიშები და ისინი OGP-ის წვერი ყველა ქვეყნის მთავრობებს ეგზავნება. საქართველოში IRM-ის პარტნიორი იყო დამოუკიდებელი მკვლევარი ლაშა გოგიძე. ბატონმა გოგიძემ გააანალიზა მთავრობის თვითშეფასების ანგარიში, ჩაატარა ინტერვიუები სამოქალაქო საზოგადოებისა და შესაბამისი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებთან, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. OGP-ის პერსონალმა და ექსპერტმა ჯგუფმა, თავის მხრივ, ეს წინსვლის ანგარიში გააანალიზეს.

ეს ანგარიში ეფუძნება OGP-ის სფეროში წინა ანგარიშს (საქართველოს წინსვლის ანგარიში 2012-13), რომელიც პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას და 2012 წლის 1 ივლისიდან 2013 წლის 30 ივნისამდე პერიოდში შესრულებას მოიცავდა.

მრავალი მოსაზრების ასახვისთვის IRM-ის მკვლევარმა ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრები გამართა, მათ შორის, უურნალისტებთან ფორუმის ტიპის დისკუსია მოაწყო. IRM-ის მკვლევარმა ასევე გააანალიზა მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებული ყველა ძირითადი დოკუმენტი, მათ შორის, 2015 წლის სექტემბერში გამოქვეყნებული მთავრობის თვითშეფასების ანგარიშის პირველი პროექტი. ამ წინსვლის ანგარიშში აღნიშნულ დოკუმენტებზე მრავალი მითითებაა მოცემული.

შეხვედრების შეჯამება და მათ შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ამ ანგარიშის დანართშია მოცემული.

წყაროები

- ¹ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, თბილისი, 2011 წლის 30 აგვისტო, <http://bit.ly/1t9uRWT>
- ² საერთაშორისო ბიუჯეტის თანამშრომლობა, ღია ბიუჯეტები ცვლის ცხოვრებას: ღია ბიუჯეტის ინდექსი, 2010 (ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი), <http://bit.ly/1fAV22Y>
- ³ საქართველოს მთავრობა, დადგენილება „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“, №219, 2013 წლის 26 აგვისტო, <http://bit.ly/1hT9ANZ>
- ⁴ სიმონ ჯანკოვი, რაფაელ ლა პორტა, ფლორენციო ლოპეზ დე სილანესი, ანდრეი შლაიფერი, „პოლიტიკოსების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია“ (ტაკის ბიზნესის სკოლის სამუშაო კვლევა №2009-60), 2009, <http://bit.ly/19nDEFK>; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, „ინფორმაციის ტიპები, რომლის გამოქვეყნებაც ევალებათ გადანაცვებილების მიმღებთ, და გამჭვირვალობის დონე (2009)“ – „მთავრობა ერთი შეხედვით, 2009“, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საფრანგეთი,

2009, გვ. 132, <http://bit.ly/13vGtqS>; რიჩარდ მესივი, „შემოსავლები და ქონებრივი დეკლარაციები: მათი კორუფციაზე გავლენის გლობალური გამოცდილება“ (ნაშრომი მომზადდა კონფერენციისთვის, რომელიც შეეხებოდა ფაქტებზე დაფუძნებულ ანტიკორუფციულ პოლიტიკას და ორგანიზებული იყო ტაილანდის ეროვნული ანტიკორუფციული კომისიის მიერ მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, ბანკოკი, ტაილანდი, 2009 წლის 5-6 ივნისი), გვ. 16, <http://bit.ly/1cIokyf>

⁵ „ეკონომისტის“ ანალიტიკური განყოფილება, „2010 წლის დემოკრატიის ინდექსი: დემოკრატია უკან იხევს“ („ეკონომისტი“, ლონდონი, 2010), <http://bit.ly/eLC1rE>

⁶ ღია მმართველობის პარტნიორობის დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმი: საქართველოს წინსვლის ანგარიში 2012-13, <http://bit.ly/12m9MBq>

⁷ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველო, ღია მმართველობის პარტნიორობის 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმის თვითშეფასების ანგარიში, 2014 წლის თებერვალი, <http://bit.ly/1ARhBiy>

⁸ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის სახელმძღვანელო წესები, <http://bit.ly/1xnGePV>

⁹ საქართველოს მთავრობა, განკარგულება „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს სამოქმედო გეგმის განხორციელებისთვის აუცილებელ ღონისძიებათა შესახებ“, №775, 2013 წლის 9 ივლისი, <http://bit.ly/1QlkIa0>

II. სამოქმედო გეგმის შემუშავება

OGP-ის წვერი ქვეყნები OGP-ის საკუთარი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისას კონსულტაციებისთვის დადგენილ პროცედურებს იცავენ.

OGP-ის სახელმძღვანელო დებულებების თანახმად, ქვეყანამ:

- საჯარო კონსულტაციების დაწყებამდე სულ მცირე ონლაინრეჟიმში უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია ამ კონსულტაციების დეტალების და ვადების შესახებ;
- უნდა მიიღოს რჩევები მთელი ქვეყნის მასშტაბით ფართო საზოგადოებისგან (მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორისგან); უნდა მოისმინოს აზრთა რაც შეიძლება მრავალფეროვანი სპექტრი; უნდა შეაჯამოს საჯარო კონსულტაციები და ონლაინრეჟიმში წარდგენილი ყველა ინდივიდუალური წერილობითი კომენტარი;
- კონსულტაციებში საზოგადოების უფრო აქტიურად ჩართვისთვის OGP-ის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები უნდა განხორციელოს;
- მოსახლეობასთან კონსულტაციები წინასწარი გაფრთხილების შემდეგ, საკმარისი პერიოდის გამოყოფით და სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით უნდა ჩატარდეს, მათ შორის, უნდა გამართოს კონსულტაციები ონლაინ რეჟიმში და პირისპირ, რათა მოქალაქეებს ჩართულობის შესაძლებლობა ჰქონდეთ.

OGP-ის სახელმძღვანელო დებულებები კონსულტაციებისთვის კიდევ ერთ, მეხუთე მოთხოვნას ადგენს. ეს მოთხოვნა ჩამოყალიბებულია III განყოფილებაში („კონსულტაციები შესრულების პერიოდში“).

- OGP-ის განხორციელების საკითხებზე მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით კონსულტაციების ჩასატარებლად ქვეყნებმა უნდა ჩამოაყალიბონ ფორუმი – ეს შეიძლება იყოს უკვე ჩამოყალიბებული ან ახალი სუბიექტი.

საქართველოს მთავრობამ პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს ვერ შეასრულა საჯარო კონსულტაციების შესახებ OGP-ის მოთხოვნები. პირველ რიგში, მთავრობას არ გამოუქვეყნებია კონსულტაციების გეგმა და ინფორმაცია კონსულტაციების ვადების შესახებ და არ განუხორციელებია OGP-ის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები. მეორე, მან კონსულტაციები მხოლოდ ორ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასთან დაიწყო, სხვა ორგანიზაციებს კი ამ პროცესის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით მიანოდა. მესამე, მთავრობამ საჯარო კონსულტაციები OGP-ისთვის ეროვნული სამოქმედო გეგმის წარდგენის მხოლოდ ბოლო ეტაპზე ჩატარა. ეს კონსულტაციები OGP-ის ახალ ვალდებულებებზე საჯარო მოსაზრებების მიღებას არ გულისხმობდა. ისინი უფრო მთავრობის მიერ მიღებული გეგმის საზოგადოებისთვის გაცნობას ემსახურებოდა. გარდა ამისა, მთავრობას არ გამოუქვეყნებია საჯარო

კომენტარების შეჯამება და არ მოუწყვია საჯარო განხილვა იმისა, თუ რამდენად უპასუხებდა OGP-ის ვალდებულებები მოქალაქეთა საჭიროებებს. და ბოლოს, ვალდებულებები კარგად დაგეგმილი არ იყო და შეფასების ინდიკატორები აკლდა, რამაც მათი შესრულების პროგრესის შეფასება გაართულა.¹

მთავრობამ ზემოხსენებული ხარვეზები მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს გამოასწორა. კერძოდ, მან გამოაქვეყნა კონსულტაციების გეგმა და ინფორმაცია კონსულტაციების ვადების შესახებ, ფორუმის წევრები აქტიურად ჩართო ამ კონსულტაციებში და მედიას მიანოდა ინფორმაცია აღნიშნული პროცესის შესახებ. კონსულტაციებმა მთელი ქვეყანა მოიცვა და მათი მონაწილეების მოსაზრებები შემდეგ საბოლოო სამოქმედო გეგმაში აისახა. გარდა ამისა, მთავრობამ ონლაინსივრცეში გამოაქვეყნა იმ ქალაქებიდან/სოფლებიდან მიღებული საჯარო კომენტარების უმეტესობა, სადაც კონსულტაციები ჩატარდა. და ბოლოს, ახალი ვალდებულებების დაგეგმვაში უფრო მეტი საჯარო უწყება იყო ჩართული. მთავრობამ OGP-ის მიერ შემუშავებული ნიმუში გამოიყენა იმისთვის, რომ ამ ვალდებულებებისთვის დეტალური ინდიკატორები და ვადები დაემატებინა, რამაც მიღწეული პროგრესის შეფასება გააადვილა.

აღქმის გასაადვილებლად ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებამდე და მისი შესრულების პროცესში ჩატარებული კონსულტაციების შესახებ ინფორმაცია ქვემოთ მოყვანილ ცხრილ 1-შია მოცემული.

ცხრილი 1: სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებული კონსულტაციების პროცესი

მოქმედების ფაზა	OGP-ის პროცესის მოთხოვნა (OGP-ის სახელმძღვანელო დებულებების თავი)	შეასრულა თუ არა მთავრობამ მოთხოვნა?
შემუშავების პროცესში	იყო თუ არა კონსულტაციების ვადების და პროცესის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი კონსულტაციების ჩატარებამდე?	დიახ
	იყო თუ არა ვადების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი ონლაინსივრცეში?	დიახ
	იყო თუ არა ვადების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომი სხვა არხების მეშვეობით?	არა
	წარმოადგინეთ ვადების შესახებ ინფორმაციის შემცველი ვებგვერდები.	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველოს საჯარო კონსულტაციები 1. http://bit.ly/XnWnHf 2. http://bit.ly/1nYOsLq

	იყო თუ არა უზრუნველყოფილი კონსულტაციების შესახებ წინასწარი შეტყობინება?	დიახ
	რამდენი დღით ადრე იყო უზრუნველყოფილი წინასწარი შეტყობინება?	3 დღით ადრე
	იყო თუ არა შეტყობინების ეს დრო ადეკვატური?	არა
	განახორციელა თუ არა მთავრობამ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები?	არა
	წარმოადგინეთ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის შემცველი ვებგვერდები.	არ არსებობს
	ჩატარდა თუ არა ონლაინკონსულტაციები?	დიახ
	წარმოადგინეთ ონლაინკონსულტაციების შესახებ ინფორმაციის შემცველი ვებგვერდები.	http://bit.ly/1oV3BNi
	ჩატარდა თუ არა პერსონალური კონსულტაციები?	დიახ
	იყო თუ არა საჯარო კომენტარების შეჯამება ხელმისაწვდომი?	დიახ
	წარმოადგინეთ საჯარო კომენტარების შეჯამების ამსახველი ვებგვერდები.	http://bit.ly/1ogjsRA
	კონსულტაციები ყველასთვის ღია იყო თუ მათში მონაწილეობა მხოლოდ მონვევით შეიძლებოდა?	ღია
	მიუჩინეთ კონსულტაციებს შესაბამისი ადგილი IAP2-ის სკალაზე. ²	ჩართვა
შესრულების პროცესში	იყო თუ არა რეგულარული ფორუმი შესრულების პროცესში?	დიახ
	კონსულტაციები ყველასთვის ღია იყო თუ მათში მონაწილეობა მხოლოდ მონვევით შეიძლებოდა?	მხოლოდ მონვევით
	მიუჩინეთ კონსულტაციებს შესაბამისი ადგილი IAP2-ის სკალაზე.	თანამშრომლობა

წინასწარი შეტყობინება და ცნობიერების ამაღლება

2014 წლის მარტში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა პერსონალური საჯარო კონსულტაციების განრიგი. ეს შეხვედრები 2014

წლის 15 მარტიდან 16 აპრილამდე პერიოდში უნდა გამართულიყო.³ ამავე დროს, იუსტიციის სამინისტრომ თავის ვებგვერდზე შექმნა ცალკე განყოფილება, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეებს ახალ ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით ონლაინკომენტარების გაგზავნა შეეძლოთ.⁴ თუმცა, წინა ეროვნული სამოქმედო გეგმის მსგავსად, ფართო საზოგადოებას იუსტიციის სამინისტროს ონლაინ კონსულტაციების მოდულის შესახებ ინფორმაცია არ ჰქონდა და სამინისტროს აქტიურად არ უმუშავია იმისთვის, რომ ეს მოდული მთავრობისთვის კომენტარების გასაგზავნად რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს გამოეყენებინა. ეს იმიტომაც იყო განპირობებული, რომ OGP-ის განყოფილებას კვლავ არ უჭირავს თვალსაჩინო ადგილი იუსტიციის სამინისტროს ვებგვერდზე და OGP-ის სფეროში მთავრობის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოძიება რთულია.

OGP-ის საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია, იუსტიციის სამინისტროს გარდა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ და დედაქალაქსა და რეგიონებში მომუშავე რამდენიმე პოპულარულმა ონლაინმედიაგამოცემამაც გამოაქვეყნეს.^{5,6,7} ამ შეხვედრების განრიგი და მოკლე აღწერა გამოაქვეყნა ასევე ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), რომელიც ღია მმართველობის სფეროში ერთ-ერთი ლიდერი არასამთავრობო ორგანიზაციაა.^{8,9} თუმცა OGP-ის საკონსულტაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ საზოგადოებრივ მაუწყებელსა და სხვა პოპულარულ ეროვნულ სატელევიზიო არხებს – „რუსთავი 2“-სა და „იმედს“. ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საქართველოში OGP-ის შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონე კვლავ დაბალია.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად იუსტიციის სამინისტრომ სამოქმედო გეგმის შემუშავების შემდეგ, USAID-ის კარგი მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტთან და IDFI-სთან მჭიდრო თანამშრომლობით, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანია ჩაატარა. კერძოდ, შეიქმნა სოციალური რეკლამა, რომელიც სხვადასხვა ტელეარხზე გავიდა.¹⁰ გარდა ამისა, OGP-ის საჯარო საკონსულტაციო შეხვედრების მონაწილეებს დაურიგდათ ბროშურა, რომელშიც მოცემული იყო სამოქმედო გეგმის მოკლე შეჯამება ქართულ და ინგლისურ ენებზე.¹¹

კონსულტაციების ხარისხი და მასშტაბები

იუსტიციის სამინისტრომ OGP-ის ნიმუშის მიხედვით შეიმუშავა ეროვნული სამოქმედო გეგმის თავდაპირველი ვერსია და ის განახლებული ფორუმის წევრებს გააცნო. სამინისტრომ შესაბამის საჯარო უწყებებს მოცემულ ნიმუშში თავიანთი ვალდებულებები შეტანა, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებს – საკუთარი რეკომენდაციების ან ვალდებულებების პროექტის წარმოდგენა სთხოვა. ამავე დროს, იუსტიციის სამინისტრომ და ფორუმის წევრმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა სხვადასხვა რეგიონში საჯარო შეხვედრები გამართეს. ამ შეხვედრებზე მათ მოაწყვეს პრეზენტაციები OGP-ისა და ამ ინიციატივაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ და მოქალაქეებს მეორე ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შესატანად პრიორიტეტების განსაზღვრა სთხოვეს. ამ შეხვედრებზე და ფორუმის წევრებისგან ცალკე მიღებულ კომენტარებზე

დაყრდნობით, იუსტიციის სამინისტრომ სამოქმედო გეგმის პირველი პროექტი 2014 წლის აპრილში წარმოადგინა. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისგან მიღებული დამატებითი რეკომენდაციების სამოქმედო გეგმაში ასახვის შემდეგ საბოლოო დოკუმენტი სამინისტრომ OGP-ს 2014 წლის ივნისში წარუდგინა.¹²

ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავებისას იუსტიციის სამინისტრომ საჯარო კონსულტაციები წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით უფრო მეტ ქალაქსა და რეგიონში ჩაატარა, ვიდრე წინა ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს. კერძოდ, სამინისტრომ, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრებთან თანამშრომლობით, სულ 19 საკონსულტაციო შეხვედრა გამართა. ეს შეხვედრები საქართველოს 9 რეგიონის 15 ქალაქსა და სოფელში მოეწყო.¹³ შეხვედრებში ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიების, ბიზნესის, აკადემიური წრეების და პროფესიული კავშირების წარმომადგენლები და ჟურნალისტები მონაწილეობდნენ.^{14,15}

როგორც ზემოთ აღინიშნა, იუსტიციის სამინისტრომ თავის ვებგვერდზე ონლაინკონსულტაციების ჩასატარებლად ცალკე მოდული შექმნა. თუმცა სამინისტროს არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია მოქალაქეებისგან მიღებული ონლაინკომენტარების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ, რაც ართულებს ამ მოდულის საზოგადოებაზე გავლენის შეფასებას. ამასთანავე, იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა პერსონალური საკონსულტაციო შეხვედრების ოქმები, რაც დადებითი ფაქტია.¹⁶ ამ ოქმების მიხედვით, მოქალაქეებს ყველაზე მეტად ინტერნეტის, სამუშაო ადგილებისა და საჯარო სერვისების შეზღუდული ხელმისაწვდომობა აწუხებდათ. ამავე დროს, ისინი სახელმწიფო ხარჯების შესახებ უფრო მეტ ინფორმაციას და გადანყვევტილების მიღებაში მონაწილეობის უკეთეს შესაძლებლობას ითხოვდნენ.¹⁷

გარდა ამისა, ფორუმის წევრმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა IDFI-ის მეთაურობით სამოქმედო გეგმაში შესატანად ექვსი ვალდებულება წარმოადგინეს:

- 1) საჯარო პეტიციებისა და კონსულტაციებისთვის ონლაინპლატფორმის შექმნა;
- 2) საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა;
- 3) დანაშაულის სტატისტიკის საჯარო ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- 4) მოქალაქეთა ფარული მიყურადების კანონმდებლობის გაუმჯობესება და შესაბამისი სტატისტიკის გამოქვეყნება;
- 5) სახელმწიფო ხარჯების გამჭვირვალობის გაზრდა;
- 6) ეროვნული არქივის გამჭვირვალობის გაზრდა.¹⁸

ამავე დროს, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ მთავრობას კიდევ ორი ვალდებულების აღება შესთავაზა:

- 1) საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა;

2) მოქალაქის ბიუჯეტის (რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტის გამარტივებული, ნაკლებად ტექნიკური ვარიანტია) სავალდებულო გამოქვეყნება.

მთავრობა დათანხმდა, სამოქმედო გეგმაში შეეტანა შეთავაზებული ვალდებულებები, გარდა ორისა (საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა და მოქალაქის ბიუჯეტის სავალდებულო გამოქვეყნება).¹⁹

მთლიანობაში, მთავრობის მიერ ჩატარებულმა საჯარო კონსულტაციებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აზრთა სხვადასხვაობის უზრუნველყოფაში. ამ მოსაზრებების უმეტესობა გათვალისწინებულ იქნა მეორე ეროვნულ სამოქმედო გეგმაში, რაც ყველა ადგილობრივმა დაინტერესებულმა მხარემ პოზიტიურად შეაფასა.²⁰

დამატებითი ინფორმაცია

საქართველოში OGP-ის საჯარო კონსულტაციების მთელ პროცესს ძირითადად წარმართავდა იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრებთან აქტიური თანამშრომლობით. ძირითადი ნაკლი ის იყო, რომ ამ პროცესში პრემიერ-მინისტრის კაბინეტი, პარლამენტი და კერძო სექტორი არ იყვნენ ჩართული.

წყაროები

¹ ღია მმართველობის პარტნიორობის დამოუკიდებელი ანგარიშების მექანიზმი: საქართველოს წინსვლის ანგარიში 2012-13, <http://bit.ly/12m9MBq>

² IAP2-ის მოქალაქეთა ჩართულობის სკალა, მოქალაქეთა ჩართულობის საერთაშორისო ასოციაცია, <http://bit.ly/1kMmlYC>

³ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველო, საჯარო კონსულტაციები 2014, <http://bit.ly/XnWnHf>

⁴ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ონლაინკონსულტაციების მოდული, <http://bit.ly/1oV3BNi>

⁵ ღია მმართველობის პარტნიორობა – პრეზენტაცია, თვითმმართველი ქალაქი თელავი, 2014 წლის 17 მარტი, <http://bit.ly/1MXeyv5>

⁶ „ინტერპრესნიუსი“, „მთავრობამ ქუთაისში საჯარო კონსულტაცია გამართა“, 2014 წლის 22 მარტი, <http://bit.ly/1qPmxQq>

⁷ „ინტერპრესნიუსი“, „რუსთავში საჯარო დისკუსია გაიმართა“, 2014 წლის 19 მარტი, <http://bit.ly/1nRyD8x>

⁸ IDFI, „ღია მმართველობა საქართველო – საჯარო კონსულტაციები 2014“, 2014 წლის 17 მარტი, <http://bit.ly/1nYOsLq>

⁹ IDFI, „ღია მმართველობა – საჯარო კონსულტაციები თელავში“, 2014 წლის 18 მარტი, <http://bit.ly/1q0DxRs>

¹⁰ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველო 2014-2015, <http://bit.ly/1kpoQXS>

¹¹ ქეთევან ცანავა, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, კომენტარები IRM-ის ანგარიშის პროექტზე, 2015 წლის 7 დეკემბერი

¹² საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წწ. სამოქმედო გეგმა, <http://bit.ly/12D079H>

¹³ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველო, საჯარო კონსულტაციები 2014, <http://bit.ly/XnWnHf>

¹⁴ ღია მმართველობის პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, საქართველო, 2014-2015, გვ. 4, <http://bit.ly/1pLwPdI>

¹⁵ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველო, საჯარო კონსულტაციები 2014, <http://bit.ly/1pa4xxn>

¹⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო კონსულტაციების ოქმები, <http://bit.ly/1ogjsRA>

¹⁷ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საჯარო კონსულტაციების ოქმები, <http://bit.ly/1ogjsRA>

¹⁸ IDFI, „რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობისთვის საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმასთან (2014-2015) დაკავშირებით“, 2014 წლის მაისი, <http://bit.ly/V14mYV>

¹⁹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციები საქართველოს ღია მმართველობის პარტნიორობის 2014-2015 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, 2014 წლის 15 მაისი

²⁰ IDFI, „2014-15 წლების სამოქმედო გეგმა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული რეკომენდაციები“, 2014 წლის 5 აგვისტო (რეკომენდაციები ღია მმართველობის პარტნიორობისთვის საქართველოს მთავრობის სამოქმედო გეგმასთან (2014-2015) დაკავშირებით, 2014 წლის მაისი), <http://bit.ly/1rwslhS>

III. სამოქმედო გეგმის შესრულება

ქვეყნების OGP-ში განვრცობისას მათი მთავრობები ვალდებულებას იღებენ, ჩამოაყალიბონ ფორუმი მრავალი დაინტერესებული მხარის მონაწილეობით OGP-ის განხორციელების საკითხებზე კონსულტაციების რეგულარულად ჩატარებისთვის. ეს შეიძლება იყოს უკვე ჩამოყალიბებული ან სრულიად ახალი ფორუმი. ამ თავში მასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეჯამებაა მოცემული.

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი არის ეროვნულ დონეზე ძირითადი საკოორდინაციო მექანიზმი სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შემუშავებისა და შესრულების ხელშესაწყობად. ახალი სახელმძღვანელო წესების მიხედვით, ფორუმი მთლიანად OGP-ზეა ორიენტირებული და სამ ძირითად მიზანს ემსახურება: 1) საქართველოში ღია მმართველობის საკითხებზე რეკომენდაციების შემუშავება, OGP-ის ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშეწყობა და საჯარო კონსულტაციების ჩატარება; 2) ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებისა და მისი მონიტორინგის ხელშეწყობა; 3) OGP-ის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.¹

ფორუმს ახლა უფრო მეტი წევრი ჰყავს. მათ შორის არიან კონკრეტული ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი საჯარო უწყებები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც ადრე ფორუმში ჩართული არ იყვნენ (კერძოდ, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისთვის“).² არასამთავრობო ორგანიზაციები ფორუმის წევრები მათი ინტერესისა და OGP-ის სფეროში გამოცდილების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გახდნენ. ის, ვინც ფორუმის საქმიანობაში თავიდანვე მონაწილეობდა, ავტომატურად გახდა განახლებული ფორუმის წევრი. ამჟამად ფორუმის წევრები არ არიან ბიზნესის წარმომადგენლები, ხოლო არასამთავრობო სექტორს კვლავ მხოლოდ პროფესიული ორგანიზაციები წარმოადგენენ. ფორუმს მის წევრებს შორის გენდერული ბალანსის დასაცავად წესები არ აქვს. ფორუმში განვრცობისთვის შეზღუდვა არ არსებობს. დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა იუსტიციის სამინისტროს მათთვის ამ მიზნით მოსაწვევის გაგზავნა უნდა სთხოვონ.

ახალი სახელმძღვანელო წესების მიხედვით, ფორუმს ჰყავს ორი თანათავმჯდომარე/მომხსენებელი, რომლებიც დისკუსიებს წარმართავენ: ერთი – მთავრობას წარმოადგენს, ხოლო მეორე – სამოქალაქო საზოგადოებას. ორივე თანათავმჯდომარე ფორუმის წევრებს აწვდის ინფორმაციას მათ შესაბამის სექტორებში სიახლეების შესახებ.³ ფორუმის მეორე შეხვედრაზე, რომელიც 2014 წლის 5 თებერვალს გაიმართა, ფორუმის წევრებმა ფორუმის თანათავმჯდომარეებად იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი აირჩიეს.⁴ წინა პრაქტიკის მიხედვით, ფორუმის შეხვედრებს პერსონალური კონსულტაციების ფორმა აქვს და ისინი თვეში ერთხელ თბილისში,

იუსტიციის სამინისტროში ტარდება. ფორუმის წევრები შეთანხმდნენ, რომ ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში ფორუმის შეხვედრები ორ თვეში ერთხელ, უფრო არსებითი შინაარსის საკითხების განსახილველად დისკუსიებისთვის გაემართათ. შეხვედრების დღის წესრიგს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი განსაზღვრავს, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციები კითხვებს სვამენ და თავიანთ ხედვებს წარმოადგენენ. რეგულარული შეხვედრების გარდა, 2014 წლის მარტსა და ივნისში მოეწყო რამდენიმე სპეციალური შეხვედრა და მრგვალი მაგიდა ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესის ხელშესაწყობად.⁵ განახლებულ ფორუმთან დაკავშირებული დადებითი ცვლილებაა ის, რომ იუსტიციის სამინისტრომ ფორუმის შეხვედრების ოქმების გამოქვეყნება დაიწყო.⁶

IV. სამოქმედო გეგმის შინაარსის ანალიზი

OGP-ის წევრი ყოველი ქვეყნის მთავრობა შეიმუშავებს მისი ქვეყნის OGP-ის ეროვნულ სამოქმედო გეგმას, რომელიც პირველ ორწლიან პერიოდზე გათვლილ კონკრეტულ ვალდებულებებს შეიცავს. თითოეული მთავრობა საკუთარი ქვეყნის OGP-ის ეროვნულ სამოქმედო გეგმას მის მიერ არჩეულ დიდ გამოწვევებთან დაკავშირებული ძალისხმევის გაზიარებით იწყებს. ამ გამოწვევათა შორისაა ღია მმართველობის კონკრეტული სტრატეგიები და მიმდინარე პროგრამები. ამის შემდეგ სამოქმედო გეგმაში ასახულია OGP-ის წინაშე მთავრობის ვალდებულებები, რომელთა შესრულებაც შესაბამის სტრატეგიულ სფეროში მის საქმიანობას არსებული საწყისი ნიშნულიდან წინ წასწევს. ეს ვალდებულებები შეიძლება არსებულ ძალისხმევას ემყარებოდეს, მიმდინარე რეფორმების დასასრულებლად ახალ ზომებს გულისხმობდეს ან სრულიად ახალ სფეროში ახალ წამოწყებას ნიშნავდეს.

OGP-ის ვალდებულებები მთავრობის წინაშე მდგარ ხუთ „დიდ გამოწვევას“ უნდა უკავშირდებოდეს. OGP აღიარებს, რომ ყოველ ქვეყანას საკუთარი, განსხვავებული საწყისი ნიშნული აქვს. თითოეულმა ქვეყანამ თავად უნდა აირჩიოს ის დიდი გამოწვევები და მათთან დაკავშირებული კონკრეტული ვალდებულებები, რომლებიც ყველაზე უკეთ მისადაგება მის სპეციფიკას. დაუშვებელია სამოქმედო გეგმის, სტანდარტის თუ კონკრეტული ვალდებულების რომელიმე ქვეყნისთვის თავსმოხვევა.

OGP-ის ხუთი დიდი გამოწვევაა:

- 1. საჯარო მომსახურების გაუმჯობესება** – ზომები, რომლებიც სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების ან კერძო სექტორში სიახლეების დანერგვის ხელშეწყობას გულისხმობს და მოქალაქეთა მომსახურების სრულ სპექტრს (მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვას, განათლებას, სისხლის სამართალწარმოებას, წყალმომარაგებას, ელექტროენერჯით უზრუნველყოფას, სატელეკომუნიკაციო მომსახურებას და ყველა სხვა მნიშვნელოვან მომსახურებას) მოიცავს.
- 2. საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება** – ზომები, რომლებიც ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა კორუფცია,

საზოგადოებრივი ეთიკა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საარჩევნო კამპანიის დაფინანსების რეფორმა და მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების თავისუფლება.

3. **სახელმწიფო რესურსების უფრო ეფექტიანად მართვა** – ზომები, რომლებიც ბიუჯეტს, შესყიდვებს, ბუნებრივ რესურსებს და საგარეო დახმარებას ეხება.
4. **უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნა** – ზომები, რომლებიც საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, კატასტროფებითა და კრიზისული სიტუაციებით გამონვეულ და გარემოსადმი მიმართულ საფრთხევებს ეხება.
5. **კორპორაციული ანგარიშვალდებულების გაზრდა** – ზომები, რომლებიც ეხება ისეთ საკითხებთან დაკავშირებულ კორპორაციულ პასუხისმგებლობას, როგორებიცაა გარემოს დაცვა, კორუფციასთან ბრძოლა, მომხმარებელთა დაცვა და საზოგადოებრივი ჩართულობა.

გარდა იმისა, რომ კონკრეტული ვალდებულება ნებისმიერი დიდი გამონვევის შემთხვევაში მოქნილი უნდა იყოს და თითოეული ქვეყნის უნიკალურ სპეციფიკასთან მორგების საშუალებას უნდა იძლეოდეს, OGP-ის ყველა ვალდებულება უნდა შეესაბამებოდეს ღია მმართველობის იმ ღირებულებებს, რომლებიც მოცემულია OGP-ის სახელმძღვანელო წესებსა და ღია მმართველობის დეკლარაციაში, რომელსაც OGP-ის წევრმა ყველა ქვეყანამ მოაწერა ხელი.

IRM ღია მმართველობის ძირითად ღირებულებებთან შესაბამისობის შესაფასებლად შემდეგ განმარტებებს იყენებს:

- **ინფორმაციის ხელმისაწვდომობა** – ეს ვალდებულებები:
 - ეხება მთავრობის მიერ დაცულ ინფორმაციას;
 - გულისხმობს არა მხოლოდ მონაცემებს, არამედ ყველა სახის ინფორმაციას;
 - შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციის პროაქტიულ ან რეაქტიულ გამოქვეყნებას;
 - შეიძლება გულისხმობდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების გაფართოებას;
 - უნდა უზრუნველყოფდეს ინფორმაციის ღიაობას (არ უნდა აწესებდეს პრივილეგიებს ან განკუთვნილი არ უნდა იყოს მხოლოდ მთავრობის შიდა მოხმარებისთვის).
- **მოქალაქეთა ჩართულობა** – მთავრობები ცდილობენ მოახდინონ მოქალაქეთა მობილიზება, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ საჯარო დებატებში, წარმოადგინონ თავიანთი მოსაზრებები და საკუთარი წვლილი შეიტანონ უფრო ანგარიშვალდებულები, ინოვაციური და ეფექტიანი მმართველობის დანერგვაში. მოქალაქეთა ჩართულობასთან დაკავშირებული ვალდებულებები:
 - გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ღიაობას ყველა დაინტერესებული მხარისთვის. ასეთი ფორუმები, ჩვეულებრივ, მთავრობის ან მთავრობის მიერ სათანადო უფლებებით აღჭურვილი სუბიექტების მიერაა შექმნილი და,

შესაბამისად, გადანყვეტილების მიღების პროცესზე ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად „ზემოდან ქვემოთ“ იმართება;

- ხშირად შეიცავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ელემენტებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს გადანყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების დაინტერესებული წევრების ეფექტიანი ჩართულობა;
- ხშირად მოიცავს მოქალაქეთა იმ უფლების გაფართოებას, რომ მათი ესმოდეთ, მაგრამ აუცილებლად არ გულისხმობს მოქალაქეთა მოსაზრებების გათვალისწინებას.
- **საჯარო ანგარიშვალდებულება** – მოქმედებს წესები, რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც ხელისუფლების წარმომადგენლებს მოუწოდებს, დაასაბუთონ თავიანთი ქმედებები, რეაგირება მოახდინონ კრიტიკაზე ან მათთვის წაყენებულ მოთხოვნებზე და იკისრონ პასუხისმგებლობა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების ან აღებული ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის. ასეთი ვალდებულებები, როგორც ღია მმართველობის ნაწილი, ღიაობის ელემენტს უნდა შეიცავდეს, რაც იმას გულისხმობს, რომ ისინი არ უნდა მოიცავდნენ მხოლოდ შიდა სამთავრობო ანგარიშვალდებულების სისტემებს, რომლებსაც საჯარო კომპონენტი არ აქვთ.
- **ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის** – ტექნოლოგიებთან და ინოვაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები წერგავს ახალ ტექნოლოგიებს, ასევე ქმნის ახალ შესაძლებლობებს ინფორმაციის გაზიარებისთვის, მოქალაქეთა ჩართულობისა და თანამშრომლობისთვის. ტექნოლოგიებთან და ინოვაციასთან დაკავშირებული ვალდებულებები:
 - უფრო მეტ ინფორმაციას უნდა ასაჯაროებდეს იმ გზით, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, უკეთ გაიგონ, რას აკეთებს მთავრობა მათთვის, და მთავრობის გადანყვეტილებებზე გავლენა მოახდინონ;
 - შეიძლება მიზნად ისახავდეს, დაეხმაროს მთავრობებსა და მოქალაქეებს, რომ მათ ღიაობისა და ანგარიშვალდებულებისთვის ტექნოლოგიები გამოიყენონ;
 - შეიძლება თანაბრად დაეხმაროს საჯარო მოხელეებსა და მოქალაქეებს ტექნოლოგიების გამოყენებაში;
 - შეიძლება ორიენტირებული იყოს ეროვნულ, რეგიონულ ან/და ადგილობრივ დონეზე – სადაც, მთავრობის აზრით, ღია მმართველობის ღონისძიებები ყველაზე ეფექტიანი ექნება.

მთავრობებს კარგად უნდა ესმოდეთ, რომ ღია მმართველობის ვალდებულებების შესრულება ხშირად მრავალწლიან პროცესს გულისხმობს, და შესაბამისად, მათ საკუთარი ვალდებულებებისთვის უნდა განსაზღვრონ ვადები და კრიტერიუმები, რომლებიც მიუთითებს, რა არის განსახორციელებელი ყოველ წელს და ყველგან, სადაც კი შესაძლებელია.

ამ თავში დანვრილებით არის განხილული თითოეული ვალდებულება, რომელიც საქართველომ თავის ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეიტანა.

თუმცა თითოეული ვალდებულების ამსახველ მონაცემთა გრაფაში განთავსებულ ინდიკატორთა უმეტესობა თვითგანმარტებას ექვემდებარება, ზოგიერთი მათგანი დამატებით განმარტებას საჭიროებს.

1. შესაბამისობა: IRM-ის მკვლევარმა თითოეული ვალდებულება OGP-ის ღირებულებებთან და OGP-ის დიდ გამოწვევებთან მისი შესაბამისობის მიხედვით შეაფასა.
 - OGP-ის ღირებულებები: გაურკვეველია, როგორია OGP-ის ღირებულებებთან OGP-ის ზოგიერთი ვალდებულების მიმართება. ამგვარი შემთხვევების დასადგენად IRM-ის მკვლევარმა დასკვნა ვალდებულების ტექსტის დეტალური შესწავლის საფუძველზე გამოიტანა. ამ გზით დგინდება ვალდებულებები, რომლებიც უკვე გამოხატავს ღიაობის ფუნდამენტურ საკითხებთან მათ მიმართებას.
 - დიდი გამოწვევები: გარკვეული ვალდებულებები შეიძლება ერთზე მეტ დიდ გამოწვევასთან იყოს დაკავშირებული. თუმცა ანალიტიკოსმა მხოლოდ ის ვალდებულებები აღნიშნა, რომლებიც მთავრობამ გამოკვეთა.
2. ამბიციურობის მიხედვით, კერძოდ, არსებული საწყისი ნიშნულიდან რამდენად წინ სწევს მთავრობის საქმიანობას ვალდებულებიდან გამომდინარე ახალი ან მიმდინარე ღონისძიებები.
 - პოტენციური შედეგი: „ამბიციის“ ფართოდ განმარტებისთვის IRM-ის მკვლევარმა გააანალიზა, პოტენციურად რამდენად ტრანსფორმაციული შეიძლება იყოს ვალდებულება კონკრეტული პოლიტიკის სფეროში. ამას მკვლევარი ანალიზის შედეგებისა და სახელმწიფო პოლიტიკის ექსპერტის რანგში მუშაობის შედეგად დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე აკეთებს.
 - ახალი თუ ადრე არსებული: ფაქტებზე დაყრდნობით, IRM-ის მკვლევარმა ასევე დაადგინა, ეფუძნებოდა თუ არა ცალკეული ვალდებულებები სამოქმედო გეგმის მიღებამდე არსებულ რაიმე ქმედებას.
3. ვადები: IRM-ის მკვლევარმა თითოეული ვალდებულება მისი შესრულების ვადების მიხედვით შეაფასა, მაშინაც კი, როდესაც მკაფიო საბოლოო შედეგები და წლიური მიღწევები მითითებული არ იყო.
 - დასრულების პროგნოზირება: ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში IRM-ის მკვლევარი გადანყვეტილებას იმ ფაქტების საფუძველზე იღებს, რომლებიც მიუთითებს, რამდენად წინ წაინევიდა კონკრეტული ვალდებულება შეფასების პერიოდის დასასრულს.

ვალდებულებების ზოგადი მიმოხილვა

ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმა შეიცავს 29 ვალდებულებას, რომლებიც ოთხ დიდ გამოწვევას უკასხვებს: საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების

ამაღლება, სახელმწიფო რესურსების უფრო ეფექტიანად მართვა, უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნა. ამ ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებლობა სულ 16-მა საჯარო უწყებამ აიღო. მათგან 5 იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარება. ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი უწყებები არიან ასევე უზენაესი სასამართლო და 3 დამოუკიდებელი უწყება – სახელმწიფო აუდიტის სამსახური, სახელმწიფო შესყიდვების სამსახური და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), არჩევითი ორგანოები (პარლამენტი და საკრებულოები) კი ასეთ უწყებათა შორის არ არის. 2015 წლის აპრილში პარლამენტი საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციას შეუერთდა და იმავე წლის ივლისში ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა მიიღო.⁷

ვალდებულებების აღქმის გასაადვილებლად IRM-მა ისინი ეროვნული სამოქმედო გეგმისგან განსხვავებულად დააჯგუფა. კერძოდ, ვალდებულებები, მთავრობის მიერ წარმოდგენილი 4 თემის ნაცვლად, 16 თემის მიხედვით დაჯგუფდა. დაჯგუფების დროს IRM-ისთვის ძირითადი კრიტერიუმი იყო, ვალდებულებები იმ თემების მიხედვით დაჯგუფებულიყო, რომლებსაც ისინი ფარავდნენ. მთავრობამ ყველა (29) ვალდებულება OGP-ის ოთხი დიდი გამოწვევის (საჯარო მომსახურების გაუმჯობესება, საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამაღლება, სახელმწიფო რესურსების უფრო ეფექტიანად მართვა, უფრო უსაფრთხო საზოგადოების შექმნა) მიხედვით დააჯგუფა. თუმცა ამან ვერ უზრუნველყო იმ თემების ზუსტად წარმოდგენა, რომლებსაც ვალდებულებები რეალურად ფარავს. ზოგიერთი ვალდებულება, რომლებიც საჯარო მომსახურების ჯგუფში შედის, კერძოდ, „მომხმარებლის ხმა“ და data.gov.ge, ღია მონაცემებისა და მოქალაქეთა ჩართულობისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საჯარო მომსახურების მიწოდებისთვის. მთავრობას ვალდებულებების დაჯგუფების დროს ეს თემები ნათლად არ გაუმიჯნავს. ამის საპასუხოდ IRM-მა მსგავსი ვალდებულებებისთვის ცალკე ჯგუფები შექმნა. გარდა ამისა, ეროვნული სამოქმედო გეგმა შეიცავს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოების ვალდებულებას, რომლის მსგავსი სხვა ვალდებულება გეგმაში არ არის. IRM-მა ასეთი ცალკე მდგომი ვალდებულებები დაჯგუფებული ვალდებულებებისგან გაცალკევებით განათავსა. ამასთანავე, IRM-მა გააერთიანა თითოეული ვალდებულებისთვის შექმნილი ინდიკატორები, მათი ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე. შესაბამისად, ეს ანგარიში არის ვალდებულების შეფასება და არა მისი ინდიკატორებისა. ვალდებულებები ეროვნული სამოქმედო გეგმის ნუმერაციის მიხედვით არის დანომრილი. სხვაობა ერთადერთია და ვალდებულებების საერთო რაოდენობას შეეხება. სამოქმედო გეგმაში წერია, რომ მასში სულ 27 ვალდებულებაა, მაგრამ რეალურად გეგმაში 29 ვალდებულებაა წარმოდგენილი. კერძოდ, მთავრობამ №1ა და №1ბ ვალდებულებები, ასევე №6ა და №6ბ ვალდებულებები ორ ვალდებულებად გააერთიანა, თუმცა ეს ვალდებულებები, მათი ხასიათიდან გამომდინარე, ინდივიდუალური ვალდებულებებია. IRM-მა ეს ოთხი ვალდებულება ცალ-ცალკე დათვალა, რამაც ვალდებულებების საერთო რაოდენობა 29-მდე გაზარდა. ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგი ორი სათაურით: დაჯგუფებული ვალდებულებები და ცალკე მდგომი ვალდებულებები. შესაბამისად, ზოგჯერ ისინი რიგითობის მიხედვით დალაგებული არ არის.

არსებული 29 ვალდებულებიდან 12 ეხება საჯარო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებას, ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაზრდას და საჯარო სერვისების მართვის ელექტრონული სისტემების დანერგვას, ხოლო 3 – ეროვნული არქივის ხელმისაწვდომობის გაზრდას. 6 ვალდებულება ეხება ღია მონაცემების სტანდარტებისა და მოქალაქეთა ჩართულობის ონლაინმექანიზმების დანერგვას, ასევე ტექნოლოგიების გამოყენებით უსაფრთხო გარემოს შექმნას. მომდევნო 8 ვალდებულება შემდეგ საკითხებზეა ორიენტირებული: ინფორმაციის თავისუფლების აქტის შემუშავება; ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მუშაობის გაუმჯობესება; საჯარო სამსახურში მიღების პროცესის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის გაზრდა; საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა; ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება; საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის გაფართოება; სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

წყაროები

-
- ¹ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის სახელმძღვანელო წესები, 2014 წლის 15 იანვარი
 - ² ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მესამე შეხვედრის ოქმი, 2014 წლის 5 მარტი, <http://bit.ly/1rVRxOd>
 - ³ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მესამე შეხვედრის ოქმი, 2014 წლის 5 მარტი, <http://bit.ly/1rVRxOd>
 - ⁴ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მეორე შეხვედრის ოქმი, 2014 წლის 5 თებერვალი, <http://bit.ly/1m4Nwzz>
 - ⁵ „ინტერპრესნიუსი“, „ღია მმართველობა საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის პროექტის პრეზენტაცია გაიმართა“, 2014 წლის 6 ივნისი, <http://bit.ly/1nRyL85>
 - ⁶ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის შეხვედრების ოქმები, <http://bit.ly/1ocKaPn>
 - ⁷ საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა (2015-2016), <http://bit.ly/1P2blr7>

დაჯგუფებული ვალდებულებები

ჯგუფი 1: საჯარო სერვისები

1.ა. სამოგზაურო დაზღვევის სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლებში¹

მოქალაქეები იუსტიციის სახლში პასპორტის ასაღებად განაცხადის წარდგენასთან ერთად, იმავდროულად სამოგზაურო დაზღვევის პოლისის მიღებას შეძლებენ.

1.ბ. სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლებში²

ამ ინიციატივის მეშვეობით მომხმარებლები როგორც სახელმწიფო უძრავი ქონების შესყიდვას ან იჯარით მფლობელობაში აღებას, ისე ამ ქონების რეგისტრაციას ერთ სივრცეში განახორციელებენ. სანყის ეტაპზე ეს სერვისი იქ დაინერგება, სადაც ის საერთოდ არ არსებობს, მათ შორის, იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს მომსახურების ცენტრები არ აქვს (ოზურგეთი, გურჯაანი, ბათუმი და მარნეული) და მომხმარებელს სერვისის მისაღებად სხვა ქალაქში ჩასვლა უწევს.

3. უფრო იოლი მექანიზმის, „JUSTdrive“-ს, შექმნა იუსტიციის სახლების სერვისების მისაღებად³

მომხმარებელი დროს დაზოგავს და სასურველ მომსახურებას ავტომობილიდან გადაუსვლელად, თბილისის იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე „JUSTdrive“-ს ფანჯარასთან მხოლოდ ელექტრონული პირადობის მონუმბით მიიღებს.

4. განათლების სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სახლებში⁴

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებული დოკუმენტების – სკოლის სერტიფიკატებისა და დიპლომების – დამოწმება სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კომპეტენცია გახდება, დამოწმებული დოკუმენტები კი იუსტიციის სახლის სივრცეში გაიცემა.

5. მოქალაქის პორტალის – www.mygov.ge-ს⁵ – განვითარება

2015 წლის ბოლომდე სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს,

¹ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 1ა სამოქმედო გეგმაში, გვ. 4, <http://bit.ly/1Yf5K76>
² იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 1ბ სამოქმედო გეგმაში, გვ. 5, <http://bit.ly/1Yf5K76>

³ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 3 სამოქმედო გეგმაში, გვ. 6, <http://bit.ly/1Yf5K76>

⁴ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 4 სამოქმედო გეგმაში, გვ. 7, <http://bit.ly/1Yf5K76>

⁵ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 5 სამოქმედო გეგმაში, გვ. 8, <http://bit.ly/1Yf5K76>

ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს ცალკეული ელექტრონული სერვისების პორტალზე ინტეგრირებას. პორტალს მუნიციპალური ელექტრონული სერვისებიც დაემატება.

პორტალზე არსებული ელექტრონული სერვისების გამოყენების გასამარტივებლად სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტო მომხმარებელზე ორიენტირებული სერვისების კატალოგს შექმნის, პორტალის შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად კი 2015 წლის ბოლომდე დაგეგმავს და განახორციელებს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

8. ციფრული ხელმოწერისა და ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების დანერგვა⁶

ონლაინავთენტიფიკაციის სისტემა პირადობის ელექტრონული მონმობისა და მასში რეალიზებული უსაფრთხო ავთენტიფიკაციის მექანიზმების გამოყენებით განვითარდება.

საქართველოში ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემები ციფრული ხელმოწერისა და ციფრული შტამპის (ციფრული ხელმოწერა ორგანიზაციის სახელით) მექანიზმების შექმნითა და დახვეწით განვითარდება.

წამყვანი დაწესებულებები:

- 1.ა, 1.ბ, 2: იუსტიციის სახლი
- 4, 8: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო
- 5: მონაცემთა გაცვლის სააგენტო

დამხმარე დაწესებულებები:

- 1.ა: საღაბდვევო კომპანიები
- 1.ბ: სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- 3: სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ეროვნული არქივი, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, „სმარტ ლოჯიკი“ (Smart Logic).
- 4: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, იუსტიციის სახლი
- 5: სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები, ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები
- 8: საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

ვადები:

- 1.ა. სამოგზაურო დაზღვევის სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლებში

⁶ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 8 სამოქმედო გეგმაში, გვ. 14, <http://bit.ly/1Yf5K76>

1.ბ. სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლებში
დანყების თარიღი: 2014 წლის მაისი **დასრულების თარიღი:** 2014 წლის
 სექტემბერი

3. უფრო იოლი მექანიზმის, „JUSTdrive“-ს, შექმნა იუსტიციის სახლების სერვისების
 მისაღებად
დანყების თარიღი: 2014 წლის მაისი **დასრულების თარიღი:** 2014 წლის
 სექტემბერი

4. განათლების სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სახლებში
დანყების თარიღი: 2014 წლის სექტემბერი **დასრულების თარიღი:** 2014 წლის
 ოქტომბერი

5. მოქალაქის პორტალის – www.mygov.ge-ს – განვითარება
დანყების თარიღი: 2014 **დასრულების თარიღი:** 2015 წლის დეკემბერი

8. ციფრული ხელმოწერისა და ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების დანერგვა
დანყების თარიღი: 2014 წლის ივლისი **დასრულების თარიღი:** 2015 წლის
 ივლისი

ვალდებუ- ლების აღწერა	კონკრეტუ- ლობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება					
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება და	ტენსილოვები ინოვაცია	გამჭვირვალობისა და	ანგარიშგაღებულება პასივობის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
1.ა. სამოგზაურო დაზღვევის სერვისები				✓	გაურკვეველი								✓					
1.ბ. სახელმწიფო ქონების რეგისტრაცია				✓	გაურკვეველი								✓		✓			
3. JUSTdrive				✓	გაურკვეველი								✓					✓

4. განათლების სერვისები			✓	გაურკვეველი	✓				✓	
5. მოქალაქის პორტალი – www.mygov.ge			✓	გაურკვეველი	✓				✓	
8. ციფრული ხელმოწერა და ონლაინავთენ-ტიფიკაცია			✓	გაურკვეველი	✓				✓	

რა მოხდა?

1.ა: სამოგზაურო დაზღვევის სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლებში

ეს არის ახალი ვალდებულება, რომლის მიზანია, საქართველოს მოქალაქეებს უცხოეთში მგზავრობა გაუადვილოს და მათ პასპორტთან ერთად სამოგზაურო დაზღვევის პოლისის იუსტიციის სახლში აღების საშუალება მისცეს. იუსტიციის სახლის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ის, ვინც ახალ პასპორტს აიღებს, დიდი ალბათობით, იმავე დანესებულებაში სამოგზაურო დაზღვევის პოლისის მიღებასაც მოისურვებს. ამ ვალდებულებით მოქალაქეებს ავტომატურად შესთავაზებენ ელექტრონული სამოგზაურო დაზღვევის პოლისის აღებას, რაც უცხოეთში მგზავრობის დაგეგმვისას მათ დროსა და რესურსს დაზოგავს.¹ 2015 წლის ივლისში იუსტიციის სახლმა თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა განაცხადი ინტერესის გამოხატვაზე ყველა სადაზღვევო კომპანიისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ.² ამ განაცხადის მიხედვით, აუცილებელია, რომ კომპანიებს, სხვა ტექნიკური მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან ერთად, სამოგზაურო დაზღვევის სფეროში მუშაობის მინიმუმ 4 წლის გამოცდილება ჰქონდეთ, მომხმარებლებს სადაზღვევო პოლისების შესაძენად კონკურენტუნარიანი ფასი შესთავაზონ და ამ პოლისების გაყიდვიდან მიღებული მოგება იუსტიციის სახლს გაუზიარონ.³ იმ კომპანიის შერჩევის შემდეგ, რომელიც ყველა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებს, იუსტიციის სახლი სამოგზაურო დაზღვევის სერვისს 2015 წლის სექტემბერ-ოქტომბრიდან თავის ყველა ფილიალში დანერგავს. იქიდან გამომდინარე, რომ ამ ვალდებულებით მთავრობა კერძო სექტორის სერვისს პირველად დანერგავს, იუსტიციის სახლმა საკუთარ თანამშრომლებს ტრენინგები უნდა ჩაუტაროს და უნდა უზრუნველყოს, რომ მათ მომხმარებლებს მაღალი ხარისხის სერვისი მიაწოდონ.⁴

1.ბ: სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის სერვისის დანერგვა იუსტიციის სახლებში

ეს არის ასევე ახალი ვალდებულება, რომელიც მოქალაქეებს საშუალებას მისცემს, სახელმწიფო ქონების ყიდვა, იჯარით აღება და რეგისტრაცია იუსტიციის სახლებში განახორციელონ. საწყის ეტაპზე სერვისი იმ მუნიციპალიტეტებში უნდა დანერგილიყო, სადაც მისი ყველაზე დიდი საჭიროება იყო, კერძოდ, ოზურგეთში,

გურჯაანში, ბათუმსა და მარნეულში. შეფასების პერიოდში სახელმწიფო ქონების რეგისტრაციის სერვისი მხოლოდ მარნეულის მუნიციპალიტეტში იყო ხელმისაწვდომი. იუსტიციის სახლი სხვა მუნიციპალიტეტებში მომუშავე საკუთარ თანამშრომლებს ტრენინგებს უტარებს, რათა ეს სერვისი იქაც ხელმისაწვდომი გახდეს.⁵

3: უფრო იოლი მექანიზმის, „JUSTdrive“-ს, შექმნა იუსტიციის სახლების სერვისების მისაღებად

ეს არის უკვე არსებული ვალდებულება, რომელიც ჯერ კიდევ პირველ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში იყო შეტანილი, მაგრამ არ შესრულებულა. ამ ვალდებულების მთავარი მიზანია, თბილისში მოძრავ მძღოლებს იუსტიციის სახლის სერვისების მიღება გაუადვილდეთ, კერძოდ, მათ ეს მანქანიდან გადაუსვლელად შეძლონ. ეს სერვისი სრულად 2015 წლის აპრილში დაინერგა. თუმცა, იუსტიციის სახლის წარმომადგენლის თქმით, JUSTdrive-ს სერვისის მომხმარებელთა რაოდენობა ძალიან მცირეა, რაც ნაწილობრივ იმით არის განპირობებული, რომ იუსტიციის სახლს არ ჩაუტარებია ამ ვალდებულების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია.⁶

4: განათლების სერვისების ხელმისაწვდომობა იუსტიციის სახლებში

ეს არის ახალი ვალდებულება, რომელიც განათლების სერვისების, კერძოდ, სკოლის სერტიფიკატებისა და დიპლომების დამონმებასა და იუსტიციის სახლებში მათ ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. თუმცა შეფასების პერიოდში ამ ვალდებულების შესრულების დონე ძალიან შეზღუდული იყო. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მისი შესრულებისთვის აუცილებელი ბიზნესმოდული და კომპიუტერული პროგრამა შექმნა. თუმცა სპეციალური განკარგულების გარეშე, რომელიც მთავრობას დღემდე არ მიუღია, ეს უწყება აღნიშნული ვალდებულების შესრულებაში პროგრესს ვერ აღწევს. იქიდან გამომდინარე, რომ ეს ვალდებულება სამოქმედო გეგმას ნაჩქარევად დაემატა, როდესაც ჯერ კიდევ შემუშავების წინა ეტაპზე იყო, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მისი შესრულების ვადები გონივრულად ვერ განსაზღვრა. შესაბამისად, ამ უწყებამ ვერ შეძლო ვალდებულების 2014 წლის ოქტომბერში შესრულება, როგორც ეს ეროვნული სამოქმედო გეგმით იყო გათვალისწინებული.⁷

5: მოქალაქის პორტალის – www.mygov.ge-ს – განვითარება

ეს არის უკვე არსებული ვალდებულება, რომლის მიზანი იყო მოქალაქეებისთვის ონლაინსერვისებში მეტი საჯარო სერვისის მიწოდება. შეფასების პერიოდში mygov.ge-ზე დაახლოებით 70 საჯარო სერვისი იყო ხელმისაწვდომი, რაც 2013 წელთან შედარებით 10-ჯერ მეტია. ახალი სერვისები იუსტიციის სამინისტრომ, აღსრულების ეროვნულმა ბიურომ და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულმა ცენტრმა – „საქპატენტმა“ დაამატეს. გარდა ამისა, მონაცემთა გაცვლის სააგენტო ამჟამად mygov.ge-ზე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სერვისების დამატებაზე, ასევე კერძო კომპანიებისთვის ბიზნესპორტალის შექმნაზე მუშაობს. თუმცა mygov.ge-ზე ჯერ არ არის ხელმისაწვდომი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და მუნიციპალიტეტების სერვისები,

რადგან მათ არ შეუქმნიათ ელექტრონული საქმისწარმოების შიდა სისტემები, რომლებიც მათ მონაცემებს პორტალთან დააკავშირებს. გარდა ამისა, მთავრობას ონლაინსივრცეში მიწოდებული საჯარო სერვისების მომხმარებელთა რაოდენობის გასაზრდელად პიარკამპანია არ ჩაუტარებია.⁸

8: ციფრული ხელმოწერისა და ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების დანერგვა

დოკუმენტების ადმინისტრირების გასაადვილებლად და ქალაქის ხელმოწერასთან დაკავშირებული ხარჯების შესამცირებლად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ციფრული ხელმოწერისა და ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების განვითარების ვალდებულება აიღო. ორივე ეს სისტემა მიმდინარე ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღებამდე უკვე მოქმედებდა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოქალაქეები ახალი ელექტრონული ID ბარათის აღებისას იღებენ ასევე ორწლიან სერტიფიკატს პინკოდთან ერთად, რათა ID ბარათზე განთავსებული პერსონალური ინფორმაცია მართონ. სერტიფიკატის განახლების სურვილის შემთხვევაში მათ ყოველ ჯერზე 10 ლარი უნდა გადაიხადონ. მოქალაქეებს შეუძლიათ Id.ge-ზე გადმოტვირთონ ID ბარათის წასაკითხი და ციფრული ხელმოწერის შექმნის სპეციალური პროგრამა და mygov.ge-ზე ონლაინავთენტიფიკაცია მოახდინონ. 2014 წლის მარტში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ციფრული ხელმოწერის პროგრამის განახლებული ვერსია გამოუშვა. ძირითადი გამოწვევა ის არის, რომ ამ სისტემებს ძალიან ცოტა მომხმარებელი ჰყავს. ეს იმით არის განპირობებული, რომ მომხმარებლები ხშირად კარგავენ პინკოდებს ან ფრიდებიან თავიანთი პერსონალური ინფორმაციის ონლაინსივრცეში განთავსებას. ამის საპასუხოდ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ისეთ პროგრამას შექმნის, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება დაკარგული პინკოდის აღდგენა, ასევე ჩაატარებს ამ სისტემების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიას. კიდევ ერთი გამოწვევა ის არის, რომ კერძო კომპანიები საკუთარი ონლაინავთენტიფიკაციის სისტემების გამოყენებას ამჯობინებენ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო ამ კომპანიებს ტექნიკური ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფს, რათა მათი სისტემების სააგენტოს სისტემებთან ადაპტირება მოხდეს, კერძო სექტორი ამ ინიციატივაში მონაწილეობას მაინც ნაკლები ენთუზიაზმით ეკიდება.⁹

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

ეს ვალდებულებები საჯარო მომსახურების განვითარება ორიენტირებული, თუმცა ახალი ინფორმაციის გაცემასთან, სახელმწიფო გადანაცვებების მიღების პროცესის ღიაობასთან და მოქალაქეებისადმი მთავრობის გაზრდილ ანგარიშვალდებულებასთან მათი კავშირი ბუნდოვანია. შესაბამისად, ამ ვალდებულებების OGP-ის ღირებულებებთან მიმართება გაურკვეველია. გარდა ამისა, აღნიშნული ვალდებულებები მცირე ტექნიკურ ღონისძიებებს მოიცავს, რაც არ აძლიერებს ადგილობრივ თემებს და ხელს არ უწყობს საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკის შემუშავებას. აქედან გამომდინარე, IRM-ის შეფასებით, OGP-ის

ღირებულებებთან და მოქალაქეთა ცხოვრების სტანდარტის გაუმჯობესებასთან მიმართებით ამ ვალდებულებებს მცირე პოტენციური შედეგი აქვთ.

ყველა გამოკითხულმა დაინტერესებულმა მხარემ (რომელთა შორის მთავრობა არ იყო) აღნიშნა, რომ საჯარო მომსახურების გაუმჯობესება აუცილებელია მთავრობის მეტი ეფექტიანობისთვის, მაგრამ ეს ნაკლებად უკავშირდება OGP-ს, რადგან საჯარო მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები მთავრობის მეტ ღიაობას ვერ უზრუნველყოფს და არ შეიცავს რეფორმების განსახორციელებელ ინიციატივებს. აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეტანილი საჯარო მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ამბიციური ინიციატივა არ არის. ისინი მოქალაქეებისთვის ადვილი გასაგებია. ასევე იოლია მათი შესრულება. თუმცა საჯარო სერვისები უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს OGP-ის კონკრეტულ ვალდებულებებთან მიმართებით, როგორცაა „მომხმარებლის ხმა“, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, მიღებულ საჯარო მომსახურებაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვან (ეს ვალდებულება შედის მე-3 ჯგუფში „მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები“).¹⁰

კითხვაზე, უსარგებლიათ თუ არა მათ ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რომელიმე მომსახურებით, დაინტერესებულმა მხარეებმა (განსაკუთრებით უურნალისტებმა) მხოლოდ ერთი მათგანი – mygov.ge – აღნიშნეს. მათ ეს პორტალი ძირითადად მთავრობისთვის ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მოთხოვნების გასაგზავნად და მთავრობის წარმომადგენლებთან ინტერვიუების დასავგებმად გამოიყენეს.^{11,12} დაინტერესებული მხარეები, ზოგადად, კმაყოფილი იყვნენ პორტალის მუშაობით, თუმცა მათ პორტალთან დაკავშირებული სამი ძირითადი პრობლემა გამოიყვეს: 1) პორტალზე დარეგისტრირება კვლავ მოუხერხებელია (კერძოდ, აუცილებელი მოთხოვნებია ელექტრონული ID ბარათისა და USB ბარათის წამკითხველის ყიდვა, ასევე მომხმარებლის სახელისა და პაროლის მისაღებად იუსტიციის სახლში მისვლა), რამაც შეიძლება მომხმარებელს პორტალის გამოყენების სურვილი დაუკარგოს;¹³ 2) mygov.ge-ზე არსებული ინფორმაციის გამოთხოვის განყოფილება მომხმარებელს არ აძლევს საშუალებას, თვალი ადევნოს, მიიღო თუ არა მთავრობამ მისი მოთხოვნა, რომელ უწყებას გადაეგზავნა ეს მოთხოვნა და რამდენ ხანში გაეცემა მოთხოვნას პასუხი;¹⁴ 3) mygov.ge-ს შესახებ საზოგადოების ცნობიერების დონე კვლავ დაბალია და, შესაბამისად, პორტალზე განთავსებულ სერვისებს ბევრი მომხმარებელი არ ჰყავს.¹⁵

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეების აზრით, მთავრობამ შემდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში აქცენტი უნდა გააკეთოს არა მიმდინარე საჯარო სერვისებზე, არამედ ახალი რეფორმის განსახორციელებელ ინიციატივებზე, რომლებიც მეტად იქნება დაკავშირებული OGP-ის ღირებულებებთან. მთავრობასა და მოქალაქეთა შორის ონლაინკომუნიკაციის გასაუმჯობესებლად მთავრობამ, პირველ რიგში, mygov.ge-ზე დარეგისტრირების პროცედურები უნდა გაამარტივოს. მეორე, მან ეს პორტალი მთელი ქვეყნის მასშტაბით საზოგადოების ფართო ფენებს უნდა გააცნოს, რათა

ხელი შეუწყოს მის მომხმარებელთა რაოდენობის ზრდას და პორტალის მთავრობასთან დაკავშირების ძირითად მექანიზმად გამოყენებას.¹⁶

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, მისი უწყება mygov.ge-ს შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიას 2015 წლის სექტემბერში დაიწყო. პირველ რიგში, სააგენტო სკოლებში ელექტრონული სერვისების შესახებ სპეციალურ სახელმძღვანელოს დაარიგებს. მეორე, ის სხვადასხვა სატელევიზიო არხზე სარეკლამო რგოლებს გაუშვებს. და ბოლოს, საჯარო ადმინისტრაციის რეფორმის ახალი სტრატეგიის მიხედვით, რომელსაც პრემიერ-მინისტრმა 2015 წლის სექტემბერში უნდა მოაწეროს ხელი, ყველა საჯარო უწყება ვალდებული იქნება, ელექტრონული სერვისები განავითაროს და ისინი ერთიან ონლაინპლატფორმაზე განათავსოს. თუ ასეთ პლატფორმად mygov.ge შეირჩევა, მონაცემთა გაცვლის სააგენტო მოელის, რომ ამ პორტალს უფრო მეტი საჯარო უწყება და მოქალაქე დაუკავშირდება.¹⁷

მთავრობისადმი IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ ახალი საჯარო სერვისები მოქალაქეთა პრიორიტეტების მიხედვით განვითარდეს. ამისთვის მნიშვნელოვანია, რომ ყველა პასუხისმგებელმა უწყებამ – იუსტიციის სახლმა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ, მონაცემთა გაცვლის სააგენტომ – დაიწყოს იმის შესახებ ინფორმაციის პროაქტიულად და რეგულარულად გამოქვეყნება, თუ რამდენი მოქალაქე იყენებს ეროვნული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ სერვისებს და როგორია ამ სერვისების გამოყენების დროს მათი კმაყოფილების დონე. ამ უწყებებმა მოქალაქეებს ასევე უნდა მისცენ საშუალება, რომ მათ გამოყონ პრიორიტეტული სერვისები, რომლებიც ყველაზე მეტად სჭირდებათ. სერვისის შემუშავების პროცესში აქტიურად უნდა გაიმართოს მოქალაქეებთან კონსულტაციები და მათი მოსაზრებები საბოლოო პროდუქტში უნდა აისახოს. მოქალაქეებმა სერვისის ცუდად მუშაობის შემთხვევაში პრობლემის გადასაჭრელად პასუხისმგებელი უწყებისთვის შეტყობინების სწრაფად გაგზავნა უნდა შეძლონ. მხოლოდ ასეთი საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებებით შეძლებს მთავრობა საჯარო მომსახურების OGP-ის ღირებულებებთან დაკავშირებას.

წყაროები

¹ ინტერვიუ ირაკლი ლომიძესთან, იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილესთან (განვითარების დირექტორთან), 2015 წლის 5 აგვისტო

² იუსტიციის სახლი, <http://bit.ly/1E5cAoF>

³ იუსტიციის სახლი, <http://bit.ly/1NECIMN>

⁴ ლომიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო

⁵ ლომიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო

⁶ ლომიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო

⁷ ინტერვიუ გიორგი ლობჯანიძესთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ბიზნეს ანალიზისა და პროექტების მართვის სამსახურის უფროსთან, 2015 წლის 5 აგვისტო

⁸ ინტერვიუ ირაკლი გვენეტაძესთან, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარესთან, 2015 წლის 4 აგვისტო

⁹ ინტერვიუ მიხეილ კაპანაძესთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საიდენტიფიკაციო სერვისების განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან, 2015 წლის 5 აგვისტო

¹⁰ ინტერვიუ დევიდ სთოუნჰილთან, კავკასიაში (საქართველოში) აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დემოკრატიისა და მმართველობის ოფისის დირექტორის მოადგილესთან, 2015 წლის 3 აგვისტო

¹¹ სატელეფონო ინტერვიუ ეთერ თურაძესთან, გაზეთ „ბათუმელების“ რედაქტორთან, 2015 წლის 22 ივლისი

¹² ინტერვიუ მარიამ ბარამიძესთან, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის მაგისტრანტთან, 2015 წლის 4 აგვისტო

¹³ ფორუმი ჟურნალისტებთან, 2015 წლის 28 ივლისი

¹⁴ ინტერვიუ ლევან ავალიშვილთან, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარესა და პროექტების დირექტორთან, 2015 წლის 31 ივლისი

¹⁵ ინტერვიუ გიორგი კლდიაშვილთან, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორთან, 2015 წლის 31 ივლისი

¹⁶ კლდიაშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი

¹⁷ გვენეტაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 4 აგვისტო

ჯგუფი 2: ღია მონაცემები

9: ღია მონაცემების პორტალის – data.gov.ge-ს – განვითარება⁷

დღეს არსებული ვებგვერდი, რომელსაც ძირითადად სანავიგაციო ხასიათი აქვს და სამთავრობო უწყებების ვებგვერდების ელექტრონული მისამართების ერთობლიობაა, გარდაიქმნება ღია მონაცემების პორტალად, რომელზედაც ხელმისაწვდომი იქნება ღია მონაცემები, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს (data.gov.uk) და ამერიკის შეერთებული შტატების (data.gov) ღია მონაცემებთა ვებგვერდების მსგავსად.

15: პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება⁸

პოლიტიკური პარტიების მიერ დამუშავებად ფორმატში („Excel“-ის ცხრილების სახით) წარდგენილი ინფორმაცია და დამუშავებული სტატისტიკა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე გამოქვეყნდება.

წამყვანი დაწესებულებები:

9: მონაცემთა გაცვლის სააგენტო

15: სახელმწიფო აუდიტის სამსახური

დამხმარე დაწესებულებები:

9: სამინისტროები და სხვა სამთავრობო უწყებები, ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები

15: განსაზღვრული არ არის

ვადები:

9. ღია მონაცემების პორტალის – data.gov.ge-ს – განვითარება

დაწყების თარიღი: 2014 წლის აგვისტო დასრულების თარიღი: 2014 წლის დეკემბერი

15. პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება

დაწყების თარიღი: 2014 წლის მარტი დასრულების თარიღი: 2014 წლის სექტემბერი

⁷ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 9 სამოქმედო გეგმაში, გვ. 15, <http://bit.ly/1Yf5K76>

⁸ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 15 სამოქმედო გეგმაში, გვ. 22, <http://bit.ly/1Yf5K76>

ვალდებულებების აღწერა	კონკრეტული-ბა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	და ტექნოლოგიები ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულება-სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
9. ღია მონაცემების პორტალი – data.gov.ge			✓		✓							✓				✓	
15. პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციები				✓	✓								✓				✓

რა მოხდა?

9: ღია მონაცემების პორტალის – data.gov.ge-ს – განვითარება

ამ ვალდებულების მიზანი იყო არსებული ღია მონაცემების პორტალის, data.gov.ge-ს, განახლება მასზე ფაქტობრივი მონაცემების ღია მონაცემთა ფორმატში გამოქვეყნებით, რაც მანამდე არ ხდებოდა. უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციების მიხედვით, განახლებული პორტალი 2015 წლის დასაწყისში ამოქმედდა. 2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით, პორტალზე CSV-ისა და XML-ის ფორმატებში სულ 95 მონაცემი იყო განთავსებული. ამ მონაცემების უმრავლესობის მიმწოდებლები ფინანსებისა და განათლების სფეროებში მომუშავე უწყებები (კერძოდ, ეროვნული ბანკი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) იყვნენ. პორტალი მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ნახონ თითოეული მონაცემის გამოქვეყნებისა და ბოლო განახლების თარიღები, ასევე პასუხისმგებელი პირის საკონტაქტო ინფორმაცია. პორტალზე ასევე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მნახველთა და მონაცემების გადმოტვირთვის რაოდენობების შესახებ. მომხმარებლებს შეუძლიათ მონაცემებთან დაკავშირებით კომენტარები გააკეთონ და მათ ქულები მიანიჭონ.¹

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს თავმჯდომარის თქმით, მთავარი გამოწვევა ის არის, რომ საკანონმდებლო ბაზა, რომელიც საჯარო უწყებებს დაავალდებულებს, მონაცემები სისტემატურად შეავროვონ და ისინი data.gov.ge-ზე განათავსონ, არ არსებობს. შესაბამისად, მონაცემთა გაცვლის სააგენტო თითოეულ უწყებას ინდივიდუალურ წერილს უგზავნის იმის სათხოვნელად, რომ მან პორტალზე

მონაცემები განათავსოს.²ეს პრობლემა IRM-ის მკვლევართან ინტერვიუს დროს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენელმაც აღნიშნა.³

15: პოლიტიკური პარტიების ფინანსური დეკლარაციების დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება

ეს ვალდებულება, რომელიც პირდაპირ უპასუხებდა IRM-ის რეკომენდაციას, პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონაცემები დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნებულიყო, შეფასების პერიოდში შესრულდა. 2014 წლის მაისიდან სახელმწიფო აუდიტის სამსახური თავის ვებგვერდზე რეგულარულად, Excel-ის ცხრილების სახით აქვეყნებს პოლიტიკური პარტიების შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ ანგარიშებს ინდივიდუალურ შემომწირველთა სახელების, გვარებისა და პირადი ნომრების მითითებით.⁴ ეს ანგარიშები, CSV ფაილებში გადაყვანილი, ხელმისაწვდომია data.gov.ge-ზედაც.⁵ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პოლიტიკური პარტიები ძალიან იშვიათად აგრძელებენ საკუთარი ანგარიშების სკანირებულ PDF ფაილებად გამოგზავნას, თუმცა სამსახურის თხოვნის შემდეგ ისინი ამ ანგარიშებს დამუშავებად ფორმატში აგზავნიან.⁶

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

ღია მონაცემების გამოქვეყნება OGP-ის კონტექსტში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, რადგან ის მოქალაქეებისთვის საჯარო ინტერესის მქონე ოფიციალურ ინფორმაციას ადვილად ხელმისაწვდომს ხდის. დაინტერესებული მხარეების აზრით, საქართველოს ღია მონაცემებთან დაკავშირებული ვალდებულებები სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯია და მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას ემსახურება. თუმცა ქვეყნის ძირითადი ღია მონაცემების პორტალი, data.gov.ge, ამჟამინდელი ფორმით მეტად მწირ ინფორმაციას მოიცავს და მის მომხმარებელთა რაოდენობაც მცირეა, საჯარო უწყებებს კი კანონით არ ევალებათ საკუთარი მონაცემების ამ პორტალზე გამოქვეყნება. გარდა ამისა, მთავრობას ვალდებულების ტექსტში არ დაუზუსტებია, რა ტიპის მონაცემები გამოქვეყნდებოდა data.gov.ge-ზე, რამაც შეამცირა ამ პორტალის საზოგადოებაზე გავლენის დონე და მასშტაბი. შესაბამისად, ვალდებულების პოტენციური შედეგი შეფასდა, როგორც საშუალო. data.gov.ge-სგან განსხვავებით, პარტიების ფინანსურ მონაცემებს (მათ შორის, შემოსავლებისა და ხარჯების, ასევე შემომწირველთა შესახებ ინფორმაციას) რეგულარულად იყენებენ კვლევასა და ადვოკატირებაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები. ამის გათვალისწინებით, ვალდებულების მეორე კომპონენტის ფაქტობრივი გავლენა საზოგადოებაზე შეფასდა, როგორც ტრანსფორმაციული, მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმაში არსებული ვალდებულების თავდაპირველი ტექსტი, რომელიც საკმაოდ მოკლე და ტექნიკური ხასიათის იყო, ამას არ მიაწინებდა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყველა დაინტერესებული მხარე ერთნაირად კმაყოფილი არ იყო იმით, თუ როგორ მუშაობს პრაქტიკაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს განახლებული სისტემები. მათმა

უმეტესობამ განაცხადა, რომ რეგულარულად შედიან აუდიტის სამსახურის ვებგვერდზე და რომ პარტიების ფინანსური მონაცემების დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნების შემდეგ მათი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ამასთანავე, დაინტერესებულმა მხარეებმა მოინონეს data.gov.ge-ს ტექნიკური ინფრასტრუქტურა და ახალი დიზაინი, რომლის გამოყენება ახლა უფრო ადვილია. მათ ასევე გამოთქვეს კრიტიკული მოსაზრება პორტალზე განთავსებული მონაცემების სიმცირის გამო. როგორც ჟურნალისტებმა აღნიშნეს, ზოგიერთი მონაცემი გვიან ქვეყნდება, რის გამოც მათ გამოყენებას აზრი ეკარგება.⁷ მათ ისიც განაცხადეს, რომ სასურველი ტიპის მონაცემის არჩევის საშუალება არ აქვთ და მათთვის რთულია არსებული სხვადასხვა მონაცემის შედარება და გადამოწმება. შესაბამისად, ჟურნალისტებს ურჩევნიათ, კონკრეტული მონაცემების საძიებლად საჯარო უწყებების ინდივიდუალურ ვებგვერდებზე შევიდნენ ან ამ მონაცემების მოსაპოვებლად აღნიშნულ უწყებებს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ მოთხოვნები გაუგზავნონ.⁸ „ჯამპსტარტ ჯორჯიას“ აღმასრულებელი დირექტორის თქმით, data.gov.ge-სთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა ის არის, რომ ეს პორტალი არ მოიცავს ინფორმაციას, თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული მასზე განთავსებული მონაცემები, ამასთანავე, იგი მომხმარებელს არ აძლევს საშუალებას, მისთვის საინტერესო მონაცემების გამოქვეყნებისას შეტყობინების მისაღებად დარეგისტრირდეს.⁹ დაინტერესებულმა მხარეებმა გამოწვევად მიიჩნიეს ასევე პორტალის შესახებ საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონე, რაც მომხმარებელთა სიმცირეს განაპირობებს.¹⁰

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

პარტიების დაფინანსების გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად დაინტერესებული მხარეების ერთადერთი რეკომენდაციაა, რომ გამოქვეყნდეს ინფორმაცია პარტიების ინდივიდუალური შემომწირველების შემოსავლის წყაროების შესახებ.¹¹

ამის საპირისპიროდ, data.gov.ge-ს გასაუმჯობესებლად მათ გაცილებით მეტი რეკომენდაცია წარმოადგინეს, კერძოდ:

- მთავრობამ უნდა შექმნას საკანონმდებლო ბაზა, რომელიც ყველა საჯარო უწყებას (მათ შორის, პარლამენტს, სასამართლოებს და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს) დაავალდებულებს, მონაცემები data.gov.ge-ზე პროაქტიულად გამოაქვეყნონ;
- მომხმარებლებისთვის მონაცემების გამოყენების გასამარტივებლად მონაცემთა გაცვლის სააგენტომ უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია თითოეული მონაცემის ლიცენზირებისა და ინტელექტუალური საკუთრების შესახებ, ასევე იმის თაობაზე, თუ როდის იქნა ეს მონაცემი მოპოვებული;
- მონაცემთა გაცვლის სააგენტომ მომხმარებელს საშუალება უნდა მისცეს, რომ ის data.gov.ge-ზე დარეგისტრირდეს, სასურველი ტიპის მონაცემი აირჩიოს და, როდესაც ეს მონაცემი ხელმისაწვდომი გახდება, შეტყობინება მიიღოს;
- ამერიკული data.gov-ის მსგავსად, data.gov.ge ლიცენზიას არ უნდა ითხოვდეს და განაცხადის პროგრამირების ინტერფეისი (API) უნდა ჰქონდეს, რათა

მომხმარებლებმა არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით საკუთარი აპლიკაციების შექმნა შეძლონ;

- data.gov.ge-ზე განთავსებული მონაცემები (მათ შორის, გეოგრაფიული კოორდინატები, დიაგრამები და რუკები) მეტამონაცემების სტანდარტის დასაცავად უნდა იყოს შესაბამისად დასათაურებული და აღნიშნული, როდესაც ეს მიზანშეწონილია; data.gov.ge-ზე უფრო მეტი ინფორმაციის გამოქვეყნების და პორტალის გამოსაყენებლად მეტი მომხმარებლის მოზიდვის მიზნით მონაცემთა გაცვლის სააგენტომ უნდა მოახდინოს ფართომასშტაბიანი პიარკამპანია და ჰაკათონი, როგორც ეს ეროვნული სამოქმედო გეგმით იყო გათვალისწინებული.

წყაროები

¹ data.gov.ge, <http://bit.ly/1Nxc6ds>

² გვენეტაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 4 აგვისტო

³ სთუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

⁴ სახელმწიფო აუდიტის სამსახური, <http://bit.ly/1BLEuhI>

⁵ data.gov.ge, <http://bit.ly/1Po71m1>

⁶ სატელეფონო ინტერვიუ ზურაბ აზნაურაშვილთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგის სამსახურის უფროსთან, 2015 წლის 30 ივლისი

⁷ თურაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 22 ივლისი

⁸ ფორუმი ჟურნალისტებთან, 2015 წლის 28 ივლისი

⁹ ინტერვიუ ერიკ ბარეტთან, „ჯამპსტარტ ჯორჯიას“ აღმასრულებელ დირექტორთან, 2015 წლის 14 ივლისი

¹⁰ კლდიაშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი

¹¹ თურაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 22 ივლისი

ჯგუფი 3: მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები

2. იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის უკუკავშირის მექანიზმის – „მომხმარებლის ხმის“⁹ – შექმნა

ამ ეტაპზე იუსტიციის სახლის მომხმარებლის უკუკავშირი საჩივრის წარდგენის შესაძლებლობით გამოიხატება. ამ ვალდებულების ფარგლებში იუსტიციის სახლი დანერგავს უკუკავშირის მექანიზმს – „მომხმარებლის ხმას“, რომლის მიზანი იქნება თითოეულ უკუკავშირზე მოქალაქესთან კომუნიკაცია და მისთვის იუსტიციის სახლში არსებული პროდუქტების და მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ასევე, შესაძლებლობის ფარგლებში, არსებული სერვისების, პროცედურებისა და სტანდარტების გაუმჯობესება მოქალაქეთა მოსაზრებების გათვალისწინებით და მათი ჩართულობით. ახალი მექანიზმი გაზრდის საზოგადოებისადმი იუსტიციის სახლის ანგარიშვალდებულებას, ასევე მომხმარებელს მომსახურების პროცესების დახვეწასა და ხარისხის გაუმჯობესებაში უშუალოდ მონაწილეობის საშუალებას მისცემს.

12. ელექტრონული პეტიციების პორტალის – I-Change.ge-ს – შექმნა¹⁰

I-Change.ge-ს მეშვეობით მოქალაქე საქართველოს მთავრობისადმი ელექტრონული პეტიციის ინიცირებას მოახდენს. საქართველოს მთავრობის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ საკითხებზე (იხ. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი) მოქალაქეების მიერ ინიცირებული წინადადებები საკმარისი რაოდენობის ელექტრონული ხელმოწერის შეგროვების შემთხვევაში საქართველოს მთავრობის სხდომაზე განიხილება.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია ამ საკითხზე მომუშავე სხვა უწყებებთან ერთად უხელმძღვანელებს და კოორდინაციას გაუწევს ინიცირებული პეტიციის განხილვას. ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც რეგულარულად შეიკრიბება და ინიციატივის პროგრესს განიხილავს. სამუშაო ჯგუფი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, სსიპ – მონაცემთა გაცვლის სააგენტოს, საქართველოს პარლამენტის, სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს, არასამთავრობო ორგანიზაციების და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შედგება.

ელექტრონული პეტიციების პორტალზე მუშაობის დასრულება და მისი დანერგვა 2015 წელს მოხდება.

წამყვანი დანერგვები:

2: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

12: იუსტიციის სახლი

⁹ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 2 სამოქმედო გეგმაში, გვ. 5, <http://bit.ly/1Yf5K76>

¹⁰ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 12 სამოქმედო გეგმაში, გვ. 19, <http://bit.ly/1Yf5K76>

დამხმარე დაწესებულებები:

2: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საჯარო სამსახურის ბიურო, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

12: იუსტიციის სახლის მომხმარებლები

ვადები:

2. იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის უკუკავშირის მექანიზმის – „მომხმარებლის ხმის“ – შექმნა

დაწყების თარიღი: 2014 წლის მაისი **დასრულების თარიღი:** 2014 წლის აგვისტო

12. ელექტრონული პეტიციების პორტალის – I-Change.ge-ს – შექმნა

დაწყების თარიღი: 2014 წლის ივნისი **დასრულების თარიღი:** 2015 წლის ივნისი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტული				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულების სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებით	შესრულებული
2. „მომხმარებლის ხმა“				✓		✓	✓				✓						✓
12. I-Change.ge				✓		✓	✓					✓		✓			

რა მოხდა?

2: იუსტიციის სახლის მომხმარებლებისთვის უკუკავშირის მექანიზმის – „მომხმარებლის ხმის“ – შექმნა

იმისთვის, რომ მოქალაქეებს იუსტიციის სახლების სერვისებზე საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის საშუალება ჰქონოდათ, იუსტიციის სახლმა უკუკავშირის მექანიზმის – „მომხმარებლის ხმის“ – შექმნის ვალდებულება აიღო. 2014 წლის აპრილიდან ეს მექანიზმი 13 იუსტიციის სახლში დაინერგა. „მომხმარებლის ხმა“ მალე იქნება ხელმისაწვდომი ფოთის (საპორტო ქალაქი დასავლეთ

საქართველოში) იუსტიციის სახლში, რომელიც 2015 წლის ივლისში გაიხსნა. პრაქტიკაში ეს მექანიზმი ასე მუშაობს: იუსტიციის სახლების შესასვლელში სპეციალური ყუთები დგას; მოქალაქეებს შეუძლიათ ამ ყუთების გვერდით განთავსებული სტანდარტული უკუკავშირის ფორმები აიღონ, შეავსონ და ყუთებში ჩაყარონ.¹

IRM-ის მკვლევარი თბილისის იუსტიციის სახლს ეწვია იმის სანახავად, თუ როგორ გამოიყურება უკუკავშირის ფორმა. სტანდარტულ ფორმაში არის განყოფილება, რომელშიც მომხმარებელმა პერსონალური ინფორმაცია (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი) და განაცხადის შევსების ადგილი უნდა მიუთითოს. იუსტიციის სახლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ მოქალაქეს შეუძლია ამ ფორმაში პირადი ნომერი არ შეიყვანოს, თუმცა მის მიერ აღნიშნული ნომრის შეყვანის შემთხვევაში იუსტიციის სახლს მოქალაქისთვის პასუხის მიწოდება გაუადვილდება.² უკუკავშირის ფორმა შემდგომი პროცესების შესახებ ინფორმაციასაც შეიცავს. კერძოდ, იუსტიციის სახლის შიდა აუდიტის დეპარტამენტი მოქალაქეთა კომენტარებსა და საჩივრებს შეისწავლის და მათ 30 დღეში უპასუხებს. მოქალაქეებს შეუძლიათ მათ მიერ გაგზავნილი ფორმის სტატუსის თაობაზე ინფორმაცია იუსტიციის სახლის სატელეფონო სამსახურში დარეკვით და ფორმაზე განთავსებული უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდის მითითებით მოიძიონ.

12: ელექტრონული პეტიციების პორტალის – I-Change.ge-ს – შექმნა

ამ ვალდებულების მთავარი მიზანი იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა ელექტრონული პეტიციების პლატფორმის, I-Change.ge-ს (შემდგომ – Ichange.gov.ge), მეშვეობით. მთავრობის ადმინისტრაციამ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრებთან ამ პლატფორმის ირგვლივ დისკუსიები 2014 წლის შემოდგომაზე დაიწყო. Ichange.gov.ge-ზე საკუთარ მოსაზრებებს განსაკუთრებით აქტიურად წარმოადგენდნენ Tetra Tech ARD და IDFI, რომლებიც USAID-ის კარგი მმართველობის ინიციატივის (GGI) პროექტს ახორციელებენ. დისკუსიების რამდენიმე რაუნდის შემდეგ დაინტერესებული მხარეები შეთანხმდნენ პეტიციაზე ხელმოწერების რაოდენობის 5000-იან ზღვარზე, რომლის არსებობის შემთხვევაშიც მთავრობა ვალდებული იქნება, პეტიცია განიხილოს. ამასთანავე, მათ შეიმუშავეს კრიტერიუმები ახალი სისტემისთვის და სახელმძღვანელო, რომელიც Ichange.gov.ge-ს გამოყენების წესებს და მთლიან პროცესს განმარტავს.³

მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენლის თქმით, Ichange.gov.ge-ს ეყოლება ორი ტიპის მომხმარებელი (ისინი 18 წლის (საარჩევნო ასაკის) უნდა იყვნენ): დამონმბეული მომხმარებელი და დაუმონმბეული მომხმარებელი. პირველ კატეგორიას ახალი ID ბარათი უნდა ჰქონდეს. ის პორტალზე USB ბარათის წამკითხველით უნდა დარეგისტრირდეს ან უნდა შექმნას ინტეგრირებული პერსონალური გვერდი mygov.ge-ს ან rs.ge-ს (შემოსავლების სამსახურის ვებგვერდი) პერსონალური გვერდების გაერთიანებით. ელექტრონული პეტიციის

დარეგისტრირებას მხოლოდ ეს კატეგორია შეძლებს. დაუმონმებელ მომხმარებელს შეუძლია ამ მოთხოვნებს გვერდი აუაროს, თუმცა პორტალზე დარეგისტრირებისთვის და პეტიციის ხელმოსაწერად პერსონალური ინფორმაცია (სახელი, გვარი, ასაკი, პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი) მანაც უნდა მიუთითოს. ამ კატეგორიისთვის ერთადერთი შეზღუდვა ის იქნება, რომ იგი პეტიციას ვერ დაარეგისტრირებს.⁴

შემდეგ Ichange.gov.ge-ს მოდერატორი შეამოწმებს იმას, რომ პეტიცია მთავრობის ძალადობრივი დამხობისკენ მოწოდებას, შეურაცხყოფელ და სიძულვილის ენას ან დისკრიმინაციულ გამოხატვებებს არ შეიცავდეს. თუ პეტიცია შეიცავს მოთხოვნას, რომელიც პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს კომპეტენციაა, მოდერატორი ასეთ პეტიციას Ichange.gov.ge-ზე არ გამოაქვეყნებს და, ამის ნაცვლად, პეტიციის ავტორებს სთხოვს, პირდაპირ ზემოაღნიშნულ უწყებას მიმართონ. მოდერატორი პეტიციის მიღებიდან 10 დღეში მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, გამოაქვეყნოს თუ არა ეს პეტიცია. ამ მომენტიდან პეტიციის ავტორებს ექნებათ 30 დღე, რომ 5000 ხელმოწერა შეაგროვონ, რათა შემდეგ ეს პეტიცია მთავრობამ განიხილოს. თუ მათ ეს ვერ მოახერხეს, პეტიცია დაიხურება და გადავა არქივში, რომელიც ასევე ხელმისაწვდომი იქნება პორტალზე. თუ მათ შეაგროვეს 5000 ხელმოწერა, მაშინ ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც დაახლოებით 10 ადამიანისგან (მათ შორის, მთავრობის ადმინისტრაციისა და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელთაგან) შედგება, შეაფასებს პეტიციას სხვადასხვა უწყების კომპეტენციებთან მისი შესაბამისობის და განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის ბიუჯეტის არსებობის კუთხით. შემდეგ ეს ჯგუფი პეტიციას გადაუგზავნის კომპეტენტურ უწყებებს, რომლებსაც პასუხისთვის 3 თვე ექნებათ. მომხმარებლები ონლაინრეჟიმში მიაღწევენ თვალს პეტიციის სტატუსს და ნახავენ მთავრობის პასუხს. ეს სახელმძღვანელო წესებიც Ichange.gov.ge-ზე გამოქვეყნდება.⁵

მთავრობის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პორტალის საჩვენებელი გვერდი უკვე მზადაა და ტესტირებას გადის. იმის მთავარი მიზეზი, რომ პორტალი არ ამოქმედებულა 2015 წლის ზაფხულში, როგორც ეს ეროვნული სამოქმედო გეგმით იყო გათვალისწინებული, ის არის, რომ, ვინაიდან ამ პროცესში ბევრი საჯარო უწყებაა ჩართული, მათ შორის კოორდინაციას მოსალოდნელზე მეტი დრო დასჭირდა. მიუხედავად ამისა, პორტალი სრულად 2015 წლის შემოდგომაზე, მთავრობის მიერ სპეციალური განკარგულების მიღების შემდეგ ამოქმედდება. დაახლოებით იმავე დროს მთავრობა, USAID-ის მხარდაჭერით, პიარკამპანიას დაიწყებს და ეროვნულ ტელეარხებზე სარეკლამო რგოლებს გაუშვებს.⁶

ჰქონდა ამახ მნიშვნელობა?

დაინტერესებული მხარეები ფიქრობენ, რომ მოქალაქეთა ჩართულობასთან დაკავშირებული მთავრობის ვალდებულებები (განსაკუთრებით ელექტრონული პეტიციის პორტალის შექმნა) არის ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებები, რომლებსაც პირდაპირი კავშირი აქვს OGP-ის ღირებულებებთან, კერძოდ, ანგარიშვალდებულებასთან და მოქალაქეთა ჩართულობასთან. შესაბამისად, მათი

კომენტარების უმეტესობა Ichange.gov.ge-ს ეხებოდა. საქართველოში მთავრობის მიერ ადმინისტრირებული პეტიციების პორტალის არარსებობა ერთ-ერთი ძირითადი საკითხი იყო ბევრი მოქალაქისთვის, რომლებსაც ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებზე პეტიციის ინიცირებისთვის კერძო ვებგვერდების გამოყენება უწევდათ. თუმცა მთავრობის წარმომადგენლები ხშირად ამ ვებგვერდებზე დარეგისტრირებული ხელმოწერების ნამდვილობას საეჭვოდ ხდიდნენ.⁷ ამ ვალდებულებით მთავრობამ აჩვენა, რომ ის აღნიშნული პრობლემის გადაჭრას სერიოზულად ეკიდება. სწორად მუშაობის შემთხვევაში Ichange.gov.ge ტრანსფორმაციულ გავლენას მოახდენს მოქალაქეთა ცხოვრებაზე, რადგან ის მათ საშუალებას მისცემს, მათთვის საჭირობო საკითხებზე პეტიციები მთავრობას პირდაპირ გაუგზავნონ. მეორე მხრივ, იმის გათვალისწინებით, რომ „მომხმარებლის ხმასთან“ დაკავშირებული ვალდებულება არ მოიცავს არც ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს (რაც მისი ნაკლები მოხმარებით გამოიხატება) და არც უკუკავშირის ფორმებზე მომუშავე იუსტიციის სახლის თანამშრომლების კეთილსინდისიერების უზრუნველსაყოფ მონიტორინგის მექანიზმს, OGP-ის ღირებულებებზე ამ ინსტრუმენტის გავლენა შეფასდა, როგორც საშუალო.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია) წარმომადგენლის თქმით, Ichange.gov.ge-ს ძირითადი გამოწვევა ის არის, რომ პორტალის მოდერატორს პეტიციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ფართო უფლებამოსილება აქვს, რაც სუბიექტური ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა და სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის საფრთხეს ქმნის.⁸ მისი აზრით, ხელმოწერების 5000-იანი ზღვარი საქართველოსთვის ძალიან მაღალია და ეს რიცხვი 1500-მდე ან 1000-მდე უნდა შემცირდეს, რათა მოქალაქეებს პორტალის გამოყენებისთვის უფრო მეტი მოტივაცია ჰქონდეთ. და ბოლოს, პირადი ნომრის შეყვანის ვალდებულების გამო შეიძლება ბევრმა თავი შეიკავოს პორტალზე დარეგისტრირებისა და პეტიციების ხელმოწერისგან.⁹

USAID-ისა და Tetra Tech ARD-ის წარმომადგენლებმა პოზიტიურად შეაფასეს მთავრობის მსჯელობა, რომ Ichange.gov.ge-სთან დაკავშირებით პროგრესს მიაღწიოს, და პორტალის კონცეფციაზე საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს. USAID-ის წარმომადგენლის თქმით, ლეგიტიმურია ის მოსაზრება, რომ პეტიციის ხელმოსაწერად პირადი ნომრის შეყვანის მოთხოვნამ შეიძლება ზოგ მომხმარებელს პორტალის გამოყენების სურვილი დაუკარგოს. მაგალითად, აშშ-ში არსებული მსგავსი პეტიციების პორტალი, We the People, მომხმარებელს მთავრობისთვის პეტიციის გასაგზავნად მხოლოდ ელექტრონული ფოსტის მისამართის მითითებას და მის დამონმებას სთხოვს.¹⁰ თუმცა დანაშაულის აღმოჩენისთვის აშშ-ის ტექნოლოგიური შესაძლებლობები საქართველოსაზე გაცილებით მეტია. შესაბამისად, საქართველოსთვის მომხმარებლის ID ბარათით ავთენტიფიკაცია გონივრული მექანიზმია შესაძლო დანაშაულის/თაღლითობის თავიდან ასაცილებლად.¹¹ ეს მოსაზრება Tetra Tech ARD-ის ხელმძღვანელმაც გაიზიარა.¹² USAID-ის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პეტიციის ხელმოწერებისთვის 5000 გონივრული ზღვარია, რადგან ხელმოწერების რაოდენობის განსაზღვრის ზუსტი ფორმულა არ არსებობს, და რომ მთავრობას ეს გადაწყვეტილება საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე უნდა მიეღო.¹³

USAID-ისა და Tetra Tech ARD-ის წარმომადგენლებმა ისიც განაცხადეს, რომ Ichange.gov.ge-ს ძირითადი პრობლემის გადასაჭრელად პორტალი უნდა ამოქმედდეს და ის ტექნოლოგიურად გამართული და ყველა მოქალაქისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოსთვის“ CRRC-საქართველოს მიერ ჩატარებული 2015 წლის უახლესი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მიხედვით, ქართულად მოსაუბრე ზრდასრული (18 წლის და მეტი ასაკის) მოსახლეობის 46 პროცენტს ინტერნეტი არასდროს გამოუყენებია.¹⁴ იმისთვის, რომ ახალი პორტალის გამოყენების სურვილი უფრო მეტ მოქალაქეს გაუჩნდეს, მთავრობამ და დაინტერესებულმა მხარეებმა მათ უნდა აუხსნან, როგორი უნდა იყოს სწორად შედგენილი პეტიცია და როგორ უნდა მოიძიონ ამ პეტიციის მხარდაჭერები. 2015 წლის შემოდგომისთვის დაგეგმილი პიარ- და საგანმანათლებლო კამპანია სწორედ ამას ემსახურება.^{15,16}

რაც შეეხება „მომხმარებლის ხმა“, დაინტერესებული მხარეები ფიქრობენ, რომ ეს არის საჯარო მომსახურების ვალდებულების ძირითადი კომპონენტი, რომელიც თანხვდება OGP-ს, და მოსალოდნელია, რომ იგი გააუმჯობესებს მთავრობის მიერ მიწოდებული სერვისების ხარისხს. ამასთანავე, „მომხმარებლის ხმა“ კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება იდეები „ქვემოდან ზემოთ“ წავიდეს. ამ უკუკავშირის მექანიზმის შექმნის იდეა OGP-ის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე ჩატარებული საჯარო კონსულტაციების დროს სწორედ მოქალაქეებმა წამოაყენეს.¹⁷ სამოქალაქო საზოგადოების და მთავრობის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მოქალაქეებმა „მომხმარებლის ხმა“ უკვე გამოიყენეს და იუსტიციის სახლისგან პასუხებიც მიიღეს. იუსტიციის სახლს აქვს სპეციალური პროგრამა, რომლის მეშვეობითაც ის მოქალაქეთა მოსაზრებებს ანალიზებს. 2015 წლის 7 აგვისტოს მონაცემებით, იუსტიციის სახლმა 1000-ზე მეტი შევსებული განაცხადის ფორმა მიიღო. ამ განაცხადებში მომხმარებლები მათდამი იუსტიციის სახლის პერსონალის მოპყრობას უმეტესად პოზიტიურად აფასებდნენ. თუმცა ზოგ შემთხვევაში ზოგიერთი თანამშრომლის ქცევასთან დაკავშირებით უკმაყოფილება იყო გამოთქმული.¹⁸

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეების აზრით, მალე ასამუშავებელი Ichange.gov.ge-ს გამოსაყენებლად მოქალაქეების წახალისებისთვის მთავრობამ ამ პორტალის მოხმარების წესები უნდა გაამარტივოს და უნდა მოხსნას ზედმეტი ბიუროკრატიული დაბრკოლებები, რომლებიც პეტიციის ავტორების უფლებამოსილებას და ავტორიზაციას უკავშირდება. ამასთანავე, მთავრობამ თავი უნდა შეიკავოს საზოგადოების იმ ჯგუფების გარიყვისგან, რომლებსაც შეიძლება მისთვის პოლიტიკურად მგრძნობიარე საკითხებზე პეტიციის გაგზავნა სურდეთ. ყველა მოქალაქემ თავისუფლად უნდა შეძლოს იმის არჩევა, თუ რა ტიპის პეტიციას გაუგზავნის მთავრობას.¹⁹

ზოგიერთი დაინტერესებული მხარე დაეთანხმა იმ აზრს, რომ პირადი ნომრის მეშვეობით შესაძლებელია Ichange.gov.ge-ზე თაღლითობისა და პორტალის ბოროტად გამოყენების ფაქტების თავიდან აცილება. თუმცა მათ ისიც აღნიშნეს, რომ

მთავრობამ ნათლად უნდა აუხსნას მომხმარებლებს, როგორ დაიცავს იგი მათ პერსონალურ მონაცემებს არაკანონიერი მოპოვებისა და გამოყენებისგან.²⁰

IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ იუსტიციის სახლმა „მომხმარებლის ხმის“ ონლაინვერსია შექმნას, რათა დაიზოგოს იმ მოქალაქეთა დრო და რესურსი, რომლებსაც იუსტიციის სახლისთვის მის მიერ მიწოდებულ სერვისებზე საკუთარი მოსაზრებების გაგზავნა ან ახალი რეფორმის განსახორციელებლად ინიციატივების წარმოდგენა სურთ. Ichange.gov.ge-სთან დაკავშირებით IRM-ის მკვლევარიც ფიქრობს, რომ ეს პორტალი ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც საკუთარი იდეების მთავრობისთვის მიწოდებას მოინდომებს. შესაბამისად, პორტალი არ უნდა შეიცავდეს ზედმეტ მოთხოვნებს, კერძოდ, პეტციის დარეგისტრირებისთვის ახალი ID ბარათისა და USB ბარათის წამკითხველის გამოყენების მოთხოვნას.

წყაროები

¹ ლომიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო

² ლომიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო

³ ინტერვიუ გიგა ჰაიჭაძესთან, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ელექტრონული მმართველობის განვითარების დეპარტამენტის უფროსთან, 2015 წლის 6 აგვისტო

⁴ ჰაიჭაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 6 აგვისტო

⁵ ჰაიჭაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 6 აგვისტო

⁶ ჰაიჭაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 6 აგვისტო

⁷ Media.ge, „17 მაისის თაობაზე პეტციის ხელმოწერების სანდოობას Facebook-ში დაწყებული კამპანიით ადასტურებენ“, 2013 წლის 18 ივნისი, <http://bit.ly/1SftYdd>

⁸ ინტერვიუ სულხან სალაძესთან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის პროექტის კოორდინატორთან, 2015 წლის 30 ივლისი

⁹ სალაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 30 ივლისი

¹⁰ თეთრი სახლი, We the People, <http://1.usa.gov/1KO6gig>

¹¹ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

¹² ინტერვიუ დევიდ სმიტთან, Tetra Tech ARD-ის ხელმძღვანელთან, 2015 წლის 11 აგვისტო

¹³ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

¹⁴ CRRC-საქართველო, ონლაინმონაცემების ანალიზი, <http://bit.ly/1hzEcIU>

¹⁵ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

¹⁶ სმიტი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო

¹⁷ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

¹⁸ ლომიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო

¹⁹ სალაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 30 ივლისი

²⁰ ინტერვიუ ვაკო ნაცვლიშვილთან, ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის კოორდინატორთან, 2015 წლის 11 აგვისტო

ჯგუფი 4: ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობები

6.ა. საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება¹¹

საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება როგორც საჯარო სერვისების, ისე ყველაზე მოთხოვნადი კერძო სერვისების სოფლის დონეზე ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. ადგილობრივ მოსახლეობას 200-მდე სერვისის სოფლიდან გაუსვლელად მიღება შეუძლია. ცენტრი ადგილობრივი მოსახლეობისთვის სერვისების მიწოდების, ასევე საზოგადოების ჩართულობისა და გააქტიურების ფუნქციას ასრულებს.

ამ ეტაპზე ქვეყნის მასშტაბით საზოგადოებრივი 12 ცენტრი ფუნქციონირებს. 2014 წლის ბოლომდე კიდევ 6 ცენტრი აშენდება, რაც გაზრდის ადგილობრივ დონეზე გადანაცვტილების მიღების პროცესში ჩართულ მოქალაქეთა რაოდენობას.

6.ბ. ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართველობებში¹²

2014 წლის განმავლობაში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო მუნიციპალური სერვისების მართვის ელექტრონულ სისტემას 6 საპილოტე მუნიციპალიტეტში (ქარელი, თეთრი წყარო, ხაშური, ხობი, ახმეტა და ვარდაბანი) დანერგავს, რისთვისაც შესაბამისი კადრები გადამზადდებიან და მუნიციპალიტეტების თანამშრომლებს ტრენინგები ჩაუტარდებათ.

მუნიციპალიტეტებისთვის ხელმისაწვდომი იქნება არსებული ელექტრონული მონაცემთა ბაზები (სსიპ-ების – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, ასევე ცენტრალური ხელისუფლების და კერძო კომპანიების მონაცემთა ბაზები), რაც შეამცირებს ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატში მოქალაქეთა შესახებ მონაცემების შეგროვებისთვის, დამუშავებისა და შემოწმებისთვის საჭირო ადამიანური და დროითი რესურსების დანახარჯებს. სერვისები, რომლებიც სისტემის მეშვეობით იქნება მიწოდებული, ხელმისაწვდომი გახდება www.my.gov.ge-ზედაც. გარდა ამისა, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესასწავლად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო კვლევას ჩაატარებს და მის საფუძველზე შექმნის ახალ პორტალს, რომელზედაც განთავსდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტებისა და საზოგადოებრივი ცენტრების საქმიანობის შესახებ.

2014-2015 წლებში ელექტრონული მმართველობა კიდევ 4 მუნიციპალიტეტში დაინერგება. ამასთანავე, სისტემის განვითარებისთვის მოხდება პროექტის სანციის ეტაპზე შერჩეული მომსახურებების რაოდენობის გაზრდა, სხვა მომსახურებების შესწავლა და სისტემაში შესაბამისი საქმისწარმოების პროცესების გათვალისწინება.

7. რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით¹³

¹¹ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 6a სამოქმედო გეგმაში, გვ. 9, <http://bit.ly/1Yf5K76>

¹² იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 6b სამოქმედო გეგმაში, გვ. 11, <http://bit.ly/1Yf5K76>

¹³ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 7 სამოქმედო გეგმაში, გვ.12, <http://bit.ly/1Yf5K76>

ეს ვალდებულება საქარო ბიბლიოთეკების ახალი დანიშნულებით გამოყენებას გულისხმობს: ტრადიციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, საქარო ბიბლიოთეკები საზოგადოებრივი ცენტრების ფუნქციებს შეიძენს. საზოგადოებრივ ცენტრებთან ერთად საქარო ბიბლიოთეკები იქნება დამატებითი საშუალება სოფლის მოსახლეობისა და ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაზრდის ხელშესაწყობად. საზოგადოებას საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით (ინტერნეტი, კომპიუტერული ტექნიკა, ახალი წიგნები) აღჭურვილ საქარო ბიბლიოთეკებში მომსახურებას ვადაძღვებულ ბიბლიოთეკარები გაუწევენ.

პროექტის მიზანია რეგიონულ დონეზე საქარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მოსახლეობასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ჩართულობის გაზრდა, ბიბლიოთეკართა შესაძლებლობების გაძლიერება ელექტრონული მმართველობისა და ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენებით.

2014 წელს საპილოტე პროექტი 4 საქარო ბიბლიოთეკაში განხორციელდება. მისი შედეგების გათვალისწინებით, მუშაობა 2015 წელს გაგრძელდება.

წამყვანი დაწესებულებები:

სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები:

6.ა: ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, შპს „მექანიზატორი“, ევროკავშირი, „მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“, ლიბერთი ბანკი, მაგთიკომი

6.ბ: ადგილობრივი თვითმმართველობა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, სოციალური მომსახურების სააგენტო, ევროკავშირი, იუ-ჯი-თი (UGT)

7: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭო (IREX), ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია

ვადები:

1. საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება

დაწყების თარიღი: 2014 წლის იანვარი **დასრულების თარიღი:** 2015 წლის დეკემბერი

2. ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართველობებში

დაწყების თარიღი: 2014 წლის მარტი დასრულების თარიღი: 2015 წლის მარტი

3. რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით

დაწყების თარიღი: 2013 წლის დეკემბერი დასრულების თარიღი: 2014 წლის დეკემბერი

ვალდებულების აღწერა	კონკრეტული				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება					
	არაერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	დაინოვაცია	ტექნოლოგიები	გაჭვირვადობისა და ანგარიშგაღებულების სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
6.ა. საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება			✓		✓							✓						✓
6.ბ. ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართველობებში			✓		გაურკვეველი						✓						✓	
7. რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით			✓		გაურკვეველი						✓						✓	

რა მოხდა?

6.ა: საქართველოში საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება
 ამ ვალდებულების მიზანი იყო ადგილობრივ დონეზე საჯარო მომსახურების გაუმჯობესება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა საზოგადოებრივი ცენტრების ქსელის გაფართოებით. შეფასების პერიოდში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ თავდაპირველად დაგეგმილი 6-ის ნაცვლად 13 ახალი ცენტრი გახსნა, ხოლო კიდევ 7 ცენტრი მშენებლობის

პროცესში იყო. ამან საქართველოში მოქმედი საზოგადოებრივი ცენტრების რაოდენობა 12-დან 25-მდე გაზარდა. გარდა ამისა, 2014 წლის დეკემბერში შეიქმნა სპეციალური ვებგვერდი, centri.gov.ge, რომელიც საზოგადოებრივი ცენტრების მდებარეობის, სერვისებისა და საქმიანობის შესახებ ინფორმაციას იძლევა.¹ საზოგადოებრივი ცენტრები მოქალაქეებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორის 200-ზე მეტ სერვისს (მათ შორის, ბანკებისა და მობილური ოპერატორების სერვისებს) სთავაზობს. იმ სერვისების რაოდენობა, რომლებიც მოქალაქეებმა საზოგადოებრივ ცენტრებში მიიღეს, წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მაგალითად, 2012 წელს მოქალაქეებმა სულ 3627 სერვისი მიიღეს, 2014 წელს – 153518, ხოლო 2015 წლის მხოლოდ პირველი შვიდი თვის განმავლობაში – 89104.² სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო არსებულ მომსახურებებს დაამატებს სანოტარო და უფასო იურიდიული დახმარების მომსახურებებს, რომლებზედაც მაღალი საზოგადოებრივი მოთხოვნილებაა. საზოგადოებრივი ცენტრები გამოიყენება ასევე საჯარო შეხვედრების გასამართად, რომლებშიც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მონაწილეობენ.³ შეფასების პერიოდში საზოგადოებრივმა ცენტრებმა უმასპინძლეს სხვადასხვა ღონისძიებასა და საინფორმაციო შეხვედრას, რომლებშიც 1300-ზე მეტი მოქალაქე მონაწილეობდა. ეს შეხვედრები 2014 წელს მიღებულ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს, ევროკავშირთან ინტეგრაციას, მუნიციპალიტეტების განვითარების გეგმებს, mygov.ge-ს, დოკუმენტური ფილმების ჩვენებასა და შემდგომ დისკუსიებს და სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანების შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიას შეეხებოდა. 2017 წელს, მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ცენტრები ყველა საჭირო რესურსით სრულად აღიჭურვება, ისინი მუნიციპალიტეტებს საკუთრებაში გადაეცემა.⁴

6.ბ: ელექტრონული მმართველობის შემოღება ადგილობრივ თვითმმართველობებში

საზოგადოებრივი ცენტრების სერვისების ონლაინსივრცეში ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ მიზნად დაისახა ამ ცენტრების ელექტრონული ინფრასტრუქტურის განვითარება. მუნიციპალური სერვისების მართვის სისტემის პილოტირებისთვის 5 მუნიციპალიტეტი შეირჩა. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო აღნიშნული სისტემის დასანერგად მჭიდროდ თანამშრომლობდა ამ მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო (საკრებულო) და აღმასრულებელ (მერია/გამგებელი) ორგანოებთან. გეგმის მიხედვით, ახალი სისტემა საზოგადოებრივი ცენტრების 10 ყველაზე მოთხოვნილი სერვისის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.⁵ 2015 წლის თებერვალში სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ 8 საზოგადოებრივ ცენტრში ჩაატარა კვლევა იმის დასადგენად, თუ რა ტიპის ინფორმაციისა და სერვისების მიღება სურთ მოქალაქეებს ონლაინსივრცეში. კვლევაზე დაყრდნობით, სააგენტო centri.gov.ge-ზე განათავსებს დამატებით სერვისებს უკუკავშირის ონლაინმექანიზმთან და მობილურ აპლიკაციებთან ერთად.⁶ საზოგადოებრივი ცენტრების თანამშრომელთა ხშირი ცვლილებიდან, მათი დაბალი ტექნიკური კომპეტენციიდან და ცენტრების ცუდი ინფრასტრუქტურიდან გამომდინარე,

მდგომარეობის გამოსასწორებლად სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მნიშვნელოვანი რესურსის დახარჯვა მოუწია. კერძოდ, ჩატარდა სერვისების მართვის ახალ სისტემასთან და ეფექტიან კომუნიკაციასთან დაკავშირებული ტრენინგები, დაყენდა და შეკეთდა მაღალი სიჩქარის ინტერნეტკაბელები და საზოგადოებრივ ცენტრებში მოქალაქეთა მისაღები გარემონტდა. შემდეგ ეტაპზე, 2015 წლის შემოდგომაზე ახალი ელექტრონული ბაზების ტესტირება და მათი mygov.ge-სთან დაკავშირება მოხდება.⁷

7: რეგიონების განვითარება საჯარო ბიბლიოთეკების ტრანსფორმაციით
ამ ვალდებულების მიზანი იყო მუნიციპალიტეტებში არსებული სოფლის ბიბლიოთეკების მოდერნიზება, მათი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად გამოყენება და ამ ბიბლიოთეკების საზოგადოებრივი ცენტრების სისტემაში ინტეგრირება. საპილოტე პროექტის განხორციელება 2015 წლის მარტში დაიწყო და 2015 წლის სექტემბრამდე გაგრძელდება. პროექტი, რომელიც საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) მიერაა დაფინანსებული, ორ სამიზნე საზოგადოებრივ ცენტრში ხორციელდება. გარდა ამისა, ორი სხვა ცენტრის ბიბლიოთეკარები მონაწილეობენ ტრენინგთა ტრენინგის პროგრამაში, რომლის მიზანია ბიბლიოთეკართა ტექნიკური უნარების გაზრდა. ტრენინგის გავლის შემდეგ ბიბლიოთეკარები სხვა ცენტრებში მომუშავე მათ კოლეგებს ჩაუტარებენ ტრენინგს იმავე თემებზე.⁸

საზოგადოებრივ ცენტრში არსებული ბიბლიოთეკა მომხმარებლებს 6 კომპიუტერს, უფასო ინტერნეტს, ასევე სხვადასხვა დაბეჭდილ ლიტერატურას (მათ შორის, მხატვრულ ლიტერატურას და მთავრობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტებს) სთავაზობს. სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ სამიზნე ბიბლიოთეკები იმ წიგნებით მოამარაგა, რომლებზედაც ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილება მაღალი იყო. ამასთანავე, სააგენტომ განავითარა მონიტორინგის სისტემა, რომლის მიხედვით, ბიბლიოთეკის სერვისებს ბევრი მომხმარებელი ჰყავს. მაგალითად, 2014 წელს ძველ სოფლის ბიბლიოთეკებში თვეში მხოლოდ 20–30 ადამიანი მიდიოდა, ხოლო 2015 წლის მარტიდან (როდესაც სააგენტომ აღნიშნული პროექტის განხორციელება დაიწყო) მათი რაოდენობა 400–600-მდე გაიზარდა.⁹

შეფასების პერიოდში ბიბლიოთეკებში გაიმართა სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრა, რომლებშიც დაახლოებით 25 მოქალაქე მონაწილეობდა. ეს შეხვედრები საქართველოში ევროკავშირისა და ნატოს როლს, ქალთა უფლებებს, ადგილობრივ პოლიტიკაში ახალგაზრდების ჩართულობას და ადგილობრივი ბიუჯეტის მონიტორინგს შეეხებოდა. გარდა ამისა, სოფელ ნუკრიანის ახალგაზრდულმა ჯგუფმა ადგილობრივი ბიბლიოთეკის ბალის რეაბილიტაციის პროექტი შეიმუშავა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ეს პროექტი მოიწონა და ამ ბალის რეაბილიტაციისთვის 30000 ლარი გამოყო.¹⁰

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

საზოგადოებრივი ცენტრები უზრუნველყოფენ სივრცეს ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოქალაქეების უკეთ დასაკავშირებლად და ადგილობრივი

პოლიტიკის მოქალაქეთა საჭიროებებზე მოსარგებად, OGP-ის მიზნების შესაბამისად. თუმცა ვალდებულების ტექსტი ადგილობრივ თვითმმართველობებს საჯარო საქმეებში მოქალაქეთა ჩართვას და მიმდინარე პრაქტიკის შეცვლას არ ავალდებულებს. მაგალითად, საზოგადოებრივი ცენტრები გამოყენებული არ ყოფილა იმისთვის, რომ იქ ჩატარებულიყო საჯარო კონსულტაციები ადგილობრივ ბიუჯეტზე ან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც მოსახლეობას ყველაზე მეტად აინტერესებს. ამასთანავე, ნათელი არ არის, როგორ გაზრდის საზოგადოებრივი ცენტრების ელექტრონული მმართველობისა და ბიბლიოთეკების კომპონენტები, რომლებიც ძირითადად სერვისების მიწოდებას გულისხმობს, მთავრობის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას OGP-ის მოთხოვნების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, IRM-ის მკვლევარმა OGP-ის ღირებულებებზე ამ ვალდებულების გავლენა შეაფასა, როგორც საშუალო.

დაინტერესებული მხარეების აზრით, საზოგადოებრივი ცენტრები სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ მოქალაქეებს სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურებას ერთ სივრცეში უწევენ, რაც მანამდე შესაძლებელი არ იყო. ეს განსაკუთრებით ეხება ეთნიკურ უმცირესობებს, რომლებსაც სურთ, მთავრობისგან მიიღონ დამატებითი ინფორმაცია და კონსულტაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა მომსახურებაა მათთვის ხელმისაწვდომი.¹¹ ამასთანავე, დაინტერესებულ მხარეებს სჯერათ, რომ საზოგადოებრივ ცენტრებს აქვთ პოტენციალი, მთავრობისა და მოქალაქეების დამაკავშირებელი რგოლის ფუნქცია შეასრულონ და ხელი შეუწყონ მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას. მაგალითად, ეს ცენტრები წარმატებით იქნა გამოყენებული OGP-ის ეროვნულ სამოქმედო გეგმაზე საჯარო კონსულტაციების ჩასატარებლად. ზოგიერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ისინი გამოიყენა სხვადასხვა თემზე საჯარო შეხვედრებისა და დისკუსიების მოსაწყობად, რომლებშიც მთავრობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.¹² თუმცა ერთ-ერთმა შურნალისტმა მნიშვნელოვანი საკითხი წამოჭრა: კახეთის საზოგადოებრივი ცენტრის ადმინისტრაციამ მას იმის დაკონკრეტება სთხოვა, თუ რას ემსახურებოდა აღნიშნულ ცენტრში მის მიერ ჩასატარებელი ღონისძიება, რასაც, შურნალისტის აზრით, მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, როდესაც საქმე საჯარო სივრცის არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მედიის ღონისძიებათა ჩასატარებლად გამოყენებას ეხება. ასეთი კითხვებისთვის თავის ასარიდებლად ეს შურნალისტი და მისი პარტნიორები თავიანთი ღონისძიებებისთვის USAID-ის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრების გამოყენებას ამჯობინებენ.¹³ ამ საკითხთან დაკავშირებით USAID-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ USAID-ის ცენტრები ძალიან სასარგებლოა, რადგან ისინი მოქალაქეებს ნეიტრალურ და უსაფრთხო გარემოს სთავაზობენ. საზოგადოებრივმა ცენტრებმა მათ მომხმარებლებს ასეთივე უსაფრთხოების განცდა უნდა გაუჩინონ.¹⁴ ამ ცენტრების კიდევ ერთი გამოწვევა უკავშირდება: იქიდან გამომდინარე, რომ ისინი აქცენტს სერვისის მიწოდებაზე აკეთებენ, ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეტანილი საზოგადოებრივი ცენტრების განვითარების ვალდებულება დეტალურად არ ხსნის მექანიზმს, რომლითაც ის მთავრობას უფრო ღიას გახდის, და იმას, თუ რა ინდიკატორები გამოიყენება ამ კუთხით აღნიშნული ცენტრების გავლენის დასადგენად.¹⁵

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეების აზრით, მთავრობამ უკეთ უნდა გამოკვეთოს, რომ საზოგადოებრივი ცენტრების მთავარი მიზანი გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდაა. მან უფრო კარგად უნდა ახსნას, საჯარო მომსახურების რა ახალ სფეროებსა და ახალ ინფორმაციას შესთავაზებს მთავრობა მოქალაქეებს და რა მექანიზმები არსებობს ამ კუთხით მიღწეული პროგრესის დასადგენად.¹⁶ კერძოდ, მთავრობას შეუძლია მოქალაქეები წახალისოს, რომ ისინი უფრო აქტიურად ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოებრივი ცენტრებიდან Ichange.gov.ge-ზე ელექტრონული პეტიციების გაგზავნის მეშვეობით.¹⁷ ამ ცენტრების ნეიტრალობასთან დაკავშირებით ეჭვების გასაფანტავად იუსტიციის სამინისტრომ და სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ უნდა დანერგონ კარგი მმართველობის მექანიზმები, როგორცაა ეთიკის კოდექსი. ეს დაარწმუნებს საქართველოს მოქალაქეებს, რომ საზოგადოებრივი ცენტრები არის უსაფრთხო სივრცე, სადაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების აღამიანებს შეუძლიათ შეიკრიბონ და ერთმანეთს იღებენ გაუზიარონ.¹⁸

და ბოლოს, მთავრობამ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისთვის უფრო მეტი უნდა იმუშაოს. კერძოდ, მან ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასთან ახლოს არსებული საზოგადოებრივი ცენტრების შესახებ, რათა მოქალაქეებმა ცენტრების მიერ შეთავაზებული სერვისები რეგულარულად გამოიყენონ. გარდა ამისა, მთავრობამ ცენტრების სერვისების ხარისხთან და ადგილობრივ თემებზე (განსაკუთრებით ეთნიკურ უმცირესობებზე) მათ გავლენასთან დაკავშირებით საჯარო შეხვედრები და დისკუსიები უნდა მოაწყოს.^{19,20}

ადგილობრივი თვითმმართველობებისადმი IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ მათ აქტიურად გამოიყენონ საზოგადოებრივი ცენტრები მოქალაქეებთან საჯარო კონსულტაციების ჩატარებისთვის და მათი პრიორიტეტების გასაგებად.

წყაროები

- ¹ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, საზოგადოებრივი ცენტრები, <http://bit.ly/1JbYT6E>
- ² ინტერვიუ ნანა წიკლაურთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის სამსახურის უფროსთან, 2015 წლის 5 აგვისტო
- ³ წიკლაური, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო
- ⁴ წიკლაური, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო
- ⁵ ინტერვიუ ვატო დოლიძესთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტ „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ ბიზნეს ანალიტიკოსთან, 2015 წლის 5 აგვისტო
- ⁶ დოლიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო
- ⁷ დოლიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო
- ⁸ ინტერვიუ სალომე ჩუხუასთან, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს პროექტის „საქართველოს სახელმწიფო სერვისები ბიბლიოთეკების მეშვეობით“ მენეჯერთან, 2015 წლის 5 აგვისტო
- ⁹ ჩუხუა, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო
- ¹⁰ წიკლაური, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო
- ¹¹ ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო
- ¹² კვლიაშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი

¹³ სატელეფონო ინტერვიუ გელა მთივლიშვილთან, „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ ქსელის რედაქტორთან, 2015 წლის 29 ივლისი

¹⁴ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

¹⁵ ბარეტი, ინტერვიუ, 2015 წლის 14 ივლისი

¹⁶ ბარეტი, ინტერვიუ, 2015 წლის 14 ივლისი

¹⁷ სალაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 30 ივლისი

¹⁸ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

¹⁹ ფორუმი უურნალისტებთან, 2015 წლის 28 ივლისი

²⁰ ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო

ჯგუფი 5: საჯარო სამსახურის მართვის ელექტრონული სისტემები

21. საჯარო სამსახურისთვის ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება¹⁴

ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა – e-HMRS – ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული პერსონალის ერთიანი მონაცემთა ბაზაა. მისი მიზანია შემუშავებული პოლიტიკისა და სტანდარტების შესაბამისად ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის უზრუნველყოფა. e-HMRS არის სისტემა, რომელიც საჯარო სექტორის უწყებებისა და ორგანიზაციების პერსონალის მართვის ფუნქციის ახალ საფეხურზე გადაყვანას უზრუნველყოფს.

e-HMRS სსიპ – საჯარო სამსახურის ბიუროს და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოებს საშუალებას მისცემს, სისტემაში არსებული ინფორმაცია ოპერატიულად მიიღონ და მიღებული მონაცემები ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და პრაქტიკის დასახვეწად გამოიყენონ. ელექტრონული პროგრამა მკვეთრად შეამცირებს მატერიალური, დროითი და ადამიანური რესურსების დანახარჯებს.

სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას გაუწევს სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო კონტროლისადმი დაქვემდებარებულ სსიპ – საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურთან მჭიდრო თანამშრომლობით. ამ პროცესში ჩართული იქნებიან არასამთავრობო ორგანიზაციები.

25. საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა¹⁵

ეს ვალდებულება გულისხმობს საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ელექტრონული მთავრობის შემდგომ განვითარებას.

საჯარო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის სრულყოფა-განვითარება ითვალისწინებს:

– სახელმწიფო ხაზინის მართვის ელექტრონული სისტემის – e-Treasury-ს – შემდგომ სრულყოფას და ფართომასშტაბიან დანერგვას ქვეყნის ყველა სახაზინო (საბიუჯეტო) ორგანიზაციაში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში (სსიპ-ებში) და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ამ სისტემის მეშვეობით ქვეყანაში გადახდების განხორციელება მხოლოდ ელექტრონული ფორმით იქნება უზრუნველყოფილი;

– ბიუჯეტის დაგეგმვის ელექტრონული სისტემის – e-Budget-ის – შემდგომ სრულყოფას და ქვეყნის ყველა სახაზინო (საბიუჯეტო) ორგანიზაციაში და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დანერგვას;

¹⁴ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 21 სამოქმედო გეგმაში, გვ. 28, <http://bit.ly/1Yf5K76>

¹⁵ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 25 სამოქმედო გეგმაში, გვ. 32, <http://bit.ly/1Yf5K76>

– სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემის – e-DMS-ის – შემდგომ სრულყოფას. ეს სისტემა სახელმწიფო საშინაო ვალისა და სესხის მართვის ავტომატიზაციისთვის საჭირო ინსტრუმენტების კრებულია. მისი დანიშნულებაა სახელმწიფო სესხის, ვალისა და გრანტების შესახებ არსებული ყველა სახის მონაცემის ერთ ადგილას თავმოყრა. ამ სისტემის ფარგლებში შესაძლებელი იქნება სანდო და სრული ფინანსური ინფორმაციის მიღება;

– ელექტრონული აუქციონის სისტემის – e-Auction.ge-ს – შემდგომ განვითარებას. ეს არის საქართველოში ელექტრონული ყიდვა-გაყიდვის უნიკალური სისტემა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სსიპ-ების მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის მეშვეობით განკარგვისთვის შეიქმნა. ამის შედეგად დღეისათვის ნებისმიერ პირს სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად შეუძლია, ერთი მხრივ, შეიძინოს როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საკუთრებაში არსებული ქონება და, მეორე მხრივ, განათავსოს ინფორმაცია საკუთარი გასაყიდი ქონების შესახებ.

წამყვანი დაწესებულებები:

- 21: საჯარო სამსახურის ბიურო
- 25: საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

დამხმარე დაწესებულებები:

- 21: საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, არასამთავრობო ორგანიზაციები
- 25: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სააგენტოები, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაცია

ვადები:

- 21. საჯარო სამსახურისთვის ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება

დაწყების თარიღი: 2014 წლის იანვარი **დასრულების თარიღი:** 2015 წლის დეკემბერი

- 25. საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა

დაწყების თარიღი: 2014 **დასრულების თარიღი:** 2015

ვალდებულების	კონკრეტული-ბა	OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრულება
--------------	---------------	------------------------------------	-------------------	-----------

აღწერა	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის სელმისწავლობა	მოქალაქეთა წართულობა	ანგარიშგაღებულეუბა და ტენდოლოგები ინოვაცია	ანგარიშგაღებულეუბა და ანგარიშგაღებულეუბა- სათვის	არცერთი	შეიქმნა	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეგულებული	არსებითი	შესრულებული	
21. ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა				✓	გაურკვეველი				✓					✓			
25. საჯარო ფინანსების მართვის სისტემა				✓	გაურკვეველი				✓								✓

რა მოხდა?

21: საჯარო სამსახურისთვის ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითარება

ამ ვალდებულებით საჯარო სამსახურის ბიურომ მიზნად დაისახა ყველა საჯარო მოხელის სამუშაო აღწერილობების ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზის შექმნა ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის, e-HMRS-ის, მეშვეობით. ეს ახალი მოდული უკვე დაინერგა 13 სამინისტროში, ხოლო 6 სამინისტროში დანერგვის პროცესშია. გარდა ამისა, ასეთ ელექტრონულ ბაზებს შექმნის 4 მუნიციპალიტეტი და 17 საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საჯარო სამსახურის ბიურო მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან თანამშრომლობს საჯარო უწყებებს, მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა და საჯარო სამსახურის ბიუროს შორის მონაცემთა გაცვლის სპეციალური პროგრამის შესამუშავებლად.¹

25: საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის გაზრდა

ეს ვალდებულება, რომლის მიხედვით, e-HMRS საჯარო სამსახურის სახელფასო სისტემას სახელმწიფო ხაზინასთან აკავშირებს, გულისხმობს საქართველოს საჯარო ფინანსების მართვის (PFM) სისტემის გაუმჯობესებას ისეთი ელექტრონული მოდულების შექმნით, როგორებიცაა e-Treasury, e-Budget, e-Debt-ის მართვა და ინვესტიცია და e-HMRS. ეს სისტემები ხელს უწყობს საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციის გაერთიანებას და ამ ინფორმაციის აღმინისტრირებასთან და პრაქტიკაში გამოყენებასთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას. აღნიშნული სისტემები (ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შესული საჯარო ფინანსების მართვის სისტემის კიდევ ერთი კომპონენტის, e-Auction-ის, გარდა) მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. ² e-Auction – საჯარო ვებგვერდი – მოქალაქეებს საშუალებას აძლევს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო საკუთრება ონლაინრეჟიმში შეიძინონ. E-Auction-ის გამოყენების გასაადვილებლად

მისი გაუმჯობესება არის უკვე არსებული ვალდებულება, რომელიც პირველ ეროვნულ სამოქმედო გეგმაშიც იყო შეტანილი.³

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენლის თქმით, e-Budget (თავისი ბიუჯეტის დაგეგმვის მოდულით) 2012 წელს e-Treasury-სთან გაერთიანდა. ამასთანავე, 2015 წლის იანვარში ადგილობრივი თვითმმართველობების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და PFM-ის საკუთარი ფინანსებიც ამ სისტემის ნაწილი გახდა. ამის შემდეგ საჯარო ფინანსებთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქცია ხაზინის ერთიან ანგარიშზე აისახება.⁴ რაც შეეხება e-DMS-ს, რომელიც სახელმწიფო ვალის გადახდის პროცესის გაუმჯობესებას ემსახურება, ეს სისტემა 2015 წლის ივნისში ახალი მოდულებით (მათ შორის, მიზნობრივი გრანტის მოდულით) განახლდა. 2015 წელსვე e-Auction-ს დაემატა ახალი „იყიდე ახლავე“ მოდული მყისიერი ონლაინშესყიდვებისთვის, ასევე მობილური აპლიკაციები.⁵

როგორც საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, e-Treasury-სა და e-Budget-ის მოდულების განხორციელებასთან დაკავშირებული ძირითადი გამოწვევა ის არის, რომ სახელმწიფო ხაზინისა და შესაბამისი მხარჯავი დანსებულებების თანამშრომელთა ამ სისტემებთან დაკავშირებული ტექნიკური ცოდნის დონე დაბალია, განსაკუთრებით რეგიონებში. შესაბამისად, საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს მათთვის ტრენინგების ჩასატარებლად ბევრი დროისა და რესურსის დახარჯვა მოუწია.⁶

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ ახალი ელექტრონული სისტემები მნიშვნელოვანია საჯარო ადმინისტრაციის რეფორმისთვის, თუმცა მათ OGP-სთან კავშირი არ აქვთ, რადგან ეს სისტემები არ შეიცავს საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპონენტს. პირველ რიგში, e-HMRS-იდან, e-Treasury-დან, e-Budget-იდან და e-DMS-იდან მიღებული ინფორმაცია მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის არის განკუთვნილი. მეორე, e-Auction-ის ახალი მოდულები ორიენტირებულია უფრო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებაზე, ვიდრე საჯარო აუქციონების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებაზე. დაინტერესებულმა მხარეებმა ისიც განაცხადეს, რომ, ამ ვალდებულების ტექნიკური ხასიათიდან გამომდინარე, მოქალაქეებს მისი არსის გაგება გაუჭირდებათ, რაც ასევე არ შეესაბამება OGP-ის მიზნებს.

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეების აზრით, მომავალი სამოქმედო გეგმები უნდა შეიცავდეს არა შიდა სამთავრობო პროცესებზე ორიენტირებულ ვალდებულებებს, არამედ ისეთებს, რომლებსაც მოქალაქეები გაითავისებენ და მონიტორინგს გაუწევენ.⁷ მაგალითად, საჯარო ფინანსების მართვის სისტემის მეტი ანგარიშვალდებულებისთვის უფრო მნიშვნელოვანია ონლაინმოდულის შექმნა, რომლის მეშვეობითაც მოქალაქეები თვალს მიადევნებენ იმას, თუ როგორ ხარჯავს სხვადასხვა საჯარო უწყება სახელმწიფო ფინანსებს.⁸

წყაროები

¹ ინტერვიუ მაია დვალიშვილთან, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილესთან, და ირინა ალაპიშვილთან, საჯარო სამსახურის ბიუროს საჯარო სამსახურში ინსტიტუციური მონაცემებისა და პრაქტიკის განვითარების დეპარტამენტის უფროსთან, 2015 წლის 31 ივლისი

² ინტერვიუ ალექსანდრე ხუსკივაძესთან, საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის კვლევისა და სისტემური ანალიზის დეპარტამენტის უფროსთან, 2015 წლის 7 აგვისტო

³ ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2012-2013 წლების სამოქმედო გეგმა, გვ. 8, <http://bit.ly/ZfPYPB>

⁴ ხუსკივაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 7 აგვისტო

⁵ ხუსკივაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 7 აგვისტო

⁶ ხუსკივაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 7 აგვისტო

⁷ სთუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

⁸ ფორუმი ურნალისტებთან, 2015 წლის 28 ივლისი

ჯგუფი 6: არქივების გამჭვირვალობა

22. ელექტრონული შენახვის სისტემა: e-Archive¹⁶

დღეისათვის საქართველოში ელექტრონული არქივის სისტემა არ არსებობს, რაც ელექტრონულად შექმნილი დოკუმენტების ხანგრძლივად შენახვის პროცესში მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ელექტრონული არქივი – ციფრული მონაცემების შენახვის ელექტრონული გადანაცვება – ციფრული მონაცემების ხანგრძლივი შენახვის, მათი ავთენტიკური ელექტრონული ხელმისაწვდომობისა და გამოყენების შესაძლებლობას შექმნის.

ელექტრონული არქივის პროექტი საქართველოს ელექტრონული მმართველობის სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ის საშუალებას იძლევა, ელექტრონული დოკუმენტი ხანგრძლივად, ტექნოლოგიებისგან ნეიტრალური სახით, საიმედოდ იქნეს შენახული და ინტერნეტის მეშვეობით ყველა დაინტერესებული მხარისთვის იყოს ხელმისაწვდომი.

23. ეროვნული არქივის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა¹⁷

საქართველოს ეროვნულ არქივში IX საუკუნიდან დღემდე შექმნილი უნიკალური ისტორიული მასალაა დაცული. იგი შეუზღუდავად უნდა იყოს ხელმისაწვდომი როგორც მკვლევართათვის, ისე, ზოგადად, მოქალაქეებისთვის. ამჟამად სახელმწიფოს გამგებლობაში არსებული არქივების მომსახურება ფასიანია. გარდა ამისა, ხელმისაწვდომია მხოლოდ დოკუმენტების დედნები, რაც ხშირი გამოყენების პირობებში მათ დაზიანებას იწვევს. სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სსიპ – საქართველოს ეროვნული არქივის თაოსნობით შეისწავლის და გადასინჯავს ნორმატიულ ბაზას და არქივების გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ჩართულობის გასაზრდელად საჭირო ცვლილებებს შეიმუშავებს. არქივებში დაცული დოკუმენტების ელექტრონული ვერსიები უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი; მკვლევრები საარქივო დოკუმენტებზე შეუზღუდავად იმუშავებენ; დოკუმენტების დედნები ყოველდღიურად არ გაიცივება, რაც მათ მეტ დაცულობას უზრუნველყოფს.

24. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება¹⁸

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, რომელიც ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანოების არქივებს მოიცავს, საბჭოთა პერიოდშიც და შემდგომაც, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთ-ერთი ყველაზე რთულად ხელმისაწვდომი დანესებულება იყო.

ვინაიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულია უნიკალური ისტორიული ინფორმაცია, რომელიც საქართველოს XX საუკუნის

¹⁶ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 22 სამოქმედო გეგმაში, გვ. 29, <http://bit.ly/1Yf5K76>

¹⁷ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 23 სამოქმედო გეგმაში, გვ. 30, <http://bit.ly/1Yf5K76>

¹⁸ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 24 სამოქმედო გეგმაში, გვ. 31, <http://bit.ly/1Yf5K76>

ისტორიის ყველა ასპექტს მოიცავს, ამ არქივისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დოკუმენტების დიגיტიზაციისა და მონაცემთა ბაზების შექმნის პროცესი პერმანენტულად მიმდინარეობს, დღეისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცული დოკუმენტები სრულად არ არის დახარისხებული თანამედროვე კატალოგიზაციის სისტემის მიხედვით. ზოგიერთი ფონდის აღწერილობა და რეესტრი საკმაოდ ზოგადი შინაარსისაა, რაც გარკვეულწილად ხელს უშლის დაინტერესებული პირების მიერ დოკუმენტების კომფორტულ გამოყენებას.

ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის არქივში დაცული მასალებისადმი მაღალი საზოგადოებრივი და სამეცნიერო ინტერესიდან გამომდინარე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი ყოფილ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტში დაცული დოკუმენტების ელექტრონული კატალოგის (შესაბამისი აღწერილობით) შექმნას და მის კანონით დადგენილი წესითა და ფარგლებში გამოქვეყნებას უზრუნველყოფს.

წამყვანი დანესებულებები:

- 22: საქართველოს ეროვნული არქივი, მონაცემთა გაცვლის სააგენტო, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
- 23: საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია
- 24: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია

დამხმარე დანესებულებები:

- 22: ელექტრონული სერვისების მიმწოდებელი კერძო კომპანიები
- 23: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, არასამთავრობო ორგანიზაციები
- 24: ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ვადები:

- 22. ელექტრონული შენახვის სისტემა: e-Archive

დანყების თარიღი: 2014 წლის მაისი **დასრულების თარიღი:** 2015 წლის დეკემბერი

- 23. ეროვნული არქივის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა

დანყების თარიღი: 2014 წლის ივლისი **დასრულების თარიღი:** 2015

24. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება

დაწყების თარიღი: 2014 დასრულების თარიღი: 2015

ვალდებულებების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება						
	არსებითი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	ტექნოლოგიები	ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულების სათვის	არსებითი	შედეგი	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდგომი	არსებითი	შესრულებული	
22. ელექტრონული შენახვის სისტემა: e-Archive			✓		გაურკვეველი													✓	
23. არქივების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა				✓	✓							✓						✓	
24. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ელექტრონული კატალოგები				✓	✓							✓						✓	

რა მოხდა?

22: ელექტრონული შენახვის სისტემა: e-Archive

ამ ვალდებულების მიზანი იყო დაარქივებული მონაცემების ელექტრონული კატალოგის შექმნა. ეროვნულმა არქივმა მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან და სხვა პარტნიორებთან ამ საკითხზე კონსულტაციები 2014 წელს დაიწყო. ეს იყო ნაწილი ევროკავშირის twinning-ის პროექტისა, რომელშიც ავსტრიელი ექსპერტები მონაწილეობდნენ. ამ კონსულტაციებზე დაყრდნობით, ეროვნულმა არქივმა შეიმუშავა ელექტრონული არქივის სისტემის ზოგადი კონცეფციის პროექტი, რომელიც სისტემის ძირითადი მოდულებისა და მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას მოიცავდა.¹ თუმცა მის განხორციელებაში წინსვლა არ ყოფილა.

ეროვნული არქივი 2016 წელს შექმნის ტექნიკურ სამუშაო ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება e-Archive-ს სისტემისთვის სწორი მოდულის შერჩევისთვის,

შესაბამისი მოთხოვნების განსაზღვრისა და საჯარო უწყებებისთვის დეტალური პროცედურების დადგენისთვის. ამ ვალდებულების შესრულებისთვის პასუხისმგებელი პირები მოელიან, რომ სისტემა სრულად 2017 წელს, აუცილებელი ტექნიკური ინფრასტრუქტურის შექმნის შემდეგ ამოქმედდება.² პროექტის ხელმძღვანელის თქმით, მთავარი გამოწვევა ის არის, რომ საქართველოს ასეთი სისტემის შექმნის გამოცდილება არ აქვს. განსაკუთრებით გასათვალისწინებელია, რომ ახალი ავტომატიზებული მოდული ყველა საჯარო უწყებაში (მათ შორის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში) უნდა დაინერგოს და e-Archive-ს ერთიან სისტემას უნდა შეუერთდეს. შესაბამისად, ეროვნულ არქივს სჭირდება ამ კუთხით საერთაშორისო გამოცდილების გაცნობა, ასევე იუსტიციის სამინისტროს შიდა მხარდაჭერა, განსაკუთრებით ციფრული ხელმოწერისა და ონლაინავთენტიფიკაციის პროექტების მეშვეობით.³

23: ეროვნული არქივის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა

ეროვნულ არქივთან დაკავშირებული კიდევ ერთი ვალდებულებაა დაარქივებული მონაცემების უფასო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. იგი ორ კომპონენტს მოიცავს: 1) საკანონმდებლო ბაზის შექმნა; 2) ტექნიკური ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა. ამჟამად ეროვნული არქივის სერვისების ფასს მთავრობის სპეციალური დადგენილება არეგულირებს. ამ დადგენილების მიხედვით, არქივიდან ერთი საქმის გამოთხოვა 50 თეთრი ღირს. ამავე დროს, სტუდენტები, პენსიონერები და მეცნიერები 50-პროცენტიაანი ფასდაკლებით სარგებლობენ.⁴

ყველა დაარქივებული მონაცემის უფასო ხელმისაწვდომობისთვის ეროვნულმა არქივმა კანონპროექტი შეიმუშავა და იგი იუსტიციის სამინისტროს გადაუგზავნა.⁵ თუმცა ამ კანონპროექტის განსახორციელებლად ეროვნულ არქივს დამატებითი ტექნიკური რესურსი და ინფრასტრუქტურა სჭირდება. არქივის წარმომადგენლის თქმით, ეროვნულ არქივში ამჟამად მხოლოდ 3 სამკითხველო დარბაზი და 9 კომპიუტერია. ეს კომპიუტერები დაკავშირებულია ელექტრონულ კატალოგებთან, რომლებიც 2500 დაარქივებულ საქმეს (516000 ფაილს) შეიცავს. ეს კატალოგები ონლაინსივრცეში ხელმისაწვდომი არ არის. ამიტომ მომხმარებელი ეროვნულ არქივში უნდა მივიდეს, რეგისტრაციისთვის პირადი ნომერი უნდა წარადგინოს და სამკითხველო დარბაზში არსებული თავისუფალი კომპიუტერი უნდა გამოიყენოს.⁶ არქივის წარმომადგენლის განცხადებით, დაარქივებულ დოკუმენტებზე მოთხოვნილება 2015 წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში 20 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დარეგისტრირებულ მომხმარებელთა რაოდენობა 1500-ია.⁷

24: შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის ელექტრონული კატალოგის შექმნა და გამოქვეყნება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა პერიოდის არქივების (მათ შორის, ყოფილი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისა და კომუნისტური პარტიის არქივების) გაციფრულებისა და გამოქვეყნების ვალდებულება აიღო. თუმცა, 2015 წლის აგვისტოს მონაცემებით, ამ ვალდებულების შესრულების დონე შეზღუდული იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, სამინისტროს ძალიან დიდი მოცულობის დაარქივებული დოკუმენტების დახარისხებისთვის აუცილებელი ახალი საცავის შენობა სჭირდება. მხოლოდ ამის შემდეგ გახდება შესაძლებელი ამ მონაცემების სრული გაცეფრულება. მიუხედავად იმისა, რომ გაფიცრულებისა და ელექტრონული კატალოგების შექმნის პროცესი უკვე დაწყებულია, საცავის ახალ შენობაში გადატანამ ეს პროცესი შეიძლება გააჭიანუროს.⁸ კიდევ ერთი გამოწვევა დონორების მხარდაჭერის ნაკლებობაა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფორუმის წევრ დონორ ორგანიზაციებს ახალი საცავის აშენებაში, საჭირო პროგრამებით უზრუნველყოფასა და არქივის გაცეფრულებისთვის სპეციალური პერსონალის გამოყოფაში დახმარება სთხოვა, თუმცა დახმარება დღემდე არ მიუღია.⁹

შინაგან საქმეთა სამინისტრომ შექმნა და გამოაქვეყნა დაარქივებული დოკუმენტების 90 პროცენტის ელექტრონული კატალოგი. სამინისტროს ვებგვერდზე სპეციალური განაცხადის შევსებისა და თითოეული გამოთხოვილი დოკუმენტისთვის დანესებული გადასახადის გადახდის შემდეგ მოქალაქეს თავისი ოჯახის წევრებისა და ნათესავების როგორც დაბეჭდილი, ისე ელექტრონულად დაარქივებული პერსონალური მონაცემების მიღება შეუძლია.¹⁰ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯერ არ გამოუქვეყნებია თემატურად დაყოფილი მონაცემები, რაც პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული შეზღუდვებით არის განპირობებული. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისგან რეკომენდაციების მიღებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შემდეგ სამინისტრო დაარქივებული მონაცემების თემატურ დაყოფასაც გამოაქვეყნებს.¹¹

ჰქონდა ამახ მნიშვნელობა?

სახელმწიფო არქივების იოლი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით მათთვის, ვინც მეცნიერებისა და კვლევის სფეროში მუშაობს. თუმცა მთავრობის ახალი პოლიტიკისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ განახლებული ინფორმაციის მიღება უფრო სასარგებლო იქნება მოქალაქეთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის. გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ ვალდებულების შესრულების პროცესი საკმაოდ ნელა მიმდინარეობს, OGP-ზე მისი მთლიანი გავლენა შეფასდა, როგორც მცირე.

დაინტერესებულმა მხარეებმა ამ ვალდებულებაზე განსხვავებული მოსაზრებები გამოთქვეს. ზოგიერთი მათგანის აზრით, არქივების გამჭვირვალობა OGP-ის მნიშვნელოვანი კომპონენტია და მოქალაქეთათვის მეტი საჯარო ინფორმაციის მიწოდების კარგ პრეცედენტს ქმნის. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მსგავსად, მათ მთავარ გამოწვევად ის მიიჩნიეს, რომ პასუხისმგებელ უწყებებს დიდი მოცულობის დაარქივებული მონაცემების აღმინისტრირებისთვის და ამ მონაცემების დამუშავებისა და შენახვისთვის აუცილებელი სერვერების დასაყენებლად საკმარისი რესურსი არ აქვთ.¹²

მეორე მხრივ, როგორც ზოგიერთმა დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ვალდებულება სასარგებლოა საჯარო ინფორმაციის

ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, მას OGP-ისთვის მაინც მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ისტორიულ მონაცემებზე ორიენტირებული, მთავრობას კი სამოქმედო გეგმაში უფრო ამბიციური ვალდებულებების შეტანა შეეძლო. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც აღნიშნული ვალდებულების სამოქმედო გეგმაში შეტანა განაპირობა, ის იყო, რომ, იმ რეფორმებისგან განსხვავებით, რომლებიც არსებულ მდგომარეობას ცვლის, არქივების ღიაობის უზრუნველყოფას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება არ სჭირდება.¹³

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

IRM-ის მკვლევრის აზრით, სახელმწიფო არქივების იოლი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია. თუმცა OGP-ის კონტექსტში მთავრობამ აქცენტი ისეთ ვალდებულებებზე უნდა გადაიტანოს, რომლებსაც მოქალაქეების ცხოვრებასთან პირდაპირი კავშირი აქვს, კერძოდ, მთავრობის მიმდინარე საქმიანობის შესახებ უფრო მეტი ინფორმაცია უნდა გასცეს, რათა გაიზარდოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა.

წყაროები

¹ ინტერვიუ თეონა იაშვილთან, საქართველოს ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორთან, და ზვიად მელქაძესთან, საქართველოს ეროვნული არქივის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსთან, 2015 წლის 3 აგვისტო

² იაშვილი და მელქაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

³ იაშვილი და მელქაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

⁴ საქართველოს მთავრობა, დადგენილება „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული არქივის მიერ განეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურის ოდენობების, გადახდის წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“, №506, 2011 წლის 29 დეკემბერი, <http://bit.ly/1EsWaXO>

⁵ იაშვილი და მელქაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

⁶ იაშვილი და მელქაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

⁷ იაშვილი და მელქაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

⁸ ინტერვიუ დავით ალავერდაშვილთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის არქივის დირექტორის მოადგილესთან, 2015 წლის 14 აგვისტო

⁹ ალავერდაშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 14 აგვისტო

¹⁰ შინაგან საქმეთა სამინისტრო, <http://bit.ly/1KfmMaT>

¹¹ ალავერდაშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 14 აგვისტო

¹² სთონუპილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

¹³ სალაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 30 ივლისი

ჯგუფი 7: ტექნოლოგიების მეშვეობით უსაფრთხო გარემოს შექმნა

26. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა¹⁹

უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – „112“ მასთან დაკავშირების ალტერნატიულ და ინოვაციურ არხებს შექმნის, რათა საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა სხვა პირისთვის (მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის) „112“, საჭიროების შემთხვევაში, ოპერატიულად იყოს ხელმისაწვდომი. მნიშვნელოვანია, რომ გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრთან დაკავშირება შეიძლებოდეს არა მხოლოდ ტელეფონით, რომლის გამოყენება ყოველთვის ვერ ხერხდება, არამედ სხვა არხებითაც.

2014 წლის ბოლოსთვის ცენტრი ხელმისაწვდომი იქნება სხვადასხვა ალტერნატიული არხით: ა) ტელეფონით; ბ) სხვადასხვა ობიექტზე დამონტაჟებული ხანძარსაწინააღმდეგო ან მხუთავი აირის დეტექტორით, რომელიც ობიექტზე საფრთხის წარმოქმნისთანავე განგაშის სიგნალს ავტომატურად გაუგზავნის „112“-ს; გ) მოკლე ტექსტური შეტყობინებით (SMS) ან ვიდეოზარით – დაკავშირების ეს არხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, რომელთაც სმენის ან მეტყველების პრობლემა აქვთ; დ) GPS „ტრეკერით“ – ამ სატელიტური მონაცემილობით პირი განგაშის სიგნალს გაუგზავნის „112“-ს, მაშინაც კი, თუ მისი მობილური ტელეფონი მომსახურების ზონიდან არის გასული. ამასთანავე, ეს მონაცემილობა საშუალებას იძლევა, დადგინდეს პირის ზუსტი ადგილსამყოფელი, რათა მას სწრაფად და ეფექტიანად გაეწიოს გადაუდებელი დახმარება.

27. ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა²⁰

ეს ვალდებულება დანაშაულის სტატისტიკის გაფართოებას და მის ინტერაქტიულ და ინოვაციურ ფორმატში წარმოდგენას გულისხმობს.

1. ხელმისაწვდომი იქნება სისხლის სამართლის საქმეების ელექტრონული სისტემის მონაცემებზე დაფუძნებული ინტერაქტიული სტატისტიკა (სისტემა უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საქმეთა ელექტრონულ წარმოებას გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ეტაპებზე).

2. შემუშავდება დანაშაულის დეტალიზებული კრიმინოგენური რუკა – ეს ინტერაქტიული ინსტრუმენტი დეტალური და მრავალფეროვანი სტატისტიკის სხვადასხვა ფორმატში და ცვლადებით (მათ შორის, დანაშაულის ტიპის, ჩადენის დროის, რეგიონისა და სხვა პარამეტრების მიხედვით) ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს.

წამყვანი დანესებულებები:

¹⁹ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 26 სამოქმედო გეგმაში, გვ. 34, <http://bit.ly/1Yf5K76>

²⁰ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 27 სამოქმედო გეგმაში, გვ. 35, <http://bit.ly/1Yf5K76>

26: „112“

27: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები:

26: საქართველოს ტერიტორიული ადმინისტრაცია, გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

27: საქართველოს მთავარი პროკურატურა

ვადები:

26. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა

დაწყების თარიღი: 2014 წლის მარტი **დასრულების თარიღი:** 2014 წლის ბოლო

27. ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა

დაწყების თარიღი: 2014 **დასრულების თარიღი:** 2015

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობა და ანგარიშგაღებულება-სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
26. „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა				✓	გაურკვეველი						✓						✓
27. ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა				✓	✓			✓			✓			✓			

რა მოხდა?

26: „112“-თან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნა

იმისთვის, რომ მოქალაქეებს საგანგებო მდგომარეობის დროს დახმარების თხოვნა გაუადვილდეთ, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა,

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ-მა – „112“-მა, მასთან დაკავშირების ალტერნატიული არხების შექმნის ვალდებულება აიღო. ვალდებულების პირველი ორი კომპონენტი – „112“-თან ტელეფონითა და ხანძარსაწინააღმდეგო ან მხუთავი აირის დეტექტორით დაკავშირება – მიმდინარე ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღებამდე შესრულდა. შესაბამისად, გეგმის შესრულების პერიოდში „112“ ორიენტირებული იყო მასთან დაკავშირების სხვა ალტერნატიული არხების – მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS), ვიდეოზარისა და GPS „ტრეკერის“ სერვისების – შექმნაზე.¹ SMS-ისა და ვიდეოზარის სერვისების უმთავრეს სამიზნე ჯგუფს ყრუ და სმენადაქვევითებული ადამიანები შეადგენდნენ, ვინაიდან „112“-ს მხოლოდ ეს ჯგუფი ვერ უკავშირდებოდა. სააგენტომ „საქართველოს ყრუთა კავშირთან“ რამდენიმე სამუშაო შეხვედრა და კონსულტაცია მოაწყო. როგორც ამ ორგანიზაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, მათთვის მნიშვნელოვანია, არსებობდეს ვიდეოზარის სერვისი Skype-ს მეშვეობით. მათ ისიც განაცხადეს, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინებით კომუნიკაციას უესტების ერთ კომუნიკაცია ურჩევნიათ.² ამის საპასუხოდ „112“-მა სპეციალური თარჯიმნები დაიქირავა და 2015 წლის მარტში SMS-ისა და ვიდეოზარის სერვისები აამოქმედა. ამას მოჰყვა მთელი ქვეყნის მასშტაბით პიარლონისძიებების სერია, რომლის ფარგლებშიც „112“ ამ ღონისძიებების ყველა მონაწილეს ახალ სისტემაში არეგისტრირებდა.³ ბენეფიციარს შეუძლია „112“-ის ვებგვერდზე საკუთარი მობილური ტელეფონის ნომრისა და Skype-ს სახელის მითითებით დარეგისტრირდეს, რის შემდეგაც მასთან კომუნიკაციას სპეციალურად გამოყოფილი თარჯიმანი დაიწყებს.⁴ 2015 წლის აგვისტოს მონაცემებით, „112“-ის ახალ სერვისებს სულ 265 დარეგისტრირებული მომხმარებელი ჰყავდა. მათგან 82 „112“-ს ვიდეოზარით დაუკავშირდა, ხოლო 34 – მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ძირითადად გადაუღებელი სამედიცინო დახმარების მისაღებად.⁵

გარდა ამისა, იქიდან გამომდინარე, რომ უცხოელი ტურისტები ხშირად იკარგებიან და მათი პოვნა რთულია, „112“-მა ამ პრობლემის GPS „ტრეკერების“ მეშვეობით გადაჭრა გადაწყვიტა, რადგან ეს „ტრეკერები“ საშუალებას იძლევა, განისაზღვროს დაკარგული ადამიანების ზუსტი ადგილსამყოფელი, მაშინაც კი, როდესაც ისინი მობილური ოპერატორების დაფარვის ზონის მიღმა იმყოფებიან.⁶ „112“-ის წარმომადგენლის თქმით, ამ ვალდებულების ძირითადი ბენეფიციარები არიან საქართველოს მთიან რეგიონებში მომუშავე ორგანიზაციები, მათ შორის, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტო და ექსტრემალურ სპორტსა და სამთო ტურიზმში სპეციალიზებული კომპანიები.⁷ „112“-მა შეიძინა 60 „ტრეკერი“ 24000 აშშ დოლარად (თითოეულში 400 აშშ დოლარი გადაიხადა) და ისინი ზემოხსენებულ ორგანიზაციებს გადასცა. ეს ორგანიზაციები პირდაპირი ბენეფიციარების იდენტიფიცირებას მოახდენენ და მათ „ტრეკერებს“ სპეციალური მოხმარების წესების მიხედვით გადასცემენ. „112“ „ტრეკერების“ გამოყენების შესახებ ანგარიშს 2015 წლის ბოლოს წარადგენს. „112“-ის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ GPS „ტრეკერების“ პირდაპირი ბენეფიციარების იდენტიფიცირება და ამ „ტრეკერების“ პარტნიორი ორგანიზაციებისთვის გადაცემის ბიუროკრატიული პროცედურები ის ძირითადი გამოწვევებია, რომელთა გამოც ამ ვალდებულების შესრულება გაჭიანურდა.⁸

27: ინტერაქტიული სტატისტიკა და დანაშაულის კრიმინოგენური რუკა

ეს არის უკვე არსებული ვალდებულება, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანაშაულის სტატისტიკის ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით გამოქვეყნებას ითვალისწინებდა. თუმცა სამინისტრომ მის შესრულებაში პროგრესს ვერ მიაღწია, რის გამოც ამ ვალდებულების შესრულების დონე, პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმიდან მოყოლებული, ძალიან შეზღუდული იყო. შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის თქმით, სამინისტრომ დააყენა სისხლის სამართლის საქმეების ერთიანი ელექტრონული სისტემის პროგრამა, თუმცა შესაბამისი სამართალდამცავი ორგანიზაციებისთვის GPS „ტრეკერები“ ჯერ არ შეუძენია.⁹ ეს მოწყობილობები, რომელთა საერთო ღირებულება 100000 ლარია, აუცილებელია დანაშაულის სტატისტიკის რუკაზე ვიზუალიზაციისთვის. მთავრობამ სპეციალური განკარგულებით (№2116) შინაგან საქმეთა სამინისტროს თანხმობა მისცა GPS „ტრეკერების“ გამარტივებული შესყიდვის პროცედურის გამოყენებით შეძენაზე. თუმცა, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, 2015 წლის იანვარში მინისტრის შეცვლამ, შემდგომ სამინისტროს რესტრუქტურისა და თანხების ნაკლებობამ ხელი შეუშალა ამ პროცესში პროგრესის მიღწევას.¹⁰

ჰქონდა ამახ მნიშვნელობა?

მთავრობის ვალდებულება, გააუმჯობესოს მოქალაქეთა უსაფრთხოება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მოიცავს ორ კომპონენტს, რომელთა OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა და მათზე გავლენა განსხვავებულია. პირველი მათგანი, რომელიც საზოგადოებისთვის გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის, „112“-ის, ხელმისაწვდომობის გაზრდას გულისხმობს, ძირითადად მომსახურების მიწოდებაზეა ორიენტირებული და, შესაბამისად, მთავრობის გამჭვირვალობასთან, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობასთან მისი კავშირი ბუნდოვანია. მეორე მხრივ, ინტერაქტიული დანაშაულის სტატისტიკის გამოქვეყნება ჭრის იმ პრობლემას, რომლის მოგვარებასაც ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია და მოქალაქე წლების განმავლობაში ითხოვდა. არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური დანაშაულის შესახებ მონაცემები ერთიან მეთოდოლოგიას არ ემყარება, რაც ართულებს ამ მონაცემების წლების მიხედვით შედარებას და ახალი ტენდენციების გამოკვეთას. ეს, თავის მხრივ, საზოგადოების აღქმას (რომ ქვეყანაში დანაშაულის რაოდენობა მომატებულია) და შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკას (რომელიც საპირისპირო სურათს აჩვენებს) შორის კონფლიქტს წარმოშობს. შესაბამისად, დაინტერესებული მხარეების აზრით, დანაშაულის სტატისტიკურმა მონაცემებმა შეიძლება ტრანსფორმაციული გავლენა მოახდინოს დანაშაულის პრევენციაზე, მოქალაქეთა უსაფრთხოების გაუმჯობესებასა და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებაზე.¹¹ თუმცა არასამთავრობო ორგანიზაციები უკმაყოფილებას გამოთქვამენ ვალდებულების ამ კომპონენტის შესრულებლობის გამო, რომლის შესრულება ჯერ კიდევ პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმით იყო

განსაზღვრული. ამის გათვალისწინებით, IRM-ის მკვლევარმა ამ ვალდებულების საერთო პოტენციური შედეგი შეაფასა, როგორც საშუალო.

მეორე მხრივ, „112“-ის ვიდეოზარისა და SMS-ის სერვისების პირდაპირმა ბენეფიციარებმა ამ სერვისების მუშაობა პოზიტიურად შეაფასეს. „საქართველოს ყრუთა კავშირის“ წარმომადგენლის თქმით, კავშირის წევრები, რომელთა საერთო რაოდენობა 1500-ია, ორივე სერვისს აქტიურად იყენებენ, ძირითადად გადაუდებელი სამედიცინო დახმარების მისაღებად და ინციდენტების შესახებ შეტყობინებისთვის, და სისტემის მუშაობით ძალიან კმაყოფილი არიან.¹² მთავარი გამოწვევაა ის, რომ ეს სერვისები ხელმისაწვდომი არ არის კავშირის იმ წევრთათვის (სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის), რომლებსაც ამისთვის აუცილებელი ტექნიკური მოწყობილობები (კერძოდ, ე. წ. „ტაბლეტები“ ან მობილური ტელეფონები) არ აქვთ და, შესაბამისად, მათთვის ონლაინსივრცეში ხელმისაწვდომ სერვისებს ვერ იყენებენ. ამის გამო ბენეფიციარებზე ვალდებულების ამ კომპონენტის გავლენა შეფასდა, როგორც საშუალო.¹³

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

სმენისა და მეტყველების პრობლემის მქონე პირებისთვის „112“-ის სერვისების გასაუმჯობესებლად დაინტერესებული მხარეების ერთადერთი რეკომენდაციაა, რომ პოლიციელებს ჩაუტარდეთ დამატებითი ტრენინგი კომუნიკაციის იმ ძირითად მეთოდებთან დაკავშირებით, რომლებიც მათ ადამიანთა ამ ჯგუფის მიმართ უნდა გამოიყენონ. რაც შეეხება დანაშაულის სტატისტიკურ მონაცემებს, შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაინტერესებული მხარეების რეკომენდაციაა, რომ შემუშავდეს ერთიანი მეთოდოლოგია დეტალური სტატისტიკის გამოსაქვეყნებლად, მათ შორის, ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიებისა, როგორებიცაა ჩადენილი და გამოძიებული დანაშაულების ჩადენის დრო და ადგილი და დამნაშავეთა სქესი და სოციალურ-ეკონომიკური სტატუსი. ასეთი დეტალიზება შესაძლებელს გახდის მონაცემების წლების მიხედვით გაანალიზებას. დაინტერესებული მხარეები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის მიხედვით დანაშაულის შესახებ მონაცემების მობილური აპლიკაციებით ხელმისაწვდომობასაც ითხოვენ.¹⁴ USAID-ის წარმომადგენლის თქმით, მაგალითად, აშშ-ში საპოლიციო უფლებამოსილება ოლქისა და ქალაქის დონეებზეა გადანაწილებული და ადგილობრივი მცხოვრებლები მოელიან, რომ პოლიცია შექმნის მობილურ აპლიკაციებს, რომელთა მეშვეობითაც მოქალაქეები ნახავენ, რა ტიპის დანაშაულს სჩადიან მათ უშუალო სამეზობლოში.¹⁵

წყაროები

¹ ინტერვიუ ანი კეკელიძესთან, „112“-ის ანალიტიკური სამსახურის უფროსთან, 2015 წლის 18 აგვისტო
² კეკელიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 18 აგვისტო
³ კეკელიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 18 აგვისტო
⁴ „112“, <http://bit.ly/1LbK9az>
⁵ კეკელიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 18 აგვისტო
⁶ ინტერვიუ გიორგი კიკვიძესთან, „112“-ის ადმინისტრაციის წამყვან სპეციალისტსა და იურიდიულ კონსულტანტთან, 2015 წლის 18 აგვისტო
⁷ კიკვიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 18 აგვისტო

⁸ კიკვიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 18 აგვისტო

⁹ ინტერვიუ შალვა ხაბულიანთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმებისა და განვითარების სააგენტოს (დეპარტამენტის) კანონმდებლობის ანალიზისა და ჰარმონიზაციის განყოფილების უფროსთან, 2015 წლის 14 აგვისტო

¹⁰ ხაბულიანი, ინტერვიუ, 2015 წლის 14 აგვისტო

¹¹ Civil.ge, „ღარიბაშვილის თქმით, 'კრიმინოგენული ვითარება აბსოლუტურად სტაბილურია', მან იარაღის ტარებაზე კანონის გამკაცრებისკენ მოუწოდა“, 2014 წლის 5 სექტემბერი, <http://bit.ly/1PQuShP>

¹² სატელეფონო ინტერვიუ მაია მეტონიძესთან, „საქართველოს ყრუთა კავშირის“ ვიცე-პრეზიდენტთან, 2015 წლის 14 აგვისტო

¹³ მეტონიძე, ინტერვიუ, 2015 წლის 14 აგვისტო

¹⁴ მთივლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 29 ივლისი

¹⁵ სთაუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

ცალკე მდგომი ვალდებულებები

10: ინფორმაციის თავისუფლების აქტის პროექტის შემუშავება²¹

ამჟამად საქარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები ცალკეულ საკანონმდებლო აქტებშია გაბნეული. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სირთულეები გვხვდება კანონმდებლობის განხორციელებისას. პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, ამ სფეროს მოსაწესრიგებლად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული სპეციალური კანონის პროექტის მიღება, რომელმაც, ერთი მხრივ, საკანონმდებლო ხარვეზები უნდა აღმოფხვრას და, მეორე მხრივ, ინფორმაციის საქარობის მარეგულირებელ ნორმებს ერთ ნორმატიულ აქტში უნდა მოუყაროს თავი.

კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უწევს. კანონპროექტზე მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით მიმდინარეობს. ფართო საკონსულტაციო პროცესის წარმართვისთვის და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის უზრუნველსაყოფად შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც კონსულტაციების საფუძველზე და საერთაშორისო ექსპერტიზის გამოყენებით შეიმუშავებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელ ნორმებს. მზა კანონპროექტი საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს 2015 წლის გაზაფხულზე წარედგინება.

წამყვანი დაწესებულებები:

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ანტიკორუფციული საბჭო

დამხმარე დაწესებულებები:

საქართველოს პარლამენტი, ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

დაწყების თარიღი: 2014 წლის თებერვალი დასრულების თარიღი: 2015 წლის გაზაფხული

ვალდებულებების აღწერა	კონკრეტული-ბა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება					
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულულება	ტენცილოგები	ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულულები-სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდეგული	არსებითი	შესრულებული

²¹ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 10 სამოქმედო გეგმაში, გვ. 16, <http://bit.ly/1Yf5K76>

- რეესტრიდან მზა ინფორმაციის გაცემისთვის განსაზღვრული ვადის (10 სამუშაო დღის) 3 სამუშაო დღემდე შემცირება;
- საჯარო უწყებებისთვის იმ ვალდებულებების დაკისრება, რომ განმარტონ ის ზიანი, რომელიც დახურული ინფორმაციის გამოქვეყნების შედეგად შეიძლება სახელმწიფოსა და საზოგადოებას მიადგეს, ასევე უზრუნველყონ ისეთი დახურული ინფორმაციის ღიაობა, რომლის მიმართაც მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს.² ეს ყველაზე მნიშვნელოვანი სიახლეა.

ეს პროექტი გაეგზავნა საერთაშორისო ექსპერტებს, ასევე სამართლისა და დემოკრატიის ცენტრს, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების (RTI=Right to Information) გლობალურ რეიტინგს აქვეყნებს. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელთა განცხადებით, თუ პარლამენტმა არსებული პროექტი უცვლელად მიიღო, ახალი კანონი საქართველოს RTI-ის გლობალურ რეიტინგში ამჟამინდელი, 32-ე ადგილიდან მე-2 ადგილზე გადაანაცვლებს.^{3,4} ფონდმა „ღია საზოგადოება – საქართველომ“ ეს კანონპროექტი იუსტიციის სამინისტროს 2014 წლის ოქტომბერში გადაუგზავნა, მაგრამ სამინისტროსგან პასუხი არ მიუღია.⁵ იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამინისტრო ახალ კანონპროექტთან დაკავშირებით საჯარო დისკუსიებს 2015 წლის სექტემბრიდან მოაწყობს. ამის შემდეგ პროექტი პარლამენტს წარედგინება.⁶

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

დაინტერესებული მხარეების აზრით, ეს ძალიან პოზიტიური ვალდებულებაა, რადგან ის მთავრობის ახალი რეფორმის განსახორციელებელ ინიციატივას გულისხმობს. მათი განცხადებით, ახალი კანონი საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებას უფრო გააძლიერებს. თუმცა იუსტიციის სამინისტრომ მხოლოდ კანონის პროექტის შემუშავების და მისი მთავრობისა და პარლამენტისთვის წარდგენის ვალდებულება აიღო, მათ კი ეს პროექტი შეიძლება უარყონ ან მნიშვნელოვნად შეცვალონ. არსებული კანონპროექტისგან განსხვავებით, რომელიც ახალი საზედამხედველო მექანიზმის დანერგვას და სანქციების შემოღებას ითვალისწინებს, ვალდებულების ტექსტი ანგარიშვალდებულების მექანიზმების შექმნას არ გულისხმობს. კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით ამ ვალდებულების ამბიციის ნაკლებობის გამო, OGP-ზე მისი გავლენა შეფასდა, როგორც მცირე, რაც, დაინტერესებულმა მხარეებმა პრობლემად მიიჩნიეს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ მთავრობას 2014 წლის გაზაფხულზე წარდგენილ პროექტზე საკუთარი მოსაზრებები დღემდე არ გამოუქვეყნებია. რაც შეეხება არსებულ პროექტს, იგი გადაუწყვეტელს ტოვებს ერთ საკვანძო საკითხს, კერძოდ, ოფშორულ ზონაში დარეგისტრირებული იმ კომპანიების შემოსავლების შესახებ ინფორმაციის არარსებობის პრობლემას, რომლებიც მოსახლეობისთვის კონკრეტული სერვისების მიწოდებით საჯარო ფუნქციას ასრულებენ.⁷ დაინტერესებულმა მხარეებმა ისიც აღნიშნეს, რომ მთავარი არსებული ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის კარგად განხორციელება და საქმე ნაკლებად ეხება საკანონმდებლო დებულებებს.⁸

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

ინფორმაციის თავისუფლების აქტის არსებული პროექტის შემუშავება OGP-ისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. შესაბამისად, აუცილებელია მისი სულისკვეთების შენარჩუნება და აქცენტის ამ პროექტის განხორციელებაზე და მისი ახალი ანგარიშვალდებულების მექანიზმების მონიტორინგზე გადატანა. დაინტერესებული მხარეების აზრით, ასევე მნიშვნელოვანია ახალი კანონის პროექტთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასა და ფართო საზოგადოებასთან შინაარსიანი დისკუსიების მოწყობა. USAID-ის წარმომადგენლის თქმით, მისი ორგანიზაცია ასეთ საჯარო დისკუსიებს მხარს დაუჭერს, რადგან ისინი ახალი კანონის პროექტზე ჯანსაღი დიალოგის წარმართვის კარგი საშუალებაა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი საჯარო მოხელე შეიძლება კრიტიკულად იყოს განწყობილი ახალი საზედამხებდველო ორგანოს შექმნის მიმართ, რომელიც მათ მიერ ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის შესრულების მონიტორინგს განახორციელებს.⁹

წყაროები

¹ ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო

² ინფორმაციის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი, 2014

³ სამართლისა და დემოკრატიის ცენტრი, ინფორმაციის თავისუფლების (RTI) გლობალური რეიტინგი, ქვეყნის მონაცემები, <http://bit.ly/1JOq0aa>

⁴ ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო

⁵ ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო

⁶ ინტერვიუ ზურაბ სანიკიძესთან, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსთან, და ქეთევან ცანავასთან, ღია მმართველობა საქართველოს ეროვნულ კოორდინატორთან, 2015 წლის 29 ივლისი

⁷ სალაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 30 ივლისი

⁸ ფორუმი უურნალისტებთან, 2015 წლის 28 ივლისი

⁹ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

11: ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი²²

ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი არის ღია მმართველობის პარტნიორობის ეროვნული საკოორდინაციო-საკონსულტაციო მექანიზმი, რომელიც ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში მოქმედებს და სამოქმედო გეგმის შემუშავების ხელშეწყობის და მისი შესრულების მონიტორინგის მიზნითაა შექმნილი. ფორუმის წევრები არიან საჯარო უწყებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები და კერძო სექტორი. ფორუმის პირველი შეხვედრა 2014 წლის 15 იანვარს გაიმართა. ამის შემდეგ ფორუმი ყოველთვიურად იკრიბება და ძირითადად სამოქმედო გეგმის შემუშავებაზეა ორიენტირებული. სამოქმედო გეგმის ღია მმართველობის პარტნიორობის სამდივნოსთვის წარდგენის შემდეგ ფორუმი გაავრცელებს ეროვნულ დონეზე სამოქმედო გეგმის შესრულების ხელშეწყობას, ამ პროცესის მონიტორინგს, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ღია მმართველობის პარტნიორობის სხვა პროცესების კოორდინაციას.

ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო (იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტი) უზრუნველყოფს:

1. ფორუმის საქმიანობის კოორდინაციასა და ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
2. ფორუმის შეხვედრების დღის წესრიგისა და განსახილველი საკითხების განსაზღვრას;
3. ფორუმის შეხვედრის ოქმის მომზადებასა და ვებგვერდზე განთავსებას;
4. წელიწადში ორჯერ ანტიკორუფციული საბჭოსთვის ფორუმის საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენას.

წამყვანი დაწესებულება: ანტიკორუფციული საბჭოს სამდივნო

დამხმარე დაწესებულებები:

სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებები, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები

დაწყების თარიღი: 2014 წლის იანვარი **დასრულების თარიღი:** განსაზღვრული არ არის

ვალდებულებების	კონკრეტული-ბა	OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრულება
----------------	---------------	------------------------------------	-------------------	-----------

²² იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 11 სამოქმედო გეგმაში, გვ. 18, <http://bit.ly/1Yf5K76>

აღწერა	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის შეღებვის ხარისხი	მოქალაქეთა ზრუნველობა	ანგარიშგაღებულ და	ტექნოლოგიები ინოვაცია	გამჭვირვალობისა და	ანგარიშგაღებულ და	სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული	
	11. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი			✓		✓	✓							✓						

რა მოხდა?

ეს ვალდებულება, რომლის მიზანი იყო ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის მუშაობის გაუმჯობესება, მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე შესრულდა. 2014 წლის იანვარში ფორუმის განახლების შემდეგ (იხილეთ ამ ანგარიშის III თავი („სამოქმედო გეგმის შესრულება“)) იუსტიციის სამინისტრომ გააგრძელა ფორუმის შეხვედრების მასშინძლობა. შეხვედრები ჯერ (ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს) თვეში ერთხელ, ხოლო შემდეგ (გეგმის შესრულების დროს) – ორ თვეში ერთხელ იმართებოდა. იუსტიციის სამინისტრო შეხვედრების დღის წესრიგს ფორუმის წევრებთან ერთად განსაზღვრავს. იგი მათ შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე უგზავნის ელექტრონულ ფოსტას დღის წესრიგთან ერთად.¹ ამასთანავე, იუსტიციის სამინისტრო თავის ვებგვერდზე თანამიმდევრულად აქვეყნებს ფორუმის ყველა შეხვედრის ოქმებს და ანტიკორუფციულ საბჭოს რეგულარულად აწვდის ანგარიშებს მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის შესახებ.²

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

დაინტერესებული მხარეების უმეტესობამ ფორუმი მეტწილად პოზიტიურად შეაფასა. იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელთა აზრით, ფორუმი სამინისტროს ყველაზე წარმატებული საკოორდინაციო მექანიზმია. მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს თანამომხსენებლების პრაქტიკას, რომელთა მეშვეობითაც არასამთავრობო ორგანიზაციები მთავრობასთან ერთად ფორუმის წევრებს რეგულარულად აწვდიან ანგარიშებს სამოქმედო გეგმის შესრულების პროგრესის შესახებ. ფორუმის წევრი არასამთავრობო და დონორი ორგანიზაციების (კერძოდ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და ევროკავშირის დელეგაციის)) OGP-ში უფრო აქტიურად ჩასართავად იუსტიციის სამინისტრო მათ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით მთავრობის კვარტალური მონიტორინგის შედეგებს უგზავნის და მათ მოსაზრებებს იღებს. შემდეგ სამინისტრო გაერთიანებულ მოსაზრებებს უგზავნის პასუხისმგებელ უწყებებს, რომლებიც ამ მოსაზრებებს მათ მიერ ფორუმის წევრებისთვის განსახილველად წარდგენილ კვარტალურ ანგარიშებში ასახავენ.³

ფორუმის მუშაობა არასამთავრობო და დონორმა ორგანიზაციებმაც პოზიტიურად შეაფასეს, განსაკუთრებით თბილისში 2015 წლის ივნისში OGP-ის ევროპის რეგიონული კონფერენციის ორგანიზების კუთხით. ⁴ არასამთავრობო

ორგანიზაციების აზრით, ფორუმი საჯარო და კერძო სექტორების დასაკავშირებლად საუკეთესო საშუალებაა და, შესაბამისად, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულებაში. ფორუმის მუშაობის მიმართ ინტერესი ახლა უფრო დიდია და ფორუმის წევრები OGP-ის პრობლემებს ღიად განიხილავენ.⁵ USAID-ის წარმომადგენლის თქმით, ფორუმის ახალი მონიტორინგის ჩარჩო ძალიან კარგი მექანიზმია OGP-ის ვალდებულებების შესრულების პროგრესის დასადგენად. საქართველოს შეუძლია ასეთი ეფექტიანი მართვის მექანიზმები სხვა ქვეყნებსაც გაუზიაროს, როგორც მთავრობის საქმიანობის მონიტორინგის საუკეთესო პრაქტიკა.⁶

დაინტერესებულმა მხარეებმა, პოზიტიური ასპექტების გარდა, ფორუმის მუშაობასთან დაკავშირებულ გამონვევებზედაც ისაუბრეს. პირველ რიგში, ზოგიერთი საჯარო უწყება ფორუმს სხვებზე ნაკლებად სერიოზულად აღიქვამს და ფორუმის საქმიანობაში მათი მონაწილეობა გამოიხატება უფრო ტექნიკური პრეზენტაციების წარდგენით, ვიდრე მათი ვალდებულებების შედეგებთან დაკავშირებით ფორუმის წევრებთან არსებით დისკუსიებში აქტიურად ჩართვით.⁷ ეს იმით არის განპირობებული, რომ ამ უწყებებს ფორუმში წარმოდგენენ შუა რგოლის საჯარო მოხელეები, რომლებიც გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ, პრემიერ-მინისტრის კაბინეტი კი აქტიურად არ არის ჩართული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პროცესში.⁸ ⁹ მეორე, ფორუმის საქმიანობაში აქტიურად მხოლოდ დედაქალაქში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციათა მცირე ჯგუფი მონაწილეობს, რაც ვერ უზრუნველყოფს მთელი სამოქალაქო საზოგადოების შეხედულებების სრული სპექტრის წარმოდგენას.¹⁰ ფორუმს უკუკავშირის ონლაინმექანიზმი არ აქვს. მის შეხვედრებში მონაწილეობის ერთადერთი საშუალებაა თბილისში, იუსტიციის სამინისტროში გამართულ შეხვედრებზე დასწრება, რისი რესურსიც ბევრ რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციას არ გააჩნია.¹¹ ის ორგანიზაციებიც კი, რომლებიც ფორუმის შეხვედრებზე დასწრებას ახერხებენ, ზოგჯერ განხილული რჩებიან მთავრობის ზემოქმედებაზე ტექნიკური პრეზენტაციების გამო. აქედან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციები ფორუმში ჯგუფის სახით ჩართვას და საერთო ინტერესის სფეროში შემავალი საკითხების ადვოკატირების ამ ფორმით განხორციელებას ამჯობინებენ.¹²

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეების აზრით, ფორუმის მეტი ინკლუზიურობისთვის მის საქმიანობაში მონაწილეობა რეგიონულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმაც უნდა მიიღონ. USAID-ის წარმომადგენლის თქმით, რუსთავეში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო განვითარების სააგენტო“, რომელიც საქართველოში დაახლოებით 50 რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციის ქსელს აერთიანებს, კარგი პლატფორმა იქნება ამ ორგანიზაციების ფორუმის წევრებთან დასაკავშირებლად და ფორუმის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის უფრო ფართო საზოგადოებისთვის მისაწოდებლად.¹³ ¹⁴ ფორუმის გაძლიერებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, რომ მის შეხვედრებში მთავრობის ხელმძღვანელები სულ მცირე მინისტრების მოადგილეების დონეზე მონაწილეობდნენ. ეს გაზრდის მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბების პროცესზე ფორუმის გავლენას.¹⁵ იუსტიციის სამინისტროსადმი დაინტერესებული მხარეების კიდევ ერთი რეკომენდაციაა, რომ

ფორუმის შეხვედრების დღის წესრიგი უკეთ დაიგეგმოს, რაც ფორუმის წევრების ინდივიდუალურ პრეზენტაციებსა და დისკუსიებს შორის დროის გონივრულ განაწილებას და აქცენტის დისკუსიებზე გაკეთებას გულისხმობს.¹⁶ და ბოლოს, დაინტერესებული მხარეების აზრით, მთავრობამ უნდა გააუმჯობესოს ფორუმის საქმიანობაზე საჯარო უწყებების ინფორმირება და უნდა მოუწოდოს მათ, ჩაერთონ ამ პროცესში და OGP-ისთვის ახალი ვალდებულებები წარმოადგინონ.¹⁷

იუსტიციის სამინისტროსადმი IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ შეიქმნას ონლაინპლატფორმა მათთვის, ვინც ფორუმის შეხვედრებს ვერ ესწრება, თუმცა ინფორმაციის რეგულარულად მიღება და დისკუსიებში ჩართვა სურს.

წყაროები

¹ სანიკიძე და ცანავა, ინტერვიუ, 2015 წლის 29 ივლისი

² საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმი, <http://bit.ly/1ocKaPn>

³ სანიკიძე და ცანავა, ინტერვიუ, 2015 წლის 29 ივლისი

⁴ IDFI, „ღია მმართველობის პარტნიორობის რეგიონული შეხვედრა საქართველოში წარმატებით დასრულდა“, 2015 წლის 4 ივნისი, <http://bit.ly/1APHWOF>

⁵ სალაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 30 ივლისი

⁶ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

⁷ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

⁸ ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო

⁹ კლდიაშვილი და ავალიშვილი, ინტერვიუები, 2015 წლის 31 ივლისი

¹⁰ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

¹¹ ბარეტი, ინტერვიუ, 2015 წლის 14 ივლისი

¹² ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო

¹³ სიდა, „სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის სამუშაო შეხვედრა“, 2015 წლის 20 აპრილი, <http://bit.ly/1JgzqGS>

¹⁴ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

¹⁵ ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო

¹⁶ ფორუმი ჟურნალისტებთან, 2015 წლის 28 ივლისი

¹⁷ ფორუმი ჟურნალისტებთან, 2015 წლის 28 ივლისი

13: საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალობა²³

საჯარო სამსახურში მიღების სისტემის დასახვეწად განსახორციელებელ ღონისძიებებს კოორდინაციას სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო გაუწევს. ფართო საკონსულტაციო პროცესის წარმართვისთვის სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნება.

წამყვანი დაწესებულება: საჯარო სამსახურის ბიურო

დამხმარე დაწესებულება:

სპეციალური სამუშაო ჯგუფი (საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები)

დაწყების თარიღი: 2014 წლის ივლისი **დასრულების თარიღი:** 2014 წლის შემოდგომა

ვალდებულებების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება						
	არსებითი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშობა	დატყუანულობა	ინოვაცია	გამჭვირვალობის და ანგარიშობის შედეგები	არსებითი	შესრულება	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შემდგომი	არსებითი	შესრულებული	
13. საჯარო სამსახურში მიღების გამჭვირვალობა				✓	✓	✓	✓						✓						✓

რა მოხდა?

ეს ვალდებულება, რომელიც გვემის მიხედვით, 2014 წელს შესრულდა, მიზნად ისახავდა საჯარო სამსახურში მიღების პროცედურების გამჭვირვალობას. 2014 წლის 18 ივნისს, ექსპერტთა ჯგუფის რამდენიმე შეხვედრისა და საჯარო კონსულტაციების ჩატარების შემდეგ მთავრობამ მიიღო დადგენილება, რომელმაც საჯარო მოხელეების მიღების ახალი წესები განსაზღვრა.¹ ძირითადი სიახლე ის არის, რომ საკონკურსო კომისიაში დამოუკიდებელი ექსპერტების, არასამთავრობო ორგანიზაციების და პროფესიული კავშირების წარმომადგენელთა ჩართვა სავალდებულო გახდა.²

²³ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 13 სამოქმედო გეგმაში, გვ. 20, <http://bit.ly/1Yf5K76>

გარდა ამისა, დადგენილებით გაიზარდა საჯარო სამსახურის ბიუროს მონიტორინგის უფლებამოსილება ორი მიმართულებით: 1) საჯარო სამსახურის ბიურო უფლებამოსილია დანიშნოს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე და უზრუნველყოს კომისიის შემადგენლობაში დამოუკიდებელი წევრების არსებობა; 2) ბიურო hr.gov.ge-ზე (საჯარო სამსახურში დასაქმების ვებპორტალი) ყოველი ვაკანსიის გამოქვეყნებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს მას, რათა ვაკანსიაში მოცემული სამუშაო აღწერილობა გამოცხადებული თანამდებობისადმი წაყენებული მოთხოვნების ადეკვატური იყოს. არაადეკვატურობის შემთხვევაში საჯარო სამსახურის ბიურო ამას იმ უწყებას ატყობინებს, რომელმაც ვაკანსია გამოაქვეყნა. თუ ეს უწყება ვერ გადაჭრის ამ პრობლემას, ბიურო ანგარიშს უკვე მთავრობას უგზავნის.³ საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ საჯარო უწყებები უმეტესად იზიარებენ მათ რეკომენდაციებს და, საჭიროების შემთხვევაში, გამოქვეყნებულ ვაკანსიებში არსებულ შეცდომებს ასწორებენ.⁴ გარდა ამისა, იმისთვის, რომ მოქალაქეებს საჯარო სამსახურის ვაკანსიაზე განაცხადის შეტანა გაუადვილდეთ, ბიურომ hr.gov.ge-ზე განთავსებულ CV-ის ნიმუშს განყოფილებები დაამატა და განმცხადებელს საშუალება მისცა, ვაკანსიის გამომცხადებელი უწყებისთვის განაცხადის საბოლოოდ წარდგენამდე ამ განყოფილებებში შესწორებები შეიტანოს. განმცხადებლებს hr.gov.ge-ზე განთავსებულ თითოეულ ვაკანსიაზე შეტანილ განაცხადთა რაოდენობის ნახვაც შეუძლიათ.⁵

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

მიუხედავად იმისა, რომ სამოქმედო გეგმაში არსებული ვალდებულების ტექსტი OGP-ის ღირებულებებთან მის შესაბამისობასთან დაკავშირებით ნათელ განმარტებებს არ შეიცავს, IRM-ის მკვლევარი დარწმუნდა, რომ ეს ვალდებულება OGP-ისთვის ნამდვილად მნიშვნელოვანია. არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საჯარო სამსახურში მიღებისა და განმცხადებლებთან ინტერვიუების პროცესის მონიტორინგის განხორციელების საშუალების მიცემა შეიძლება ძირითად მიღწევად იქნეს მიჩნეული, რადგან ადრე საზოგადოებისთვის მთელი ეს პროცესი დახურული იყო, რაც საკონკურსო კომისიის წევრების მიერ დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებების მიღებას, საჯარო მოხელეების პოლიტიკური ნიშნით განთავისუფლებას და საჯარო სამსახურში ნეპოტიზმისა და ფავორიტიზმის ფაქტების არსებობის გამო საზოგადოების უკმაყოფილებას იწვევდა.⁶ ახალი სისტემის მეშვეობით არასამთავრობო ორგანიზაციები აქტიურად არიან ჩართული საკონკურსო კომისიის მუშაობაში და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საჯარო სამსახურში მიღების პროცესში. თუმცა ადგილობრივ დონეზე ზოგიერთი საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა, რის გამოც IRM-მა ამ ვალდებულების პოტენციური შედეგი შეაფასა, როგორც საშუალო.

პირველ რიგში, დამოუკიდებელ დამკვირვებლებს შეუძლიათ დააკვირდნენ ადგილობრივ თვითმმართველობებში ჩატარებული კონკურსის პროცესის მხოლოდ წერითი ტესტის ეტაპს (მაგრამ არა ინტერვიუს ეტაპს). მეორე, ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურის ბიუროს მონიტორინგის უფლებამოსილება შეზღუდულია, რადგან საკონკურსო კომისიების თავმჯდომარეები საკრებულოების (ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანო) თავმჯდომარეები და მერები/გამგებლები

(ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო) არიან და, შესაბამისად, ისინი განსაზღვრავენ კომისიების წევრთა რაოდენობასა და შემადგენლობას.⁷ ბიუროს არ შეუძლია დაავალდებულოს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, რომ მათ ნება დართონ დამოუკიდებელ დამკვირვებლებს, დააკვირდნენ ინტერვიუს ეტაჟს, რომელიც, აქედან გამომდინარე, ნაკლებად გამჭვირვალედ ტარდება. „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლის თქმით, 2015 წელს კახეთის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების თანამშრომელთა ფართომასშტაბიანი კონკურსი საზოგადოებისთვის დახურული იყო, რამაც ამ კონკურსის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კითხვები გააჩინა.⁸ პრობლემაა ისიც, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები პერსონალურ მონაცემთა დაცვის ვალდებულებაზე მითითებით უარს აცხადებენ ვაკანსიებზე განმცხადებელთა სიის, მათი კონკურსის საბოლოო შედეგების და კანდიდატების შერჩევის კრიტერიუმების წარმოდგენაზე.⁹ ეს ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ზოგჯერ წერიტი ტესტის შედეგები ტესტირების ჩატარების ადგილზე და საბოლოო შედეგები, რომლებიც მოგვიანებით ცხადდება, ერთმანეთისგან განსხვავდება.¹⁰

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

საჯარო სამსახურში (განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე) მიღების მიმართ მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, დაინტერესებულმა მხარეებმა საჯარო სამსახურის ბიუროს და ადგილობრივ თვითმმართველობებს შემდეგი რეკომენდაციები წარუდგინეს:

- მაღალი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, შემოღებულ იქნეს ინფორმაციის გაცემის ერთიანი საკანონმდებლო სტანდარტი;
- დაინტერესებულ მხარეებს სრულყოფილად და დროულად მიეწოდოთ ინფორმაცია ვაკანსიებზე განმცხადებელთა შესახებ, მათ შორის, მათი კონკურსის შედეგების თაობაზე;
- კონკურსის ჩატარებამდე შემუშავდეს კანდიდატების შერჩევის ნათელი კრიტერიუმები;
- შესაძლებელი იყოს წერიტი ტესტის შედეგების ტესტირების დასრულებისთანავე, ადგილზე ამოხეჭდვა მათი საბოლოო შედეგებთან შესადარებლად;
- დამოუკიდებელი დამკვირვებლები თავისუფლად იქნენ დაშვებული კონკურსის ყველა ეტაჟზე, მათ შორის, ინტერვიუს ეტაჟზე და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დროს;¹¹
- მანიპულაციის თავიდან ასაცილებლად საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა რანგის საჯარო მოხელეთათვის წერიტი ტესტის ჩატარების ერთიანი ბარიერი შემუშავდეს.¹²

წყაროები

¹ საქართველოს მთავრობა, დადგენილება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, №412, 2014 წლის 18 ივნისი, <http://bit.ly/1Ub8U7a>

² საქართველოს მთავრობა, დადგენილება, №412, 2014 წლის 18 ივნისი

³ საქართველოს მთავრობა, დადგენილება, №412, 2014 წლის 18 ივნისი

⁴ დვალიშვილი და ალაპიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი

⁵ დვალიშვილი და ალაპიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი

⁶ სატელეფონო ინტერვიუ ერეკლე ურუშაძესთან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ პროექტის მენეჯერთან, 2015 წლის 22 ივლისი

⁷ სატელეფონო ინტერვიუ თამარ ბართაიასთან, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) დირექტორის მოადგილესთან, 2015 წლის 5 აგვისტო

⁸ მთიელიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 29 ივლისი

⁹ ბართაია, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო

¹⁰ ბართაია, ინტერვიუ, 2015 წლის 5 აგვისტო

¹¹ ISFED, საჯარო მოხელეთა ატესტაციისა და კონკურსის მონიტორინგის III შუალედური ანგარიში, 2015 წლის 22 მაისი, <http://bit.ly/1doupU9>

¹² ISFED, საჯარო მოხელეთა ატესტაციისა და კონკურსის მონიტორინგის II შუალედური ანგარიში, 2015 წლის 12 თებერვალი, <http://bit.ly/1KMvUUZ>

14: საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა²⁴

დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებულ პროცესებს კოორდინაციას სსიპ – საჯარო სამსახურის ბიურო გაუწევს. ეს პროცესი სამთავრობო უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობით წარიმართება.

წამყვანი დაწესებულება: საჯარო სამსახურის ბიურო

დამხმარე დაწესებულებები:

ანტიკორუფციული საბჭო, საქართველოს მთავრობა, საქართველოს პარლამენტი, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ)

დაწყების თარიღი: 2014 წლის მარტი **დასრულების თარიღი:** 2015

ვალდებულებების აღწერა	კონკრეტული-ბა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება					
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულულება	ტენდლოგები	ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულულების სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
14. საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა		✓			✓		✓					✓					✓	

რა მოხდა?

ეს არის უკვე არსებული ვალდებულება, რომელიც საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის შექმნას ითვალისწინებდა. 2014 წელს საჯარო სამსახურის ბიურომ, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებასთან (GIZ) თანამშრომლობით, შექმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც შესაბამისი სამთავრობო უწყებებისგან, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ექსპერტებისგან შედგებოდა. 2015 წლის თებერვალში ანტიკორუფციული საბჭოს ფარგლებში კიდევ ერთი უწყებათაშორისი ჯგუფი შეიქმნა. გარდა ამისა, საჯარო

²⁴ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 14 სამოქმედო გეგმაში, გვ. 21, <http://bit.ly/1Yf5K76>

სამსახურის ბიურომ მთელი ქვეყნის მასშტაბით 8 საჯარო კონსულტაცია ჩაატარა და საზოგადოებისგან მიღებული მოსაზრებები მის მიერ შემუშავებულ საკანონმდებლო პაკეტში ასახა.¹ ეს პაკეტი ჯერ, 2015 წლის ივნისში ანტიკორუფციულ საბჭოს წარედგინა, ხოლო ერთი თვის შემდეგ – პარლამენტს. 2015 წლის აგვისტოს მდგომარეობით, ძირითადად კანონპროექტმა პარლამენტში უკვე გაიარა პირველი მოსმენა. საჯარო სამსახურის ბიუროს მოელის, რომ ეს პროექტი სექტემბერში დაგეგმილ მეორე და მესამე მოსმენებსაც უპრობლემოდ გაივლის, რადგან პარლამენტის წევრებს პირველი მოსმენის დროს არანაირი პროტესტი არ გამოუთქვამთ.²

კანონპროექტის მიხედვით, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი შექმნის დამოუკიდებელ კომისიას, რომლის მუშაობაშიც ჩართული იქნება სამოქალაქო საზოგადოება და რომელიც მონიტორინგისთვის დეკლარაციებს შემთხვევითი შერჩევის წესით, სპეციალური მეთოდოლოგიის გამოყენებით შეარჩევს. ბიურო შემთხვევითი შერჩევის წესით შერჩეულ დეკლარაციათა სიას ყოველი წლის დასაწყისში პროაქტიულად გამოაქვეყნებს.³ კომისია იმ დეკლარაციებსაც შეამოწმებს, რომელთა დარღვევით შევსების შესახებ შეტყობინებას არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლები გაუგზავნიან.⁴ კიდევ ერთი ახალი წესის მიხედვით, სამსახურის შემდგომი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად საჯარო მოხელეები ვალდებული იქნებიან, საკუთარი ქონებრივი დეკლარაციები სამსახურის დატოვებიდან ერთი წლის შემდეგ გამოაქვეყნონ.⁵ მონიტორინგის პროცესში კომისიის წევრები ონლაინსივრცეში არსებული მონაცემთა ბაზებისა და სხვა დოკუმენტების შედარებით ანალიზს განახორციელებენ. სამართალდარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში საჯარო სამსახურის ბიურო ამ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს ანტიკორუფციულ სააგენტოს (დეპარტამენტს) გადაუგზავნის.⁶ მონიტორინგის შედეგები ყოველწლიურად, წლის ბოლოს გამოქვეყნდება.⁷ ახალი სისტემა 2017 წლის 1 იანვარს ამოქმედდება. საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენელთა განცხადებით, ამ სისტემის ეფექტიანი მუშაობისთვის ბიუროს დამატებითი რესურსები და ცალკე დეპარტამენტის შექმნა დასჭირდება.⁸

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

საქართველოს საჯარო მოხელეთა ქონების საძიებელი კარგი სისტემა აქვს. ეს პორტალი, declaration.gov.ge, 3100 მოხელის ყოველწლიურ ქონებრივ დეკლარაციებს მოიცავს.⁹ თუმცა კორუფციის თავიდან აცილების კუთხით გამოწვევა ის არის, რომ ამ დეკლარაციებში ასახული ინფორმაციის სიზუსტის შესამოწმებელი მექანიზმი არ არსებობს, რასაც არასამთავრობო ორგანიზაციები აკრიტიკებდნენ. ეს ორგანიზაციები ხშირად აქვეყნებენ ანგარიშებს, რომლებშიც საჯარო მოხელეების მიერ დეკლარაციებში მათი ქონების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვის ან არასწორი მონაცემების შეტანის ფაქტებია აღნიშნული.¹⁰ აქედან გამომდინარე, დაინტერესებულმა მხარეებმა მთავრობის ვალდებულება, შექმნას მონიტორინგის სისტემა, პოზიტიურ, წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნიეს, რადგან ეს გაზრდის საჯარო ანგარიშვალდებულებას, განსაკუთრებით იმ კუთხით, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები პირდაპირ ჩაერთვებიან მონიტორინგის კომისიის მუშაობაში. დაინტერესებული მხარეების აზრით, ამან შეიძლება ტრანსფორმაციული

გავლენა მოახდინოს საჯარო მოხელეთა ქცევის გაუმჯობესებასა და საჯარო სამსახურში ეთიკური სტანდარტების გამყარებაზე. არსებულ მონიტორინგის მეთოდოლოგიის პროექტს ერთი კომპონენტი აკლია. ეს არის ე. წ. „წითელი ღროშის“ სისტემა. მისი მეშვეობით არასამთავრობო ორგანიზაციები ისეთი დეკლარაციების შემოწმებას შეძლებდნენ, რომლებშიც ასახული ინფორმაცია ძალიან განსხვავდება იმავე საჯარო მოხელეების მიერ წინა წლებში წარდგენილი ინფორმაციისგან. თუმცა მთავრობამ აღნიშნული სისტემისთვის საჭირო ტექნიკური ინფრასტრუქტურის, რესურსებისა და თანხების ნაკლებობის გამო მის დანერგვაზე უარი თქვა.¹¹

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

დაინტერესებულმა მხარეებმა მონიტორინგის სისტემის პროექტის გასაუმჯობესებლად შემდეგი რეკომენდაციები წარმოადგინეს:

- მაღალ საჯარო ინტერესსა და დარღვევის შესახებ შეტყობინებაზე დაყრდნობით, დეკლარაციების მონიტორინგი უკვე 2016 წელს დაიწყო;
- მონიტორინგის შედეგები სამუშაოს ჩატარებიდან ერთ თვეში გამოქვეყნდეს და მიეთითოს უარყოფითი შეფასების მიზეზები;¹²
- სისტემის უკეთ მუშაობისთვის განისაზღვროს იმ დეკლარაციების მინიმალური რაოდენობა, რომლებიც მონიტორინგისთვის შემთხვევითი შერჩევის წესით შეირჩევა;¹³
- ახალი ფუნქციის შესასრულებლად საჯარო სამსახურის ბიურო შესაბამისი რესურსებით აღიჭურვოს.

წყაროები

¹ დვალიშვილი და აღაპიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი

² დვალიშვილი და აღაპიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი

³ საჯარო სამსახურის ბიურო, 2015 წლის თვითშეფასება

⁴ ურუშაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 22 ივლისი

⁵ დვალიშვილი და აღაპიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი

⁶ საჯარო სამსახურის ბიურო, 2015 წლის თვითშეფასება

⁷ ურუშაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 22 ივლისი

⁸ დვალიშვილი და აღაპიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი

⁹ საჯარო სამსახურის ბიურო, <http://bit.ly/1tW4S9F>

¹⁰ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ადგილობრივი თვითმმართველობების თანამდებობის პირთა არადეკლარირებული ქონება“, 2014 წლის 26 მარტი, <http://bit.ly/1Mk4vtP>

¹¹ ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო

¹² ურუშაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 22 ივლისი

¹³ სალაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 30 ივლისი

16: სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობა²⁵

ამჟამად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის (კერძოდ, უსინათლოთათვის) შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაცია ვებგვერდის, www.police.ge-ს, მეშვეობით სრულად ხელმისაწვდომი არ არის. შინაგან საქმეთა სამინისტრო საზოგადოებასთან კომუნიკაციას ელექტრონული ფოსტისა და „Facebook“-ის გამოყენებით ახორციელებს. თუმცა ამ უწყების მიზანია საზოგადოებასთან ურთიერთობის შემდგომი განვითარება და ამისთვის სამინისტროს ვებგვერდზე „ლაივჩათის“ აპლიკაციის განთავსება.

ვალდებულების ფარგლებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდი ხელმისაწვდომი გახდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. დაინერგება ონლაინკონსულტაციების მექანიზმი. „ლაივჩათის“ აპლიკაციით მოქალაქე შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ თემებზე მის თანამშრომელს დაუკავშირდება და შეკითხვით თუ რეკომენდაციით მიმართავს.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები: განსაზღვრული არ არის

დაწყების თარიღი: 2014 წლის მაისი **დასრულების თარიღი:** 2014

ვალდებულების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება					
	არსებითი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	ტექნოლოგიები	ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულებების საფუძველი	არსებითი	შედეგი	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
16. სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის ხელმისაწვდომობა				✓														✓

²⁵ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 16 სამოქმედო გეგმაში, გვ. 23, <http://bit.ly/1Yf5K76>

მობა																			
------	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--	--

რა მოხდა?

შინაგან საქმეთა სამინისტრომ ვალდებულება აიღო, მის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია ბრმა და მხედველობადაქვეითებული ადამიანებისთვისაც გაეხადა ხელმისაწვდომი, ასევე, ზოგადად, მოქალაქეებთან კომუნიკაცია გაეუმჯობესებინა.

სპეციალური ვებგვერდი, voice.police.ge, რომელიც police.ge-ზე განთავსებული ინფორმაციის მოსმენის საშუალებას იძლევა, 2014 წელს ამოქმედდა.¹ ამას წინ უძღოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსულტაციები „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ წარმომადგენლებთან, რათა ახალი ვებგვერდი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს მორგებოდა.² გარდა ამისა, 2015 წლის იანვარში შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოქალაქეებთან უფრო აქტიური კომუნიკაციისთვის თავის ვებგვერდზე „ლაიფჩათის“ აპლიკაცია ამოქმედდა.³ ამ აპლიკაციას ყოველდღიურად საშუალოდ 40–50 ადამიანი იყენებს. ამასთანავე, 2014 წლის დეკემბრიდან სამინისტრო მის საქმიანობაზე საზოგადოების მოსაზრებების გასაგებად ონლაინგამოკითხვას ატარებდა.⁴

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

OGP-ის ღირებულებებზე დაყრდნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ვალდებულება მიზნად ისახავს სამინისტროს საქმიანობის შესახებ მეტი ინფორმაციის ღიაობის უზრუნველყოფას და სამინისტროს უკეთ დაკავშირებას მოქალაქეებთან, განსაკუთრებით სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებთან. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ სამინისტრო არ აქვეყნებს ინფორმაციას, თუ როგორ შეიცვალა მისი საქმიანობა ანგარიშვალდებულების ახალი მექანიზმების ამოქმედების შედეგად, IRM-ის მკვლევარმა ვალდებულების OGP-ის ღირებულებებსა და საზოგადოებაზე გავლენა შეათვასა, როგორც საშუალო.

„საქართველოს უსინათლოთა კავშირი“, რომელსაც 3500 რეგისტრირებული (როგორც ბრმა, ისე მხედველობადაქვეითებული) წევრი ჰყავს და ქვეყნის მასშტაბით 21 ოფისი აქვს, ამ ვალდებულების ძირითადი ბენეფიციარია.⁵ ამ ორგანიზაციის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ კონსულტაციები გამართა მასთან და კავშირის კიდევ ერთ წევრთან (ორივე ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტია). ისინი სამინისტროს დაეხმარნენ voice.police.ge-ზე სპეციალური პროგრამის დაყენებაში, რომელიც დაწერილი ტექსტის აუდიოკითხვის საშუალებას იძლევა.⁶ ამ სპეციალისტების განცხადებით, ახალი ვებგვერდი კარგად მუშაობს და მასზე მომხმარებელთა გამოხმაურება დადებითია.⁷

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

მთავრობისადმი „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ წარმომადგენლების რეკომენდაციაა, რომ მიღებულ იქნეს საკანონმდებლო ცვლილება, რომელიც

ყველა საჯარო უწყებას დაავალდებულებს, რომ მათი ვებგვერდები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე იყოს მორგებული.⁸

IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციის მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტრომ რეგულარულად უნდა გამოაქვეყნოს მონაცემები voice.police.ge-ს და „ლაიფჩათის“ აპლიკაციის გამოყენების სიხშირის და ამ მექანიზმებით მომხმარებელთა კმაყოფილების დონის შესახებ, ასევე უნდა ჰკითხოს მომხმარებლებს, დამატებით რა ინფორმაციის ან მომსახურების მიღება სურთ მათ სამინისტროსგან.

წყაროები

¹ შინაგან საქმეთა სამინისტრო, <http://bit.ly/1KLSJCO>

² ხაბულიანი, ინტერვიუ, 2015 წლის 14 აგვისტო

³ შინაგან საქმეთა სამინისტრო, <http://bit.ly/1KRDiEw>

⁴ ხაბულიანი, ინტერვიუ, 2015 წლის 14 აგვისტო

⁵ „საქართველოს უსინათლოთა კავშირი“, <http://bit.ly/1UMRZ0h>

⁶ სატელეფონო ინტერვიუ ლადო ურდულაშვილთან, „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ წევრსა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტთან, 2015 წლის 17 აგვისტო

⁷ ურდულაშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 17 აგვისტო

⁸ სატელეფონო ინტერვიუ რევაზ მაისურაძესთან, „საქართველოს უსინათლოთა კავშირის“ სამეურვეო საბჭოს წევრთან, 2015 წლის 17 აგვისტო

17: ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება²⁶

სამართალდამცავი ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად საქართველოს უზენაესი სასამართლო 2014 წლიდან აწარმოებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარების შუამდგომლობის განხილვის სტატისტიკას, თუმცა მონაცემები სამოქმედო გეგმის შემუშავების ეტაპისთვის პროაქტიულად გამოქვეყნებული არ ყოფილა.

მოქმედი კანონმდებლობით სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების განხორციელება მხოლოდ მოსამართლის თანხმობით არის შესაძლებელი, სასამართლოს შეუძლია აწარმოოს სტატისტიკა და იგი პროაქტიულად გამოაქვეყნოს. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2014 წლის სექტემბრიდან მიყურადების შესახებ კვარტალურ სტატისტიკას, 2015 წლიდან კი – წლიურ სტატისტიკას გამოაქვეყნებს.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს უზენაესი სასამართლო

დამხმარე დაწესებულებები: განსაზღვრული არ არის

დაწყების თარიღი: 2014 წლის სექტემბერი **დასრულების თარიღი:** 2015 წლის იანვარი

ვალდებულებების აღწერა	კონკრეტული				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				
	არსებითი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშვალდებულება	ტექნოლოგიები და ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებების საფუძვლის	არსებითი	შედეგი	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
17. ფარული მიყურადების მონაცემების პროაქტიული გამოქვეყნება			✓		✓							✓					✓

რა მოხდა?

ეს ვალდებულება მთავრობის ფარული მიყურადების პროაქტიულობის ზოგიერთი კომპონენტის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად სატელეფონო მიყურადების შესახებ სტატისტიკის საჯაროდ გამოქვეყნებას გულისხმობდა.

²⁶ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 17 სამოქმედო გეგმაში, გვ. 24, <http://bit.ly/1Yf5K76>

უზენაესმა სასამართლომ ამ სტატისტიკის წარმოება და, აღნიშნული საკითხის მიმართ მაღალი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, მისი გამოქვეყნება 2014 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. სანცის ეტაპზე სტატისტიკა მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის წარმოებდა. თუმცა, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრების თხოვნისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების განხორციელების¹ შემდეგ სასამართლომ 2014 წლის ოქტომბრიდან სამოქმედო გეგმაში შეტანილი ვალდებულების მიხედვით ყოველწლიური სტატისტიკის, ხოლო 2015 წლიდან – უკვე კვარტალური სტატისტიკის პროაქტიულად გამოქვეყნება დაიწყო.² სასამართლოს ვებგვერდზე PDF დოკუმენტების სახით წარმოდგენილი მონაცემები შეიცავს ინფორმაციას პროკურატურის მიერ სასამართლოებისთვის წარდგენილი ფარული სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობების რაოდენობის და სასამართლოების მიერ ამ შუამდგომლობების დაკმაყოფილების შესახებ.³ როგორც უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელმა განმარტა, ეს მონაცემები, ფარული მიყურადების ობიექტების პერსონალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულებიდან გამომდინარე, მეტ დეტალს არ შეიცავს. მან ისიც აღნიშნა, რომ, ვინაიდან ავტომატიზებული ელექტრონული საქმისწარმოების სისტემა არ არსებობს, უზენაესი სასამართლოსთვის გამონვევაა საქალაქო სასამართლოების მიერ მიწოდებული მონაცემების ხელით დამუშავება.⁴

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

ყველა დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ვალდებულება, რომელიც იძლევა უფრო მეტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სიხშირით ახორციელებს მთავრობა ფარულ სატელეფონო მიყურადებას და იზრდება თუ არა მიყურადების ტენდენცია. USAID-ის წარმომადგენლის თქმით, საქართველო მსოფლიოს იმ ქვეყანათა მცირერიცხოვან ჯგუფში შედის, სადაც ფარული მიყურადების მონაცემები პროაქტიულად ქვეყნდება. ამასთანავე, მან მოიწონა ის ფაქტი, რომ უზენაესი სასამართლო ამ ვალდებულების შესრულებისთვის პასუხისმგებელი ძირითადი უწყებაა. ეს მოწმობს, რომ OGP, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ინიციატივის სახით დაიწყო, გავრცელდა ასევე სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებზე, მათ შორის, სასამართლო ხელისუფლებაზე.⁵

უარყოფითი ფაქტია ის, რომ უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ფარული სატელეფონო მიყურადების მონაცემების ძირითადი სიტყვებით ძიება რთულია და მომხმარებელს ამ მონაცემების მისაღებად ბევრი გვერდის გახსნა უწევს.⁶

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

არსებული პრაქტიკის შემდგომი გაუმჯობესებისთვის დაინტერესებული მხარეები ითხოვენ უფრო დეტალურ მონაცემებს, რომლებიც დახარისხებული იქნება მოსმენის ობიექტის მიერ ჩადენილი დანაშაულის ტიპისა და სიმძიმის, ასევე იმ პირების კატეგორიის მიხედვით, რომელთა მიერ წარდგენილ ფარული სატელეფონო მიყურადების შუამდგომლობასაც სასამართლო აკმაყოფილებს.⁷ მათი კიდევ ერთი რეკომენდაციაა, რომ გამოქვეყნდეს ინფორმაცია მიყურადების შუამდგომლობის ინიციატორი რაიონული პროკურატურის და ამ შუამდგომლობის დამკმაყოფილებელი ან უარყოფელი სასამართლოს გეოგრაფიული არეალის

შესახებ.⁸ და ბოლოს, დაინტერესებული მხარეების აზრით, უზენაესმა სასამართლომ უნდა გამოაქვეყნოს მონაცემები იმ ჩანაწერების რაოდენობის შესახებ, რომლებმაც გამოძიებისთვის მნიშვნელობა დაკარგა, ასევე საგამოძიებო მოქმედებების დასრულების შემდეგ პროკურატურის მიერ კანონის შესაბამისად მათი განადგურების სიხშირის თაობაზე.⁹

წყაროები

¹ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 143¹, <http://bit.ly/1EkbaXZ>

² ინტერვიუ ლია მჭედლიშვილთან, საქართველოს უზენაესი სასამართლოს აპარატის ანალიტიკური განყოფილების მთავარ კონსულტანტთან – სტატისტიკის სექტორის ხელმძღვანელთან, 2015 წლის 6 აგვისტო

³ უზენაესი სასამართლო, <http://bit.ly/1PsSjJk>

⁴ მჭედლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 6 აგვისტო

⁵ სთოუნჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

⁶ ფორუმი ჟურნალისტებთან, 2015 წლის 28 ივლისი

⁷ ნაცვლიშვილი, ინტერვიუ, 2015 წლის 11 აგვისტო

⁸ ინტერვიუ ლიკა საჯაიასთან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ საპარლამენტო მდივანთან, 2015 წლის 26 აგვისტო

⁹ საჯაია, ინტერვიუ, 2015 წლის 26 აგვისტო

18: საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება²⁷

ამომრჩეველთა ჩართულობის გაზრდისა და საარჩევნო პროცესებში მონაწილე მხარეთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (შემდგომ – ცესკო) და სსიპ – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი (შემდგომ – სწავლების ცენტრი) სხვადასხვა ფორმატის საინფორმაციო ღონისძიებებს განახორციელებენ.

წამყვანი დაწესებულება: ცესკო, სწავლების ცენტრი

დამხმარე დაწესებულებები:

ცესკო და ყველა დაინტერესებული საჯარო უწყება, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები

დაწყების თარიღი: 2014 წლის სექტემბერი **დასრულების თარიღი:** 2015 წლის ოქტომბერი

ვალდებულებების აღწერა	კონკრეტული-ბა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება				
	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულულება	და ტექნოლოგიები ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულულებების საფუძვლის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
18. საარჩევნო პროცესების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება			✓		✓	✓						✓					✓

რა მოხდა?

საარჩევნო პროცესებზე მოქალაქეთა უკეთ ინფორმირებისთვის ცესკომ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების განხორციელების ვალდებულება აიღო. მათი უმეტესობა უკვე განხორციელდა. პირველ რიგში, ცესკომ ქვეყნის მასშტაბით 19 წამყვან უნივერსიტეტთან გააფორმა მემორანდუმები, რათა საარჩევნო სამართლის კურსი მათი სასწავლო პროგრამების ნაწილი გამხდარიყო. ლექციებს სწავლების

²⁷ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 18 სამოქმედო გეგმაში, გვ. 25, <http://bit.ly/1Yf5K76>

ცენტრის თანამშრომლები ატარებენ. ამ კურსს ძალიან ბევრი სტუდენტი ესწრება და ისინი მას პოზიტიურად აფასებენ. ამ პროექტის ფარგლებში 2015 წლის აპრილში სწავლების ცენტრმა სტუდენტებისთვის შექმნა იურიდიული კლინიკა, რომლის ეგიდით იმართება ენცობა თემატური დებატები საარჩევნო საკითხებზე, მაგალითად, საარჩევნო ასაკსა და გენდერულ კვოტებზე.^{1,2}

მეორე, ცესკომ, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან და „საქართველოს SOS ბავშვთა სოფელთან“ თანამშრომლობით, 70 ობოლი ბავშვისთვის (მათ შორის, 18 წელს მიღწეული მოზარდებისთვის, რომლებიც არჩევნებში პირველად მონაწილეობენ) თბილისსა და ქუთაისში ორკვირიანი საარჩევნო კურსი ჩაატარა.³ გარდა ამისა, 2015 წლის 13 ივლისს ცესკომ საქართველოს 10 საარჩევნო ოლქში 17-დან 25 წლამდე ახალგაზრდებისთვის პროექტის „საარჩევნო განვითარების სკოლები“ განხორციელება დაიწყო. ეს პროექტი ევროპის საბჭოს და USAID-ის მიერაა დაფინანსებული, ხოლო მისი განმახორციელებელი პარტნიორები არიან საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი (IFES) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია).⁴ IFES-მა საარჩევნო განვითარების სკოლებზე სარეკლამო ვიდეორგოლი შექმნა. ეს ვიდეორგოლი პროექტის დაწყებამდე რეგიონულ ტელეარხებზე გავიდა და ბევრი დააინტერესა, რომ პროექტში მონაწილეობაზე განაცხადი შეეტანა.⁵ ცესკომ სულ 923 განაცხადი მიიღო. მათგან 550 შეირჩა. ცესკოს თავმჯდომარის თქმით, კურსის შესახებ მონაწილეთა პირველი შეფასება ძალიან პოზიტიური იყო.⁶

და ბოლოს, მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში ცესკომ ორი საგრანტო კონკურსი გამოაცხადა. პირველი მათგანი 2015 წლის მარტში გამოცხადდა და ოთხ ძირითად პრიორიტეტზე იყო ორიენტირებული: 1) ამომრჩეველთა განათლება; 2) ქალების პოლიტიკური მონაწილეობა; 3) პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების გაძლიერება, განსაკუთრებით რეგიონულ დონეზე; 4) საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის ხელშეწყობა.⁷ ამ საგრანტო კონკურსზე ცესკომ 75-ზე მეტი განაცხადი მიიღო და 25 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია 1.3 მილიონი ლარით დააფინანსა.⁸ საკონკურსო კომისია, რომელიც ამ განაცხადებს იხილავდა, კარგად ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან შედგებოდა. მათ შორის იყვნენ USAID, IFES, ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), ევროპის საბჭო და სხვა ორგანიზაციები.⁹ გარდა ამისა, 2015 წლის ივლისში ცესკომ გამოაცხადა მეორე საგრანტო კონკურსი, რომელიც ორ პრიორიტეტზე იყო ორიენტირებული: 1) 2015 წლის ოქტომბერში გასამართ პარლამენტის შუალედურ არჩევნებზე ამომრჩეველთა ინფორმირება; 2) 2015 წლის ოქტომბერში გასამართი პარლამენტის შუალედური არჩევნების პროცესში მონაწილეთა ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა.¹⁰

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

ამ ვალდებულების მიზანია არჩევნების შესახებ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება და საარჩევნო პროცესებში მათი აქტიური ჩართვა, რაც OGP-ის კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. თუმცა, იმის

გათვალისწინებით, რომ შეფასების პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები მხოლოდ ახალგაზრდებზე იყო ორიენტირებული, ვალდებულების პოტენციური შედეგი შეფასდა, როგორც საშუალო.

დაინტერესებულმა მხარეებმა, რომლებიც ცესკოსთან ახალგაზრდულ პროექტებზე თანამშრომლობენ, განხორციელებული ღონისძიებები პოზიტიურად შეაფასეს. საიას წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ „საარჩევნო განვითარების სკოლები“ ძალიან წარმატებული პროექტი აღმოჩნდა. ამ პროექტის ფარგლებში საია პასუხისმგებელი იყო პროექტის დაწყებამდე საინფორმაციო კამპანიის წარმართვისთვის. მან აღვივლობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციებზე სასწავლო მოდულის ჩატარების, მნიშვნელოვან საარჩევნო საკითხებზე დებატების მოწყობის და IFES-სთან თანამშრომლობით სარეკლამო ვიდეორგოლის შექმნის ვალდებულება აიღო. საარჩევნო განვითარების სკოლებისადმი უდიდესი ინტერესიდან გამომდინარე, პროექტის განმხორციელებელი პარტნიორები ახალ კურსს 2015 წლის შემოდგომაზე ჩაატარებენ.¹¹ როგორც ცესკოს, ისე საიას წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ სკოლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ახალგაზრდებში არჩევნების პოპულარიზაციასა და შესაბამისი არჩევნების დამკვირვებელი ორგანიზაციებისთვის საარჩევნო ექსპერტების რესურსის შექმნაში. შესაბამისად, ისინი ამ სკოლებს რეგულარულად, წელიწადში ორჯერ ან ერთხელ მაინც მოაწყობენ.

დაინტერესებული მხარეების აზრით, მნიშვნელოვანია, რომ არჩევნების თემამ არჩევნების ჩატარების შემდეგ აქტუალურობა არ დაკარგოს. ის, რომ ბევრი მოქალაქე საარჩევნო პერიოდის დასრულების შემდეგ ამ თემის მიმართ ინტერესს კარგავს, იმით არის განპირობებული, რომ ისინი სკოლებში საარჩევნო განათლებას არ იღებენ.¹² ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ცესკო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ზოგადი განათლების მისაღები სკოლების დამამთავრებელ კლასებში მუდმივმოქმედ საარჩევნო კურსს შემოიღებს. გარდა ამისა, ცესკო „საარჩევნო განვითარების სკოლებისთვის“ შექმნის Facebook-ის გვერდს და მონაწილეების მონაცემთა ბაზას, რაც საარჩევნო პროცესებში ჩართული ყველა მხარისთვის სასარგებლო რესურსი იქნება.¹³

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

ცესკოსადმი IRM-ის მკვლევრის მთავარი რეკომენდაციაა, რომ მან არჩევნების შესახებ ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ჩაატაროს ასევე მოქალაქეთა იმ სამიზნე ჯგუფებისთვის, რომლებიც უშუალოდ არ არიან ჩართული საარჩევნო პროცესებში და მათ შესახებ სხვებზე მწირი ინფორმაცია აქვთ. ეს განსაკუთრებით ეხება საქართველოს ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებს, რომელთა უმეტესობამ ოფიციალური, სახელმწიფო ენა არ იცის და, შესაბამისად, ცესკოს მიმდინარე საქმიანობისგან სარგებელს ვერ იღებს.

წყაროები

¹ ინტერვიუ თამარ ჟვანიასთან, ცესკოს თავმჯდომარესთან, 2015 წლის 23 ივლისი

² ცესკო, იურიდიული კლინიკა, <http://bit.ly/1kdd7fg>

³ უვანია, ინტერვიუ, 2015 წლის 23 ივლისი

⁴ ცესკო, „ტრენინგთა ტრენინგი ცესკოს „საარჩევნო განვითარების სკოლებისთვის“, 2015 წლის 2 ივლისი, <http://bit.ly/1JkCtxW>

⁵ ინტერვიუ ქეთი მაისურაძესთან, „IFES საქართველოს“ პროექტის ხელმძღვანელის მოადგილესთან, 2015 წლის 30 ივლისი

⁶ უვანია, ინტერვიუ, 2015 წლის 23 ივლისი

⁷ სწავლების ცენტრი, ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ, 2015 წლის 24 მარტი, <http://bit.ly/1JnM4WW>

⁸ სწავლების ცენტრი, საგრანტო კონკურსის შედეგები, <http://bit.ly/1JzyyRf>

⁹ სწავლების ცენტრი, ინფორმაცია საგრანტო საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ, 2015 წლის 23 აპრილი, <http://bit.ly/1EkltLf>

¹⁰ სწავლების ცენტრი, ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ, 2015 წლის 21 ივლისი, <http://bit.ly/1IiWtzg>

¹¹ სატელეფონო ინტერვიუ ირმა პავლიაშვილთან, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საარჩევნო პროექტების იურისტთან, 2015 წლის 24 ივლისი

¹² მაისურაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 23 ივლისი

¹³ უვანია, ინტერვიუ, 2015 წლის 23 ივლისი

19: საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობა²⁸

საბიუჯეტო პროცესებზე საზოგადოების ინფორმირება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე პრეზენტაციებისა და საჭირო დოკუმენტების განთავსებით ხდება, თუმცა ამ პროცესის სამართავად ფორმალიზებული სქემა არ არსებობს.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კოორდინაციით, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავდა კონკრეტული ღონისძიებების ნუსხა და სქემა, რომლის მიხედვითაც მოხდება საბიუჯეტო პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაციის გავრცელება, საზოგადოებისთვის მიწოდება და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური ჩართვა.

წამყვანი დაწესებულება: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დამხმარე დაწესებულებები:

საქართველოს პარლამენტი, საერთაშორისო ორგანიზაციები, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები

დაწყების თარიღი: 2014 წლის ივლისი **დასრულების თარიღი:** 2015 წლის დეკემბერი

ვალდებულებების აღწერა	კონკრეტულობა				OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა				პოტენციური შედეგი				შესრულება					
	არსებითი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულება	და ტექნოლოგიები	ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულებების სათვის	არსებითი	შედეგი	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
19. საბიუჯეტო პროცესების გამჭვირვალობა			✓		✓	✓						✓						✓

რა მოხდა?

საბიუჯეტო პროცესების მეტი ღიაობისთვის ფინანსთა სამინისტრომ ძირითადი საბიუჯეტო დოკუმენტების საინფორმაციო პრეზენტაციებთან ერთად გამოქვეყნების და საზოგადოების აზრის გასაგებად ონლაინკითხვარის შექმნის ვალდებულება აიღო. 2014 წლის ივნისში ფინანსთა სამინისტრომ თავის ვებგვერდზე განთავსებული ონლაინკითხვარი განაახლა, რათა მოქალაქეებისთვის საშუალება მიეცა, 2016 წლისთვის უკეთ დაეგეგმათ საკუთარი საბიუჯეტო პრიორიტეტები სხვადასხვა

²⁸ იხილეთ ვალდებულების თავდაპირველი ნომერი 19 სამოქმედო გეგმაში, გვ. 26, <http://bit.ly/1Yf5K76>

სექტორის მიხედვით. 2015 წლის აგვისტოს მონაცემებით, ეს კითხვარი 4157-მა მოქალაქემ შეავსო. მათი პრიორიტეტები იყო განათლება, მეცნიერება, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები.¹ 2015 წელს ფინანსთა სამინისტრომ უფრო ხელმისაწვდომ ფორმატში გამოაქვეყნა მოქალაქის ბიუჯეტი, რომელიც უკვე მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის უფრო მოკლე და ნაკლებად ტექნიკური ვარიანტია. ეს დოკუმენტი შეიცავს საინფორმაციო ცხრილებსა და გრაფებს, რომლებიც ბიუჯეტის ძირითად მონაცემებს აჯამებს.²

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

ამ ვალდებულებას OGP-ისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოქალაქეებს მთელ მსოფლიოში აინტერესებთ, როგორ ხარჯავს მთავრობა საჯარო ფინანსებს და რა მექანიზმები არსებობს ბიუჯეტის შემუშავების, შესრულებისა და მონიტორინგის პროცესებში საზოგადოების ჩასართავად. დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ ფინანსთა სამინისტრო ძირითად საბიუჯეტო დოკუმენტებს თანამიმდევრულად და სრულად აქვეყნებს. ეს დაადასტურა უკანასკნელმა, 2015 წლის „ღია ბიუჯეტის ინდექსმა“, რომლის მიხედვით, საქართველო თავის მოქალაქეებს ბიუჯეტის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის. ქვეყანამ ამ ინდექსში 100-დან 66 ქულა მიიღო, რაც საშუალო ქულაზე (45) მნიშვნელოვნად მეტია.³ თუმცა იმავე კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მთავრობა მოქალაქეებს საბიუჯეტო პროცესებში ჩართვის შემდგომ შესაძლებლობას აძლევს.⁴ ამის გათვალისწინებით, IRM-ის მკვლევარმა ამ ვალდებულების საზოგადოებაზე გავლენა შეაფასა, როგორც საშუალო.

დაინტერესებულმა მხარეებმა ასევე განაცხადეს, რომ მთავრობის საბიუჯეტო დოკუმენტები (მათ შორის, განახლებული მოქალაქის ბიუჯეტი) მარტივი ენით არ არის დაწერილი და მოქალაქეებს უჭირთ მათში წარმოდგენილი მონაცემების აღქმა. ამავე დროს, სახელმწიფო ბიუჯეტის ცალკეული თავები ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდზე მრავალ PDF ფაილად არის განთავსებული, რაც ართულებს კონკრეტული მონაცემის მოძიებას.⁵

რაც შეეხება ონლაინკითხვარს, ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას ბევრი მომხმარებელი არ ჰყავს, რაც შეიძლება ორი ფაქტორით იყოს განპირობებული: 1) ხალხს სახელმწიფო ბიუჯეტზე მეტად ადგილობრივი ბიუჯეტები აინტერესებს, რადგან ისინი უფრო პირდაპირ გავლენას ახდენენ მოქალაქეთა ცხოვრებაზე; 2) ფინანსთა სამინისტროს კითხვარის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად პიარკამპანია არ ჩატარებია.⁶

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

დაინტერესებული მხარეების აზრით, ფინანსთა სამინისტრომ თავისი ხარჯვითი პროგრამები საზოგადოების საჭიროებებს უნდა მოარგოს, რისთვისაც მან მოქალაქეებთან კომუნიკაცია პროაქტიულად უნდა განახორციელოს, უფრო ეფექტიანად უნდა ჩართოს ისინი საბიუჯეტო განხილვებში და მათი მოსაზრებები ძირითადი პრიორიტეტების თაობაზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებებში უნდა ასახოს.⁷ გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტრომ საბიუჯეტო დოკუმენტები ღია მონაცემთა ფორმატში უნდა გამოაქვეყნოს და მომხმარებლებს ამ მონაცემების

დახარისხების და კონკრეტული ინფორმაციის ძირითადი სიტყვებით მოძიების საშუალება უნდა მისცეს.⁸ ამის საპასუხოდ ფინანსთა სამინისტრო საბიუჯეტო პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობის გასაზრდელად დეტალურ საკანონმდებლო პროცედურებს შეიმუშავებს და ამ საკითხზე სრულყოფილ პიარკამპანიას დაინწყებს.⁹

მიუხედავად იმისა, რომ საბიუჯეტო დოკუმენტაცია სრულად არის წარმოდგენილი ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე, IRM-ის მკვლევრის რეკომენდაციაა, რომ ამ დოკუმენტაციას შემდეგი ინფორმაცია დაემატოს: საბიუჯეტო ხარჯებზე, შემოსავლებსა და სახელმწიფოს ვალზე სხვადასხვა მაკროეკონომიკურ გათვლაში (როგორებიცაა, მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა და ინფლაციის დონე) შესაძლო ცვლილებების შედეგების ანალიზი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოში ბოლო დროს შექმნილი სავალუტო კრიზისის პირობებში.¹⁰

წყაროები

¹ ფინანსთა სამინისტრო, ონლაინკითხვარი, <http://survey.mof.ge/>

² ფინანსთა სამინისტრო, 2015 წლის მოქალაქის ბიუჯეტი, <http://bit.ly/1PVR3QR>

³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „2015 წლის „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ საქართველომ 66 ქულა მიიღო“, 2015 წლის 9 სექტემბერი, <http://bit.ly/1RCNcsn>

⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „2015 წლის „ღია ბიუჯეტის ინდექსში“ საქართველომ 66 ქულა მიიღო“

⁵ ინტერვიუ ნინო ევგენიძესთან, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის აღმასრულებელ დირექტორთან, და გივი ჭანუკვაძესთან, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის პროგრამის წამყვან მენეჯერთან, 2015 წლის 4 აგვისტო

⁶ ინტერვიუ ეკა გუნცაძესთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის უფროსთან, 2015 წლის 7 აგვისტო

⁷ ინტერვიუ მიხეილ კუკავასთან, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ უფროს ანალიტიკოსთან, 2015 წლის 20 ივლისი

⁸ ევგენიძე და ჭანუკვაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 4 აგვისტო

⁹ გუნცაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 7 აგვისტო

¹⁰ Civil.ge, „ლარი დაცემას განაგრძობს“, 2015 წლის 25 აგვისტო, <http://bit.ly/1i4fr7H>

20: შესყიდვების ელექტრონული სისტემა²⁹

სახელმწიფო შესყიდვების გამჭვირვალობის გასაზრდელად სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო გაათავოთობებს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემას მასში კონკურსის ელექტრონული მოდულის ინტეგრირებით.

დღეს არსებული წესის შესაბამისად, კონკურსი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული სახეა, სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე ცხადდება. კონკურსის ჩატარება არ არის სრულად ავტომატიზებული, როგორც ეს ტენდერის შემთხვევაშია. კონკურსი შემსყიდველ ორგანიზაციაში ტარდება, ხოლო კონკურსთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ეგზავნება სსიპ – სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, რომელიც მას თავის ვებგვერდზე აქვეყნებს.

ეს მეთოდი ვერ უზრუნველყოფს გამჭვირვალობისა და საჯაროობის ისეთ ხარისხს, როგორც ტენდერის შემთხვევაშია. კონკურსის ჩატარებისას შემსყიდველი ორგანიზაცია ფართო ავტონომიით სარგებლობს. ამასთანავე, საკონკურსო კომისიის გადანყვეტილებები დაავების განხილვის საბჭოში არ საჩივრდება.

კონკურსის ელექტრონული მოდულის დანერგვის შედეგად მიმწოდებლები კონკურსში მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიიღებენ, როგორც ეს ტენდერის შემთხვევაში ხდება. კონკურსების სისტემაში ინტეგრირება გეოგრაფიულ ბარიერს მოხსნის და კონკურსში მონაწილეობას გაამარტივებს. კონკურსების სისტემაში ინტეგრირების შედეგად უკვე შესაძლებელი იქნება საკონკურსო კომისიის გადანყვეტილებების დაავების განხილვის საბჭოში გასაჩივრება, რაც კონკურსში მონაწილე მიმწოდებელთა უფლებების ეფექტიან დაცვას უზრუნველყოფს. კონკურსების სისტემაში ინტეგრირება კონკურსის ჩატარების პროცესს კიდევ უფრო გამჭვირვალეს გახდის, რაც პირდაპირ უპასუხებს OGP-ის პრინციპებს და სახელმწიფო ფინანსების ხარჯვის ეფექტიანობას უზრუნველყოფს.

წამყვანი დანესებულება: სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო

დამხმარე დანესებულებები: განსაზღვრული არ არის

დაწყების თარიღი: 2014 წლის ივნისი **დასრულების თარიღი:** 2015 წლის მაისი

ვალდებულებების აღწერა	კონკრეტული	OGP-ის ღირებულებებთან შესაბამისობა	პოტენციური შედეგი	შესრულება
-----------------------	------------	------------------------------------	-------------------	-----------

²⁹ იხილეთ ვალდებულებების თავდაპირველი ნომერი 20 სამოქმედო გეგმაში, გვ. 27, <http://bit.ly/1Yf5K76>

	არცერთი	დაბალი	საშუალო	მაღალი	ინფორმაციის სელმისწვდომობა	მოქალაქეთა ჩართულობა	ანგარიშგაღებულები და ტექნოლოგიები ინოვაცია	გამჭვირვალობისა და ანგარიშგაღებულები-სათვის	არცერთი	მცირე	საშუალო	ტრანსფორმაციული	არ დაწყებულა	შეზღუდული	არსებითი	შესრულებული
20. შესყიდვების ელექტრონული სისტემა			✓	✓		✓					✓					✓

რა მოხდა?

ამ ვალდებულებების მთავარი მიზანი იყო არსებული ელექტრონული შესყიდვების სისტემის გაუმჯობესება მასში კონკურსის ელექტრონული მოდულის ინტეგრირებით, რომელიც დიზაინის, არქიტექტურული და საინჟინრო სერვისების შესაძენად გამოიყენება.¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების მიხედვით, კონკურსის ელექტრონული მოდულის საპილოტე ვერსია 2015 წლის მაისში, ხოლო მთლიანი სისტემა – 2015 წლის 1 ივლისს ამოქმედდა.² 2015 წლის აგვისტოს მონაცემებით, ახალი მოდულის მეშვეობით სულ 12 კონკურსი გამოცხადდა.³

ძირითადი სიახლე ის არის, რომ კონკურსის ყველა პროცედურა (იგულისხმება შემოტანილი განაცხადების შერჩევა, შეფასება და გამარჯვებული კომპანიის შერჩევის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება) ელექტრონულად ხორციელდება. ახალი სისტემა ასევე ითვალისწინებს შემოტანილი განაცხადების ერთდროულად ფასისა და ხარისხის მიხედვით შეფასებას და გამარჯვებული განაცხადის ავტომატურად გამოვლენას.⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შეიმუშავა სპეციალური ჩარჩო, რომელიც შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, განსაზღვრონ კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც შეაფასებენ შემოთავაზებული სერვისის ხარისხს და განმცხადებელს შესაბამის ქულას მიანიჭებენ. ამის შემდეგ ეს ჩარჩო ავტომატურად აჯამებს ხარისხის საერთო ქულას ფასთან და სხვა რაოდენობრივ კრიტერიუმებთან, რომლებიც განაცხადშია მითითებული. შედეგზე დაყრდნობით, ავტომატურად ხდება განმცხადებელთა რანგირება. შემსყიდველმა ორგანიზაციამ ის განმცხადებელი უნდა აირჩიოს, რომელიც საბოლოო ქულების მიხედვით პირველ ადგილზე გავა. შეფასების დროს შემსყიდველი ორგანიზაციები უპირატესობას განმცხადებლების გამოცდილებას, ცოდნას და უკვე შესრულებული სამუშაოს ხარისხს ანიჭებენ.⁵ მნიშვნელოვანია, რომ კონკურსის ელექტრონული მოდული განმცხადებელს საშუალებას აძლევს, საჩივრით მიმართოს დავების განხილვის საბჭოს, თუ მიიჩნევს, რომ მისი განაცხადი უსამართლოდ იქნა დისკვალიფიცირებული.⁶ 2015 წლის აგვისტოს მონაცემებით, ამ საბჭოს არცერთი ასეთი საჩივარი არ მიუღია.⁷

შესაბამისი დაინტერესებული მხარეების (მათ შორის, შემსყიდველი საჯარო უწყებების და კერძო კომპანიების) ინფორმირებისთვის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ სხვადასხვა ქალაქში ჩაატარა საჯარო კონსულტაციები იმაზე, თუ

როგორ მუშაობს კონკურსის ელექტრონული მოდული პრაქტიკაში.⁸ გარდა ამისა, სააგენტომ სპეციალური სახელმძღვანელო შეიმუშავა და იგი თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნა.⁹

ჰქონდა ამას მნიშვნელობა?

სახელმწიფო შესყიდვების პროცესის გამჭვირვალობას მთავრობასა და კერძო სექტორში კორუფციის თავიდან აცილებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. დაინტერესებული მხარეების აზრით, კონკურსის ახალი ელექტრონული მოდული სასარგებლო მონიტორინგის მექანიზმია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისთვის კონკურსის პროცესის გამჭვირვალობისა და მიუკერძოებლობის გასაზრდელად.¹⁰ თუმცა, მათი განცხადებით, ეს ვალდებულება ვერ ჭრის შემდეგ პრობლემას: მთავრობა გამარტივებული შესყიდვების უკიდურესი საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარე წარმოებაზე თანხმობას ბუნდოვანი კრიტერიუმების მიხედვით გასცემს.¹¹ გამარტივებული შესყიდვები შემსყიდველ ორგანიზაციებს საშუალებას აძლევს, მათთვის ხელსაყრელ მიმწოდებლებს მილიონობით ლარის ღირებულების კონტრაქტები შესყიდვების ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით გაუფორმონ, რაც კონკურენციას ამცირებს და კორუფციის რისკს ქმნის.¹² ამავე დროს, კონკურსი შესყიდვის ყველაზე იშვიათად გამოყენებული მეთოდია და, შესაბამისად, ელექტრონულ შესყიდვებზე ბევრად ნაკლები კონკურენცია ახასიათებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მონაცემებით, 2011 წლიდან 2015 წლის ივნისის ჩათვლით პერიოდში კონკურსის წესით გაფორმდა მხოლოდ 1280 კონტრაქტი, რომელთა საერთო ღირებულება 31.4 მილიონი ლარი იყო.¹³ ამის საპირისპიროდ, მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში, 2013-2014 წლებში, ელექტრონული შესყიდვების წესით გაფორმდა 42404 კონტრაქტი, რომელთა საერთო ღირებულება 3.1 მილიარდ ლარს შეადგენდა.¹⁴ ასეთი სხვაობა იმითაა განპირობებული, რომ კონკურსი გამოიყენება დიზაინისა და არქიტექტურული სერვისების შესაძენად, რომლებზედაც ძალიან მაღალი მოთხოვნილება არ არის, ასევე საქართველოს ბაზარზე ცოტაა ისეთი კომპანია, რომელსაც ამ სერვისების მიწოდება შეუძლია. აქედან გამომდინარე, პოტენციური შედეგი OGP-ის ამ ვალდებულებებისა, რომელიც კონკურსის ახალი ელექტრონული მოდულის შექმნას ითვალისწინებდა, შეფასდა, როგორც საშუალო.

წინ გადასადგმელი ნაბიჯები

როგორც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, შემსყიდველი ორგანიზაციებისადმი კონკურსის ელექტრონულ მოდულთან დაკავშირებული ერთადერთი რეკომენდაციაა, რომ მათ შემოტანილი განაცხადების ხარისხის შესაფასებლად უფრო ნათელი კრიტერიუმები შეიმუშაონ.¹⁵

მეორე მხრივ, გამარტივებულ შესყიდვებთან დაკავშირებული პრობლემის გადასაჭრელად ევროკავშირის რეკომენდაციაა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას დაეკისროს ვალდებულება, ასეთი შესყიდვის განხორციელების დაგეგმვისას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შეტყობინება გაუგზავნოს და შესყიდვა მხოლოდ მისი თანხმობის შემთხვევაში განახორციელოს, ასევე ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები იქნეს გათვალისწინებული.¹⁶ ამის

საპასუხოდ პარლამენტმა დაიწყო ახალი საკანონმდებლო ცვლილების განხილვა, რომლითაც შემსყიდველ ორგანიზაციას დაეკისრება ვალდებულება, გამარტივებულ შესყიდვასთან დაკავშირებით საჯარო შეტყობინება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს გაუგზავნოს და ასეთი შესყიდვა მხოლოდ მისგან თანხმობის მიღების შემთხვევაში განახორციელოს.¹⁷ გარდა ამისა, შესყიდვების ელექტრონულ ვებგვერდზე ყველა დაინტერესებული მხარე გამოთქვამს მოსაზრებას გამარტივებული შესყიდვის წარმოების აუცილებლობასთან დაკავშირებით. ამ მოსაზრებებზე დაყრდნობით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, დააკმაყოფილოს თუ არა შემსყიდველი ორგანიზაციის თხოვნა გამარტივებული შესყიდვის წარმოებაზე.¹⁸

დაინტერესებული მხარეების აზრით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ გამარტივებული შესყიდვების წესით ჩასატარებელი ტენდერების მონიტორინგის ეფექტიანი სისტემა უნდა შექმნას. ამასთან დაკავშირებული კიდევ ერთი რეკომენდაციაა, რომ შეიზღუდოს შესყიდვების ელექტრონული სისტემის გვერდის ავლით ჩასატარებელი ტენდერების რაოდენობა და ნათლად განიმარტოს, რა იგულისხმება „უკიდურეს საზოგადოებრივ საჭიროებაში“ ასეთი ტენდერის ჩატარების შემთხვევაში.¹⁹ ეს, თავის მხრივ, შეზღუდავს შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს შესაძლებლობას, მათ მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი საჯარო ტენდერების შესახებ ინფორმაციის გამოუქვეყნებლობა გარკვეული მიზეზებით გაამართლონ. და ბოლოს, შესყიდვების ელექტრონული ვებგვერდის მეშვეობით მომხმარებლებმა მათთვის საინტერესო ტენდერების შესახებ ავტომატური ელექტრონული შეტყობინებების მიღება უნდა შეძლონ.²⁰

წყაროები

- ¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, კონკურსის ელექტრონული მოდული, <http://bit.ly/1JBkNSe>
- ² სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თავმჯდომარის ბრძანება „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, №7, 2015 წლის 22 მაისი, <http://bit.ly/1Eoj0zS>
- ³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თვითშეფასება
- ⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თვითშეფასება
- ⁵ ინტერვიუ მანანა შურდულაიასთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსთან, 2015 წლის 31 ივლისი
- ⁶ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თვითშეფასება
- ⁷ შურდულაია, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი
- ⁸ შურდულაია, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი
- ⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული პრეტენდენტის გამოვლენის ფორმულის გამოყენების გზამკვლევი, <http://bit.ly/1Kp0EPS>
- ¹⁰ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სახელმწიფო შესყიდვების კონკურსის წესი იხვეწება“, 2015 წლის 30 ივნისი, <http://bit.ly/1KRNU0g>
- ¹¹ სალაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 30 ივლისი
- ¹² „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სახელმწიფო შესყიდვები 2013-2014 წლებში: როგორ და რაში იხარჯება ბიუჯეტი“, 2015 წლის ივლისი, გვ. 4-10, <http://bit.ly/1fL0Lsn>
- ¹³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სახელმწიფო შესყიდვების კონკურსის წესი იხვეწება“
- ¹⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სახელმწიფო შესყიდვები 2013-2014 წლებში: როგორ და რაში იხარჯება ბიუჯეტი“
- ¹⁵ შურდულაია, ინტერვიუ, 2015 წლის 31 ივლისი

¹⁶ ევროკომისია, „საქართველოს ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის განხორციელების მესამე წინსვლის ანგარიში“, 2015 წლის 8 მაისი, ბრიუსელი, გვ. 7, <http://bit.ly/1i7Ku2D>

¹⁷ „ინტერპრესნიუსი“, „გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმდება“, 2015 წლის 23 ივლისი, <http://bit.ly/1F3xQgc>

¹⁸ „ინტერპრესნიუსი“, „გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები შესყიდვების სააგენტოსთან შეთანხმდება“

¹⁹ სალაძე, ინტერვიუ, 2015 წლის 30 ივლისი

²⁰ ბარეტი, ინტერვიუ, 2015 წლის 14 ივლისი

V. პროცესი: თვითშეფასება

იუსტიციის სამინისტრომ მთავრობის თვითშეფასების ანგარიშის პირველი პროექტი 2015 წლის 23 სექტემბერს გამოაქვეყნა.¹ იმავე დღეს სამინისტრომ ღია მმართველობა საქართველოს ფორუმის წევრებს (მათ შორის, IRM-ის მკვლევარს) ანგარიშის პროექტის გამოქვეყნების შესახებ ელექტრონული შეტყობინება გაუგზავნა და ისინი ამ პროექტის განხილვაზე მიიწვია. გარდა ამისა, სამინისტრომ ანგარიშის პროექტზე საჯარო კომენტარების მისაღებად 5 დღე გამოყო (28 სექტემბრამდე) და ამ მიზნით ელექტრონული ფოსტის მისამართი, ogpgeorgia@justice.gov.ge, გამოაქვეყნა.

ფორუმის რიგგარეშე შეხვედრა 24 სექტემბერს გაიმართა. IRM-ის მკვლევარი ამ შეხვედრას ვერ დაესწრო, თუმცა მან შეხვედრის რამდენიმე მონაწილესთან (მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ და ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ წარმომადგენლებთან) სატელეფონო ინტერვიუები ჩაატარა.² მიღებული ინფორმაციის მიხედვით, პასუხისმგებელმა უწყებებმა ფორუმის წევრებს ეროვნული სამოქმედო გეგმის თითოეული ვალდებულების მიხედვით წინსვლის შესახებ ანგარიშები წარუდგინეს. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, თავის მხრივ, წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები, რომლებიც ძირითადად ვალდებულებების შესრულების ნელ ტემპთან დაკავშირებულ კრიტიკას შეიცავდა. იუსტიციის სამინისტრომ პირობა დადო, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მოსაზრებებს ანგარიშის საბოლოო ვარიანტში ასახავდა. თუმცა 30 სექტემბრამდე, რომელიც მთავრობის თვითშეფასების ანგარიშის OGP-ისთვის წარდგენის ბოლო ვადა იყო, სამინისტროს განახლებული ანგარიში არ გამოუქვეყნებია.

თვითშეფასების კითხვარი

გამოქვეყნდა თუ არა ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიში?	დიახ
გამოქვეყნდა თუ არა ანგარიში გრაფიკის დაცვით?	დიახ
არის თუ არა ანგარიში ხელმისაწვდომი ქართულ ენაზე?	დიახ
არის თუ არა ანგარიში ხელმისაწვდომი ინგლისურ ენაზე?	არა
უზრუნველყო თუ არა მთავრობამ ანგარიშის პროექტის გამოქვეყნების შემდეგ მასზე საჯარო კომენტარების მისაღებად ორკვირიანი პერიოდის გამოყოფა?	არა
წარდგენილი იქნა თუ არა ანგარიშის პროექტზე საჯარო კომენტარები?	დიახ
განთავსდა თუ არა ანგარიში OGP-ის პორტალზე?	არა
შეიცავდა თუ არა ანგარიში სამოქმედო გეგმის შემუშავების პერიოდში ჩატარებული კონსულტაციების შედეგების მიმოხილვას?	არა
შეიცავდა თუ არა ანგარიში სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდში ჩატარებული კონსულტაციების შედეგების მიმოხილვას?	არა
შეიცავდა თუ არა ანგარიში მისი შემუშავების დროს წარდგენილი საჯარო კომენტარების შედეგების მიმოხილვას?	არა
აისახა თუ არა ანგარიშში ყველა ვალდებულება?	დიახ
აფასებდა თუ არა ანგარიში თითოეულ ვალდებულებას სამოქმედო გეგმაში მოცემული ვადებისა და ინდიკატორების მიხედვით?	დიახ
უპასუხებდა თუ არა ანგარიში IRM-ის ძირითად რეკომენდაციებს (მხოლოდ 2015 წლის შემდგომმა ანგარიშებმა უნდა უპასუხოს)?	არა

დამატებითი ინფორმაციის მიმოხილვა

გამოქვეყნებული ანგარიშის პროექტი შეიცავს სამოქმედო გეგმიდან აღებულ ცხრილებს, რომლებშიც აღნიშნულია ყველა (29) ვალდებულება, მათი შესრულებისთვის პასუხისმგებელი უწყებები, ვალდებულებების შესრულების ვადები, შესრულების დონე და შეფასების ინდიკატორები. თუმცა ეს პროექტი არ შეიცავს მეორე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პერიოდში მთავრობის მიერ ჩატარებული კონსულტაციების შედეგების მიმოხილვას. ანგარიშის პროექტი ასევე არ შეიცავს მასზე წარდგენილი საჯარო კომენტარების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ ინფორმაციას, რომლის მიწოდებასაც OGP ითხოვს.

წყაროები

¹ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, <http://bit.ly/1JLUrs3>

² სატელეფონო ინტერვიუ ვაკო ნაცვლიშვილთან (ფონდი „ღია საზოგადოება – საქართველო“) და გიორგი თოფურიასთან („საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“), 2015 წლის 2 ოქტომბერი

VI. ქვეყნის კონტექსტი

საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, პირველი 12 წლის განმავლობაში საქართველოს დემოკრატიული განვითარება 1990-იანი წლების დასაწყისში აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში წარმოებულმა ორმა სეპარატისტულმა კონფლიქტმა და სამოქალაქო ომმა შეაფერხა. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილისა და მისი პარტიის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, მოსვლის შემდეგ ახალი მთავრობა დაადგა რეფორმების გზას, რომელიც მიზნად ისახავდა კორუფციასთან ბრძოლას და ძლიერი ეკონომიკისა და საჯარო ადმინისტრაციას შექმნას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია, მაგრამ მან ძალაუფლება პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში გააერთიანა, რამაც პარლამენტისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა შეზღუდა. ამან, თავის მხრივ, პრობლემები შექმნა გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების, ადამიანის უფლებათა და მედიისა და ბიზნესის თავისუფლებების დაცვის კუთხით. სიტუაცია კიდევ უფრო გამწვავდა 2008 წელს, როდესაც საქართველოსთან ომის შემდეგ რუსეთმა აფხაზეთი და ე. წ. სამხრეთი ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცნო.

საკაშვილის მთავრობის მიმართ მზარდმა უკმაყოფილებამ გამოიწვია ის, რომ მილიარდული ბიძინა ივანიშვილის მიერ შექმნილმა ოპოზიციურმა კოალიციამ, „ქართულმა ოცნებამ“, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დაამარცხა. ამით პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს ისტორიაში პირველად ძალაუფლების მშვიდობიანი გზით გადაცემა მოხდა. 2013 წლის ოქტომბრის საკონსტიტუციო ცვლილებებმა ძალაუფლება პრეზიდენტიდან (ამჟამად – გიორგი მარგველაშვილი) პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტზე გადაანაცვლა. ერთი თვის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი პრემიერ-მინისტრის თანამდებობიდან გადადგა, ხოლო ეს თანამდებობა მისმა ახლო მოკავშირემ, ირაკლი ღარიბაშვილმა, დაიკავა.

„ქართული ოცნების“ მთავრობამ სასამართლო ხელისუფლებისა და მედიის დამოუკიდებლობის გაძლიერების და ჯანმრთელობის დაცვისა და შრომითი სტანდარტების გაუმჯობესების მიზნით რამდენიმე რეფორმა გაატარა. თუმცა მან ასევე მიიღო წინააღმდეგობრივი აქტი – „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელმაც „ზოგად ამნისტიას დაუქვემდებარა თვითნებურად შერჩეულ სიაში შეყვანილი ის პირები, რომლებიც ფართო კატეგორიის სხვადასხვა დანაშაულისთვის იყვნენ მსჯავრდებული“ (როგორც ეს კანონშია მოხსენიებული) „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დროს.¹ კიდევ ერთი წინააღმდეგობა მას შემდეგ წარმოიშვა, რაც დააკავეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავრობის ყოფილი მაღალი თანამდებობის პირები, რომლებსაც კორუფციასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში დასდეს ბრალი. ზოგის აზრით, ეს დაკავებები ე. წ. „სამართლიანობის აღდგენას“ და კანონის უზენაესობას

ემსახურებოდა, თუმცა სხვებს მიაჩნდათ, რომ ისინი პოლიტიკურად მოტივირებული იყო.²

სამოქმედო გეგმის შესრულების პირველ წელს გამართული პოლიტიკური დებატები ხშირად ეხებოდა ქვეყნის საარჩევნო სისტემის რეფორმას. საქართველოს აქვს არჩევნების შერეული სისტემა, რომელიც პროპორციული პარტიული სიისა და მაჟორიტარული ხმის მიცემის სისტემებს აერთიანებს. ეს პრაქტიკაში იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის 150 პარლამენტის წევრიდან 77 პროპორციული, ხოლო 73 – მაჟორიტარული სისტემის მეშვეობით აირჩევა. პროპორციული მანდატები გადანაწილდება იმ პოლიტიკურ პარტიებსა და ბლოკებს შორის, რომლებიც არჩევნებში ხმების სულ მცირე 5 პროცენტს მიიღებენ, ხოლო მაჟორიტარული მანდატები – იმ კანდიდატებს შორის, რომლებიც თითოეულ ოლქში მიიღებენ ყველაზე მეტ ხმას, მაგრამ არანაკლებ 30 პროცენტისა.³ თუმცა გამოწვევა ის არის, რომ ამჟამინდელი მაჟორიტარული სისტემა ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა თანაბრად წარმოდგენას მთელი ქვეყნის მასშტაბით. მაგალითად, როგორც ქუთაისის (საარჩევნო ოლქი 150000-ზე მეტი რეგისტრირებული ამომრჩევლით), ისე ყაზბეგის (საარჩევნო ოლქი 5000-ზე ცოტა მეტი რეგისტრირებული ამომრჩევლით) ამომრჩევლებს პარლამენტში ერთი მაჟორიტარი დეპუტატი წარმოადგენს. საარჩევნო ოლქების სიდიდეს შორის ასეთი სხვაობა ქმნის სიტუაციას, როდესაც პარტიის მიერ არჩევნებში მიღებული ხმების და მის მიერ მოპოვებული საპარლამენტო მანდატების რაოდენობები პროპორციული არ არის.⁴

არსებული სისტემის რეფორმისთვის შემოთავაზებულ მრავალ წინადადებას შორის ყველაზე დიდი ყურადღება 8 ოპოზიციური პარტიის მიერ 2010 წელს წარმოდგენილმა ვარიანტმა დაიმსახურა. მასზე მსჯელობა შეფასების პერიოდშიც გრძელდებოდა. ამ პროექტის მიხედვით, მაჟორიტარული სისტემა, რომელიც „გამარჯვებული იღებს ყველაფერს“ მოდელს გულისხმობს, საქართველოს 73 ერთმანდატიან საარჩევნო ოლქში უნდა შეიცვალოს რეგიონულ-პროპორციული სისტემით, ხოლო მრავალმანდატიან ოლქებში – პარტიის/საარჩევნო ბლოკის მიერ წარდგენილი მაჟორიტარის ასარჩევი სისტემით. ამ სისტემით საარჩევნო ოლქების საერთო რაოდენობა შემცირდება ისტორიულად და გეოგრაფიულად დაკავშირებული პატარა ოლქების გაერთიანებით, ხოლო ყველაზე დიდი ოლქები პარლამენტში რამდენიმე წევრს აირჩევენ. აღნიშნული პროექტის ავტორებს სჯერათ, რომ ასეთი სისტემა გადაჭრის ამომრჩეველთა ხმების არათანაბარი გადანაწილების პრობლემას.⁵ პროექტს მხარი დაუჭირა წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა, მათ შორის, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ.⁶ თუმცა ამას ჯერჯერობით არ გამოუწვევია საკანონმდებლო ცვლილების მიღება.

შეფასების პერიოდში საქართველოში მოხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომლებიც ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეტანილ ვალდებულებებში ასახული არ არის, თუმცა OGP-ის ღირებულებებზე და ქვეყნის ამ პარტნიორობაში მონაწილეობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ 2015 წლის აპრილში პარლამენტი საპარლამენტო ღიაობის დეკლარაციას შეუერთდა,⁷ ხოლო იმავე

წლის ივლისში მან საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა (2015-2016) მიიღო. ეს სამოქმედო გეგმა 11 პარლამენტის წევრისგან შემდგარმა პარლამენტის ინტერფრაქციულმა ჯგუფმა ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების (მათ შორის, ევროკავშირის და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP)) აქტიური მხარდაჭერით მიიღო.⁸ აღნიშნული სამოქმედო გეგმა 18 ვალდებულებისგან შედგება და ორიენტირებულია OGP-ის ძირითად ღირებულებებზე (მოქალაქეთა ჩართულობა, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, ტექნოლოგიები და ინოვაცია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებისათვის, საჯარო ანგარიშვალდებულება).⁹ გარდა ამისა, 2015 წლის სექტემბერში პარლამენტმა, ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით, „ღია მმართველობის პარტნიორობის საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფის“ მაღალი დონის საერთაშორისო შეხვედრას უმასპინძლა. ამ შეხვედრაზე მისმა მონაწილეებმა, რომლებიც 32-ზე მეტ ქვეყანას წარმოადგენდნენ, მათი მთავრობების მიერ მიღებული სამოქმედო გეგმები განიხილეს და გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ახალი მექანიზმებისა და მათ დანერგვასთან დაკავშირებული გამოწვევების შესახებ ინფორმაცია გაცვალეს.¹⁰

ამას წინ უძღოდა კიდევ ერთი მაღალი დონის შეხვედრა, OGP-ის ევროპის რეგიონული კონფერენცია, რომელსაც საქართველომ 2015 წლის ივნისში უმასპინძლა.¹¹

საჯარო ანგარიშვალდებულების კუთხით მნიშვნელოვანი მიღწევა იყო 2014 წლის თებერვალში პარლამენტის მიერ ახალი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიღება, რომელმაც საქართველოში დეცენტრალიზაციისთვის, წინა კანონთან შედარებით, უფრო ხელსაყრელი პირობები შექმნა. კოდექსი შეიცავს დებულებებს, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (განსაკუთრებით პირდაპირი წესით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოების) გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას ეხება. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ კოდექსმა საქართველოს 71 მუნიციპალიტეტს (მათ შორის, 12 თვითმმართველ ქალაქს და 59 თვითმმართველ თემს) საშუალება მისცა, პირდაპირ აერჩიათ ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები (მერი/გამგებელი) ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოების (საკრებულო) წევრებთან ერთად.¹² ამის შედეგად 2014 წლის ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა, რომლებიც ახალი კოდექსის მიხედვით ჩატარდა, მნიშვნელოვნად გაზარდა როგორც მერის/გამგებლის, ისე საკრებულოს წარმომადგენლობითობის ხარისხი. ისინი კი საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისთვის პასუხისმგებელი ძირითადი ორგანოები არიან. გარდა ამისა, კოდექსმა საშუალება მისცა მოქალაქეებს, დაეხმარონ ადგილობრივ თვითმმართველობებს შესაბამისი მუნიციპალიტეტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების გამოვლენასა და გადაწყვეტაში დასახლების საერთო კრებების, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების და ელექტრონული პეტიციების გაგზავნის მეშვეობით.¹³

2014-2015 წლებში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები კვლავ აქტიურად აწარმოებდნენ ადვოკატირების კამპანიებს საქართველოში მთავრობის ანგარიშვალდებულების გაზრდის და ადამიანის უფლებათა უკეთ დაცვის მიზნით. „ეს შენ გეხება“ ასეთი სამოქალაქო კამპანიების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია. ამ კამპანიის პირველმა ფაზამ, რომელიც 2012 წლის თებერვალში დაიწყო, წარმატებით შეძლო არჩევნებისა და პარტიების დაფინანსების კონტექსტში მოქალაქეთა პოლიტიკურ აქტივობასა და გამოხატვის თავისუფლებაზე მთავრობის წინააღმდეგობრივი საკანონმდებლო შეზღუდვების გაუქმება.¹⁴ მეორე ფაზის განმავლობაში, რომელიც 2014 წლის მარტში დაიწყო, კამპანია „ეს შენ გეხება“-ს მიზანი იყო მოქალაქეების მიმართ მთავრობის ყოვლისმომცველი ფარული მიყურადების პრაქტიკის შეზღუდვა და მასზე ეფექტიანი ზედამხედველობის დანერგვა.¹⁵ პირველი ფაზისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში კამპანიამ ვერ მიაღწია თავის მთავარ მიზანს – შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის მოესპო ტელეკომოპერატორების ქსელების პირდაპირი ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. თუმცა პროგრესი მაინც აღსანიშნავია. კერძოდ, 2014 წლის აგვისტოში პარლამენტმა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილება შეიტანა. ამ ცვლილების მიხედვით, სამართალდამცავმა ორგანოებმა ფარული მიყურადების საწარმოებლად სასამართლოს ნებართვის მიღებისთვის დასაბუთების უფრო მაღალი სტანდარტი უნდა წარმოადგინონ, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა მათი მოქმედებების გაძლიერებული მონიტორინგი უნდა განახორციელოს. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორმა სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური კომუნიკაციის მოსასმენად შესაბამისი სასამართლო ნებართვის არსებობის შემთხვევაში უნდა გასცეს ელექტრონული თანხმობა ასეთი მოქმედების ჩატარებაზე.¹⁶ კამპანია „ეს შენ გეხება“-ს წარმომადგენელთა თქმით, ეს ცვლილებები საკმარისი არ არის და ისინი გააგრძელებენ ადვოკატირების ღონისძიებების განხორციელებას მთავრობის მიერ მოქალაქეთა მიყურადებაზე მეტი შეზღუდვის დასაწესებლად.¹⁷

2014 წელს მთავრობამ გამოასწორა ზოგიერთი საკანონმდებლო ხარვეზი მამხილებელთა დაცვასთან დაკავშირებით „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანით. პირველ რიგში, ახალი ცვლილებით „მხილება“ განიმარტა, როგორც არა მხოლოდ საჯარო სამსახურში უკვე ჩადენილი დარღვევების, არამედ ასევე პოტენციური დარღვევების წინააღმდეგ მიმართული ქმედება. მეორე, ვიდრე საპირისპირო არ დამტკიცდება, ჩაითვლება, რომ მამხილებელი, რომელიც ასეთი დარღვევების შესახებ შეტყობინებას აგზავნის, კეთილსინდისიერად მოქმედებს. მესამე, მამხილებელს შეუძლია შეტყობინება არა მხოლოდ თავის უშუალო უფროსს/ყოფილ უფროსს, არამედ ასევე სხვა უწყებებს (მათ შორის, სამართალდამცავ ორგანოებს და სახალხო დამცველს) გაუგზავნოს. ამ მომენტიდან 2 თვის შემდეგ იგი მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირებასაც შეძლებს. მეოთხე, შეცვლილი კანონით დაცვა მამხილებელთა ნათესავებზედაც გავრცელდა. და ბოლოს, კანონით მამხილებელთა სურვილის შემთხვევაში მათი ანონიმურობა უზრუნველყოფილია.¹⁸ მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ არც მთავრობას და არც თავად მამხილებლებს ეს დებულებები პრაქტიკაში არასდროს გამოუყენებიათ.¹⁹

ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოში მამხილებელთა დაცვის გაუმჯობესებული სტანდარტები პოზიტიურად შეაფასეს და მთავრობას შემდგომი რეფორმისთვის რეკომენდაციები შესთავაზეს. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სხვა საკითხებთან ერთად, შემდეგი თემები გამოკვეთეს: მამხილებელთა დაცვის შესახებ ცალკე კანონის პროექტის მიღების საჭიროება; კანონის კერძო კონტრაქტორებსა და, ზოგადად, კერძო სექტორზე გავრცელება; მამხილებლების მიერ ინფორმაციის გაცემის შემდეგ მათ მიმართ მუქარის ან შურისძიების საფრთხის შემთხვევაში მათთვის ადეკვატური კომპენსაციის მიცემა; მამხილებლებისთვის იმის საშუალების მიცემა, რომ მათ მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინფორმირება შეზღუდვების (კერძოდ, ორთვიანი „სიჩუმის პერიოდის“ დაცვის) გარეშე მოახდინონ.²⁰

2015 წლის ივლისში პარლამენტის მიერ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილება ნეგატიურად შეფასდა. ამ ცვლილებით მთავრობამ გაათავართოვა იმ ნორმატიული აქტების სია, რომლებიც განისაზღვრა, როგორც საიდუმლო ინფორმაციის შემცველი, ასევე კიდევ უფრო შეზღუდა საზოგადოებისთვის საიდუმლო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ამ ინფორმაციის გახსნის შესაძლებლობა.²¹ წამყვან არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა ამასთან დაკავშირებით საკუთარი კრიტიკული განცხადება გამოაქვეყნა და შემდეგი ძირითადი გამოწვევები გამოკვეთა: პირველ რიგში, შეცვლილი კანონი არ განსაზღვრავს საჯარო ინტერესის ტესტს, რომლის მიხედვითაც საზოგადოებისთვის მაღალი ღირებულების მქონე ინფორმაცია საჯარო უნდა გახდეს. მეორე, იგი ნათლად არ განმარტავს იმ ზიანს, რომელიც საიდუმლო ინფორმაციის გასაჯაროების შედეგად შეიძლება სახელმწიფოს მიაღგეს. მესამე, კანონი სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ძირითად ფუნქციას ანიჭებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს 2015 წლის ივლისში გამოეყო და უსაფრთხოებისა და დაზვერვის საკითხებზეა ორიენტირებული.²² არასამთავრობო ორგანიზაციების აზრით, ამ ინსტიტუციური ცვლილების მიუხედავად, კვლავ პრობლემაა ის, რომ ახალშექმნილმა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა შეიძლება სუსტი გარე კონტროლისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვის მოტივით თავისი ახალი ფუნქცია ბოროტად გამოიყენოს და ისეთი პერსონალური ინფორმაცია მოიპოვოს, რომლის მისაღებად ამისთვის აუცილებელი სასამართლო ნებართვა არ ექნება.²³ და ბოლოს, კანონი არ ქმნის დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოს ან მამხილებელთა დაცვის გარანტიებს.²⁴

დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტები

დაინტერესებული მხარეების ძირითადი პრიორიტეტები კვლავ გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა და საჯარო ინფორმაციის უფრო ხელმისაწვდომი გზით გამოქვეყნებაა. შესაბამისად, მათი აზრით, ელექტრონული პეტიციების ახალი პორტალი, Ichange.gov.ge, და საჯარო მომსახურებაზე უკუკავშირის მექანიზმი, „მომხმარებლის ხმა“, ყველაზე მნიშვნელოვანი ინიციატივებია, რომლებმაც შეიძლება ტრანსფორმაციული გავლენა მოახდინოს მოქალაქეთა ცხოვრებაზე. ამიტომ Ichange.gov.ge-ს სწრაფად ამოქმედება და ამის შესახებ ინფორმაციის მოქალაქეთათვის მთელი ქვეყნის მასშტაბით მიწოდება

მთავრობის მომავალი საქმიანობის ძირითადი ორიენტირი უნდა იყოს, რადგან ეს საუკეთესო მექანიზმია გადანყვეტილების მიღებაში საზოგადოების ჩასართავად. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეების აზრით, მთავრობამ ღია მონაცემებთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულებაში პროგრესს data.gov.ge-ზე მეტი მონაცემის (განსაკუთრებით დანაშაულის სტატისტიკის, საჯარო მოხელეების ხელფასებისა და ბონუსების შესახებ ინფორმაციის და სახელმწიფო ბიუჯეტის დეტალური მონაცემების) გამოქვეყნებით უნდა მიაღწიოს.

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში ეროვნულ დონეზე მოქმედი ყველა ძირითადი საჯარო უწყება მეტ-ნაკლებად მონაწილეობს OGP-ში, დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ ამ პროცესში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიც უნდა ჩაერთონ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ადგილობრივ დონეზე არსებულ ყველა აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოს პირდაპირი წესით ხალხი ირჩევს. შესაბამისად, შემდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში ამ ორგანოებმაც უნდა აიღონ ვალდებულებები ინფორმაციის (განსაკუთრებით საჯარო სამსახურში მიღების პროცედურების შესახებ ინფორმაციის) ნაკლებობის და მოქალაქეთა დაბალი ჩართულობის პრობლემების გადასაჭრელად.

დაინტერესებული მხარეები ასევე ფიქრობენ, რომ საჯარო სექტორში კეთილსინდისიერების ამალღებისთვის საქართველომ შემდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში მამხილებელთა დაცვის ნათელი და პრაქტიკული მექანიზმების შექმნის ვალდებულება უნდა აიღოს. ეს როგორც მამხილებლებს, ისე მთავრობას უფრო მეტ სტიმულს მისცემს, რომ პრაქტიკაში გამოიყენონ „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად უმოქმედო დებულებები და კორუფციის ისეთი შემთხვევები გამოავლინონ, რომელთა გამოვლენაც განსაკუთრებით რთულია.

და ბოლოს, დაინტერესებული მხარეების აზრით, შემდეგი ეროვნული სამოქმედო გეგმა არსებულ თემებს უნდა გასცდეს და უნდა მოიცვას საკითხების უფრო ფართო სპექტრი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვან სხვა სფეროებში (კერძოდ, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების, ენერჯეტიკისა და კულტურის სფეროებში).

სამოქმედო გეგმის მიმართება ეროვნულ კონტექსტთან

საქართველოს 2014–2015 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა წინა ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან შედარებით გაუმჯობესებულია მასში უფრო მეტი OGP-ის შესაბამისი ვალდებულებისა და მათი შესრულების პროგრესის შეფასების ინდიკატორების მეშვეობით. OGP-ის კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ღია მონაცემებთან და მთავრობის მიერ გადანყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმებთან დაკავშირებული ვალდებულებები. თუმცა ვალდებულებების ორ მესამედზე მეტი საჯარო მომსახურების მიწოდებასა და მთავრობის შიდა სისტემებზე ორიენტირებული, რასაც არ აქვს კავშირი OGP-ის ღირებულებებთან, კერძოდ, გამჭვირვალობასთან, ანგარიშვალდებულებასა და მოქალაქეთა ჩართულობასთან. მთავრობამ ასეთი ვალდებულებების შემდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეტანისგან თავი უნდა შეიკავოს და, ამის ნაცვლად,

აქცენტი მთავრობასა და მოქალაქეთა შორის თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციასა და საჯარო მოხელეების კეთილსინდისიერებაზე უნდა გააკეთოს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე, სადაც მთავრობის პოლიტიკა უფრო პირდაპირ გავლენას ახდენს მოქალაქეთა ცხოვრებაზე და სადაც საჯარო ანგარიშვალდებულების მექანიზმები სუსტია ან საერთოდ არ არსებობს.

ამავე დროს, სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ სამართალდამცავ ორგანოებს შეეზღუდოთ ფარული მიყურადების შესაძლებლობა, მთავრობამ ამ სფეროზე უფრო ძლიერი, დამოუკიდებელი ზედამხედველობა უნდა განახორციელოს. დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტების მიხედვით, მთავრობამ OGP უნდა გაავრცელოს ასევე სხვა სფეროებზე (მათ შორის, ენერჯეტიკის, ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროებზე). ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ 2014 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტში, საყდრისში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ძეგლზე ოქროს მოპოვების ოპერაციის განხორციელების (რამაც ამ ძეგლს დიდი ზიანი მიაყენა) ნებართვის გაცემის თაობაზე მთავრობის მიერ თვითნებური გადაწყვეტილების მიღებამ საზოგადოების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.²⁵ , ²⁶ საზოგადოებრივი უკმაყოფილება მოჰყვა ასევე მთავრობის გეგმას, რომელიც საქართველოს მთიან რეგიონში, სვანეთში, ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის აშენებას ითვალისწინებს. სამოქალაქო საზოგადოება და, განსაკუთრებით, ადგილობრივი თემი კრიტიკულად იყვნენ განწყობილი, რადგან აღნიშნული ჰესის მშენებლობის შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლება უნდა მომხდარიყო, ამასთანავე, ეს ჰესი უარყოფით გავლენას მოახდენდა ადგილობრივ კლიმატსა და კულტურულ ძეგლებზე. საზოგადოებრივი უკმაყოფილება გამოიწვია იმანაც, რომ ჰესის მშენებლობის პროექტის შესახებ (მათ შორის, პროექტის განმახორციელებელი კომპანიის შერჩევის კრიტერიუმების და პროექტის პოტენციური სარგებლის თაობაზე) ინფორმაცია მწირი იყო.²⁷

ეს ორი შემთხვევა მოწმობს, რომ მთავრობამ OGP იმისთვის უნდა გამოიყენოს, რომ ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სფეროებში საკუთარ მოქმედებებს მეტი ნათელი მოჰფინოს. ეს, თავის მხრივ, აღმოფხვრის მიღებული გადაწყვეტილებების ბუნდოვანებითა და თვითნებურობით გამოწვეულ საზოგადოებრივ უკმაყოფილებას.

VII. ზოგადი რეკომენდაციები

OGP-ზე ახალი სტრატეგიული ხედვა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაინტერესებული მხარეების OGP-ში ჩართულობის დონე ახლა უფრო მაღალია, რიგით მოქალაქეებს მთავრობის მიერ აღებული ვალდებულებების შესახებ კვლავ მწირი ინფორმაცია აქვთ და, შესაბამისად, ამ ვალდებულებებს ნაკლებად ითავისებენ. OGP-ის პროცესს ისევ ძირითადად დედაქალაქში, თბილისში, მოქმედ ორგანიზაციათა მცირე ჯგუფი წარმართავს, ხოლო ქვეყანაში გამართული მაღალი დონის საერთაშორისო კონფერენციები უფრო ელიტური ღონისძიებებია, ვიდრე მოქალაქეთა

დიალოგისთვის მონყობილი ფორუმები. ამის საპასუხოდ მთავრობამ OGP-ზე გრძელვადიანი სტრატეგია და პოლიტიკის ხედვა უნდა შეიმუშაოს. ვალდებულებების რაოდენობის გაზრდის ნაცვლად, აქცენტი იმაზე უნდა გაკეთდეს, რომ ეს ვალდებულებები OGP-ის ღირებულებებს შეესაბამებოდეს.

უფრო პრაქტიკული თვალსაზრისით, მთავრობამ მოქალაქეებთან კომუნიკაცია პროაქტიულად და მრავალი არხის მეშვეობით უნდა განახორციელოს და მათ მარტივი ენით უნდა აუხსნას, რა გავლენას ახდენს ღია მონაცემები და ეროვნული სამოქმედო გეგმის სხვა ვალდებულებები მათ ცხოვრებაზე. კერძოდ, მოქალაქეებისთვის იმის განმარტება, თუ როგორ იმუშავებს Ichange.gov.ge პრაქტიკაში, OGP-ის ხალხში პოპულარიზაციის კარგი საშუალებაა. ამავე დროს, არასამთავრობო და დონორმა ორგანიზაციებმა უნდა იმუშაონ იმისთვის, რომ გაიზარდოს ადგილობრივი ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტებისა და თემის ლიდერების შესაძლებლობა, OGP, როგორც პლატფორმა, მთავრობის პოლიტიკის უკეთესი ადვოკატირებისთვის და მონიტორინგის განსახორციელებლად გამოიყენონ.

ხელმძღვანელობის მდგრადი მონაწილეობა OGP-ში

იმისთვის, რომ OGP ეროვნული პრიორიტეტი გახდეს, მნიშვნელოვანია, რომ პრემიერ-მინისტრმა, როგორც უმაღლესმა აღმასრულებელმა ინსტიტუტმა, ამის შესახებ მკვეთრი განცხადება გააკეთოს. პრემიერ-მინისტრს შეუძლია სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში, პერიოდულ საერთაშორისო კონფერენციებსა და მრგვალ მაგიდებში მონაწილეობის გარდა, სხვა მაღალი თანამდებობის პირების მდგრადი პირდაპირი მონაწილეობაც უზრუნველყოს. შესაბამისად, ღია მმართველობა საქართველოს ფორუმში სამინისტროებს მხოლოდ მცირე რაოდენობის სააგენტოების შუა რგოლის მმართველები არ უნდა წარმოადგენდნენ. OGP-ის პროცესში სულ მცირე სხვადასხვა სექტორის მინისტრების მოადგილეებიც უნდა ჩაერთონ. იგივე ითქმის არასამთავრობო სექტორზე, რომელსაც ძირითადად გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციები წარმოადგენენ. სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც კონკრეტულ სექტორში მუშაობენ, ფორუმში წარმოდგენილი არ არიან. ფორუმის შეხვედრებისა და, ზოგადად, OGP-ისთვის ასევე სასარგებლო უნდა იყოს აკადემიური წრეების წარმომადგენელთა მონაწილეობა. მათი მოსაზრებები განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება საკითხების იდენტიფიცირებისათვის და მათი გადაწყვეტის გზების მოსაძებნად. ამასთანავე, მთავრობამ ბიზნესის წარმომადგენლებთან უნდა ჩაატაროს მეტი კონსულტაცია OGP-ის ზოგიერთ ვალდებულებაზე, რომლებიც შეიძლება მომხმარებლებისთვის კონკრეტული პროგრამის ან მობილური აპლიკაციის შექმნას გულისხმობდეს.

„ხალხისგან წამოსული“ უფრო მეტი ვალდებულება და ადგილობრივი სუბიექტების მონაწილეობა

ყველა დაინტერესებულმა მხარემ აღნიშნა, რომ მიმდინარე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ჩატარებული საჯარო კონსულტაციების მასშტაბის კუთხით მნიშვნელოვანი პროგრესი იქნა მიღწეული. მთავრობამ ეს პრაქტიკა უნდა გააგრძელოს და სამოქმედო გეგმაში უნდა შეიტანოს უფრო მეტი „ხალხისგან

წამოსული“ ვალდებულება, როგორცაა „მომხმარებლის ხმა“. ამასთანავე, ამ პროცესში მეტი არასამთავრობო ორგანიზაცია უნდა ჩაერთოს, ხოლო ვალდებულებები ხალხისთვის ადვილად გასაგები და მათ საჭიროებებზე მორგებული უნდა იყოს. კერძოდ, სასურველია, შემდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში არ იქნეს შეტანილი ვალდებულებები, რომლებიც შიდა სამთავრობო პროცესების გაუმჯობესებას ითვალისწინებს, მაგრამ ამ პროცესში მოქალაქეთა პირდაპირ ჩართულობას არ გულისხმობს.²⁸ მათ ნაცვლად, მთავრობამ ისეთი ვალდებულება უნდა აიღოს, რომლითაც იგი მოქალაქეებს უფრო პირდაპირ დაუკავშირდება და გაზრდის საჯარო მოხელეთა ანგარიშვალდებულებას, განსაკუთრებით ადგილობრივ დონეზე. ადგილობრივ ბიუჯეტზე კონსულტაციებისა და უკუკავშირის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნა, ადგილობრივ დონეზე საჯარო სამსახურში მიღების პროცესის გამჭვირვალობის გაზრდა, ადგილობრივი ხელისუფლების არჩეული თანამდებობის პირებისთვის სავალდებულო ეთიკის კოდების მიღება და მამხილებელთა დაცვის მყარი პრაქტიკული მექანიზმების შექმნა იმ ვალდებულებათა მცირე ჩამონათვალია, რომლებიც მთავრობას შეუძლია შემდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეიტანოს.

საქართველო OGP-ის მსოფლიო ლიდერად ყალიბდება, რისი დასტურიც 2015 წელს მის მიერ OGP-ის ორი მაღალი დონის კონფერენციის წარმატებით ჩატარებაა. გარდა ამისა, პარლამენტის მიერ ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის მიღებამ აჩვენა, რომ ქვეყანა OGP-ს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლების ვალდებულებების კონტექსტში არ უყურებს. ამ ტენდენციის შესანარჩუნებლად მთავრობამ OGP სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოსთვის ეროვნულ პრიორიტეტად უნდა აქციოს და იგი ადგილობრივ ხელისუფლებაზედაც უნდა გაავრცელოს.²⁹

ძირითადი „SMART“ რეკომენდაციები

2014 წლის დასაწყისში IRM-ის ყველა ანგარიში უნდა მოიცავდეს ხუთ ძირითად რეკომენდაციას OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავების მომდევნო ციკლთან დაკავშირებით. OGP-ს წევრი ქვეყნების მთავრობებმა ამ რეკომენდაციებს პასუხები თავიანთ ყოველწლიურ თვითშეფასების ანგარიშებში უნდა გასცენ.

ხუთი ძირითადი „SMART“ რეკომენდაცია
1. შემუშავდეს მთავრობის სტრატეგია და პოლიტიკის ხედვა OGP-ზე, რათა OGP გახდეს საქვეყნო პროექტი, რომელიც პირდაპირ გავლენას მოახდენს მოქალაქეთა ცხოვრებაზე.
2. ღია მმართველობა საქართველოს ფორუმში ჩართულ იქნენ მაღალი რანგის გადაწყვეტილების მიმღები პირები, რათა გაიზარდოს OGP-ის კონკრეტული ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი უწყებების ანგარიშვალდებულება.
3. შემდეგ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეტანილ იქნეს უფრო მეტი „ხალხისგან წამოსული“ ვალდებულება, რათა მოქალაქეებმა გაითავისონ ეს ვალდებულებები.
4. უზრუნველყოფილ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების,

როგორც OGP-ის სამომავლო ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი უწყებების, ჩართულობა, რათა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდეს, ხოლო ადგილობრივი თემები გაძლიერდნენ და მდგრადი განვითარების გზას დაადგინენ.

5. ყველა საჯარო უწყებას დაევალოს მონაცემების data.gov.ge-ზე გამოქვეყნება, რათა ეს პორტალი მთავრობის ღია, ავტომატური და განახლებადი მონაცემების მიღების ძირითადი წყარო გახდეს.

წყაროები

- ¹ ევროპის საბჭოს მონიტორინგის კომიტეტი, საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ანგარიში, 2013 წლის 28 იანვარი, http://assembly.coe.int/CommitteeDocs/2013/amondoc04rev_2013.pdf
- ² თავისუფლების სახლი, „ერები გარდამავალ პერიოდში – 2015 – საქართველო“, <http://bit.ly/1M04kVo>
- ³ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, მუხლი 125, პუნქტები 3, 4, <http://bit.ly/1MYJplr>
- ⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საქართველოს საარჩევნო სისტემის რეფორმა, განმარტებები“, 2011 წლის 7 ივნისი, <http://bit.ly/1P14zW7>
- ⁵ Civil.ge, „რვა ოპოზიციური პარტია ხელისუფლებას საარჩევნო რეფორმაზე მოლაპარაკებების დაწყებას სთავაზობს“, 2010 წლის 4 ოქტომბერი, <http://bit.ly/1kXKDa7>
- ⁶ ISFED, „რეკომენდაციები საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებით“, 2015 წლის იანვარი, <http://bit.ly/1kXMIz5>
- ⁷ OpeningParliament.org, <http://bit.ly/1BkoTf9>
- ⁸ IDFI, „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა დამტკიცდა ინტერ-ფრაქციული ჯგუფის მიერ“, 2015 წლის 13 ივლისი, <http://bit.ly/1I06XrP>
- ⁹ საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა (2015-2016), <http://bit.ly/1P2blr7>
- ¹⁰ IDFI, „თბილისში გლობალური საკანონმდებლო ღიაობის კვირეულის ფარგლებში საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა“, 2015 წლის 16 სექტემბერი, <http://bit.ly/1QKLuFk>
- ¹¹ IDFI, „ღია მმართველობის პარტნიორობის რეგიონული შეხვედრა საქართველოში წარმატებით დასრულდა“, 2015 წლის 4 ივნისი, <http://bit.ly/1APHWOF>
- ¹² საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, თავები IV და V, <http://bit.ly/1KkzmZB>
- ¹³ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, თავი XI, <http://bit.ly/1KkzmZB>
- ¹⁴ Civil.ge, „ბაქრაძე პარტიების შესახებ კანონში შესაძლო ცვლილებებზე“, 2012 წლის 6 მარტი, <http://bit.ly/1UZAwfM>
- ¹⁵ Civil.ge, „სამოქალაქო კამპანია ‘უკონტროლო ფარული მიყურადების’ შეზღუდვის მიზნით“, 2014 წლის 6 მარტი, <http://civil.ge/eng/article.php?id=27013>
- ¹⁶ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 3, ნაწილი 31; მუხლი 143, ნაწილები 3, 5, <http://bit.ly/1EkbaXZ>
- ¹⁷ Civil.ge, „აქტივისტები მოსმენების შესახებ სადავო რეგულაციების წინააღმდეგ კამპანიას აგრძელებენ“, 2014 წლის 19 დეკემბერი, <http://bit.ly/1P7waSi>
- ¹⁸ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“, თავი V, მუხლი 20, <http://bit.ly/1Lo3Pbg>
- ¹⁹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „მამხილებელთა დაცვა: საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები საქართველოსთვის“, 2015 წლის ივლისი, გვ. 13, <http://bit.ly/1W9MvKi>
- ²⁰ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „მამხილებელთა დაცვა: საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები საქართველოსთვის“, გვ. 12

²¹ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ ახალი კანონი – ინფორმაციის დაუსაბუთებელი შეზღუდვის საფრთხე“, 2015 წლის 3 თებერვალი, <http://bit.ly/1F6oQ9h>

²² Civil.ge, „შსს-ის გაყოფის თაობაზე საკანონმდებლო ცვლილებები მიღებულია“, 2015 წლის 8 ივლისი, <http://bit.ly/1mNaQt1>

²³ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმის შეფასება“, 2015 წლის 9 ივლისი, <http://bit.ly/1Punc4s>

²⁴ „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა საქართველოს პარლამენტს „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის პროექტთან დაკავშირებით“, 2015 წლის 4 თებერვალი, <http://bit.ly/1NBkfwW>

²⁵ Civil.ge, „პროტესტი RMG-ის მიერ საყდრისში ოქროს მოპოვების დაწყების გამო“, 2014 წლის 15 დეკემბერი, <http://bit.ly/1iPUNca>

²⁶ BBC, „საქართველოს ოქროს მოპოვების დილემა“, 2014 წლის 29 მაისი, <http://bbc.in/1pmnei8>

²⁷ CEE Bankwatch Network, „ხუდონის ჰიდროელექტროსადგური, საქართველო“, <http://bit.ly/1FzNpeT>

²⁸ სთონჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

²⁹ სთონჰილი, ინტერვიუ, 2015 წლის 3 აგვისტო

VIII. მეთოდოლოგია და წყაროები

IRM-ის ანგარიშს, მთავრობის თვითშეფასების ანგარიშის დამატების სახით, მმართველობის სფეროს ავტორიტეტული მკვლევრები ამზადებენ. სასურველია, ისინი OGP-ის წვერი ყველა ქვეყნიდან იყვნენ წარმოდგენილი.

ეს ექსპერტები OGP-ისთვის იყენებენ საერთო დამოუკიდებელი ანგარიშის კითხვარსა და პრინციპებს,¹ რომლებიც OGP-ის ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებთან ჩატარებული გასაუბრებისა და მეორეული (სამაგიდო) ანალიზის საფუძველზე დგება. შემდეგ კოლეგიური შეფასების მისაღებად ხდება ამ ანგარიშის საერთაშორისო ექსპერტთა (რომლებსაც OGP-ის მართვის კომიტეტი ნიშნავს) მცირერიცხოვანი ჯგუფისთვის გაცნობა, რათა დადასტურდეს, რომ კვლევა უმაღლესი სტანდარტებისა და სათანადო და ამომწურავი ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობდა.

OGP-ის სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი ინტერვიუების, მეორეული კვლევისა და დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრების უკუკავშირის მასალებს აერთიანებს. IRM-ის ანგარიში მთავრობის თვითშეფასების ანგარიშის და სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციათა წარმომადგენლების მიერ გაკეთებული ნებისმიერი სხვა შეფასების დასკვნებს ეფუძნება.

თითოეული ადგილობრივი მკვლევარი მოვლენების ამსახველი ზუსტი სურათის შესაქმნელად დაინტერესებულ მხარეებს ხვდება. საბიუჯეტო და კალენდარული შეზღუდვების გათვალისწინებით, IRM ყველა დაინტერესებულ ან OGP-ში მონაწილე მხარეს ვერ დაუკავშირდება. შესაბამისად, IRM-ისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მეთოდოლოგიური გამჭვირვალობა. ამიტომ შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფილია საჯარო პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მაქსიმალური საჯაროობა (ქვემოთ ამ საკითხს დეტალურად განვიხილავთ). იქ, სადაც, ქვეყნის ფარგლებში, ინფორმაცია (სამთავრობო უწყებების თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა) ანონიმურობის დაცვაა საჭირო, IRM მათ ანონიმურობას უზრუნველყოფს. გარდა ამისა, მეთოდის შეზღუდვებიდან გამომდინარე, IRM აქცენტს ყველა სახელმწიფო დოკუმენტის პროექტზე საზოგადოებრივი კომენტარების წარმოდგენის ხელშეწყობაზე აკეთებს.

ინტერვიუები და ფოკუსჯგუფები

თითოეულმა ადგილობრივმა მკვლევარმა ინფორმაციის შესაგროვებლად ერთი საჯარო შეხვედრა მაინც უნდა გამართოს. ის უნდა შეეცადოს, რომ ამ შეხვედრაზე ისეთი დაინტერესებული მხარეები მოიწვიოს, რომლებიც აქტიურად არ არიან ჩართული OGP-ის პროცესში. დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების უფრო ეფექტიანი გზით მისაღებად შეიძლება დამატებითი საშუალებები (კერძოდ, ონლაინკითხვარი, წერილობითი პასუხები, დამატებითი ინტერვიუები) იქნეს გამოყენებული. გარდა ამისა, როდესაც ვალდებულებების შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მიღებაა საჭირო, მაგრამ ეს ინფორმაცია მთავრობის თვითშეფასების

ანგარიშში მოცემული არ არის და არც ონლაინსივრცეშია ხელმისაწვდომი, მკვლევრები პასუხისმგებელ უწყებებთან ცალკე ინტერვიუს ატარებენ.

საქართველოში IRM-ის მკვლევარმა ინტერვიუები სულ 52 დაინტერესებულ მხარესთან ჩაატარა. მათ შორის იყვნენ ეროვნულ სამოქმედო გეგმაში შეტანილი ვალდებულებების შესრულებისთვის პასუხისმგებელი ყველა საჯარო უწყება, სხვა სუბიექტები (კერძოდ, სამოქალაქო საზოგადოების, მედიისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები) და პირდაპირი ბენეფიციარები. კონკრეტულად, 2015 წლის 14 ივლისიდან 2 ოქტომბრამდე პერიოდში IRM-ის მკვლევარმა პერსონალური შეხვედრები გამართა და სატელეფონო ზარები განახორციელა 16 საჯარო უწყების 24 თანამდებობის პირთან, 13 სამოქალაქო საზოგადოებისა და დონორი ორგანიზაციის 21 წარმომადგენელთან და სპეციალური საჭიროებების მქონე ადამიანებისთვის გათვალისწინებული ვალდებულებების 2 პირდაპირ ბენეფიციართან.

გარდა ამისა, IRM-ის მკვლევარი ჟურნალისტების ფოკუსჯგუფს შეხვდა. ეს შეხვედრა 2015 წლის 28 ივლისს „ჯამპსტარტ ჯორჯიას“ ოფისში გაიმართა და მას სამი ჟურნალისტი დაესწრო, ხოლო კიდევ ორ ჟურნალისტთან სატელეფონო ინტერვიუები შედგა. ჟურნალისტები წარმოადგენდნენ სხვადასხვა მედიასაშუალებასა და ორგანიზაციას, რომლებიც მოქმედებენ როგორც დედაქალაქში, ისე რეგიონებში. მათ შორის იყვნენ „ინტერპრესნიუსი“, „კახეთის საინფორმაციო ცენტრი“, „ბათუმელები“, „Media Checker“ და „ჯამპსტარტ ჯორჯია“. შეხვედრაზე IRM-ის მკვლევარი ეროვნული სამოქმედო გეგმის ყველა ვალდებულებას შეეხო და მონაწილეებს მათზე მოსაზრებების გამოთქმა სთხოვა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კითხვებს იმის შესახებ, თუ რამდენად ხშირად იყენებენ ჟურნალისტები სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ახალ მექანიზმებს, რამდენად შეესაბამება ეს მექანიზმები OGP-ის ღირებულებებს და რა რეკომენდაციები აქვთ ჟურნალისტებს მათ გასაუმჯობესებლად.

ყველა გამოკითხული დაინტერესებული მხარე მონაწილეებული იყო და საკუთარ მოსაზრებებს ღიად გამოთქვამდა. ისინი IRM-ის ანგარიშში თავიანთი ვინაობის გამჟღავნებასაც დათანხმდნენ. ინტერვიუების შემდეგ ზოგიერთმა მათგანმა IRM-ის მკვლევარს ელექტრონული ფოსტით დამატებითი სასარგებლო მასალა გაუგზავნა.

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმის შესახებ

დამოუკიდებელი ანგარიშგების მექანიზმი (IRM) არის ის ძირითადი საშუალება, რომლითაც მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი ყოველწლიურად ადევნებენ თვალყურს, თუ როგორ შეიმუშავენ და ასრულებს მთავრობა OGP-ის სამოქმედო გეგმის ვალდებულებებს. საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფი კვლევის მეთოდოლოგიას შეიმუშავენ და ანგარიშების ხარისხს აკონტროლებს. ეს ჯგუფი შედგება ექსპერტებისგან, რომლებიც გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის, ანგარიშვალდებულებისა და სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდების საკითხებზე მუშაობენ.

ამჟამად საერთაშორისო ექსპერტთა ჯგუფის წევრები არიან:

- ანურადჰა ჯოში
- დები ბუდლენდერი

- ერნესტო ველასკო-სანჩესი
- ხერარდო მუნკი
- ჰაზელ ფეიგენბლატი
- ჰილდე ჰინსბერგი
- ჯონათან ფოქსი
- ლილიან კორეა დე ოლივეირა კლაუსი
- როზმარი მაკგი
- იამინი აიარი.

ანგარიშებს მეთვალყურეობას უნევს ვაშინგტონში მოქმედი IRM-ის მცირერიცხოვანი შტატი IRM-ის პროცესისა და მკვლევართან მჭიდრო თანამშრომლობის მეშვეობით. ამ ანგარიშთან დაკავშირებით კითხვები და კომენტარები შეიძლება გაეგზავნოს აღნიშნულ შტატს შემდეგ მისამართზე: irm@opengovpartnership.org.

¹ კვლევის სრული მეთოდოლოგიის გასაცნობად იხილეთ IRM-ის პროცედურების სახელმძღვანელო შემდეგ მისამართზე: <http://www.opengovpartnership.org/about/about-irm>

IX. დასაშვებობის მოთხოვნები

2012 წლის სექტემბერში OGP-მ გადაწყვიტა, მისი წევრი ქვეყნების განვრცობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით, მათი მთავრობებისთვის ამბიციური ვალდებულებების ასაღებად ძლიერი ბიძგი მიეცა.

OGP-ის დახმარების განყოფილება OGP-ში განვრცობის კრიტერიუმებს ყოველწლიურად იხილავს. შესაბამისი ქულები ქვემოთ არის მოცემული. ¹ საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის მიერ კონკრეტული კრიტერიუმის კუთხით მიღწეული პროგრესი ან მისი რეგრესი ფასდება IRM-ის ანგარიშის თავში „ქვეყნის კონტექსტი“.

კრიტერიუმები	2011 წელი	ამჟამად	ცვლილება	განმარტება
ბიუჯეტის გამჭვირვალობა ²	4	4	=	4 = აღმასრულებელი ხელისუფლების ბიუჯეტის პროექტისა და აუდიტის დასკვნის გამოქვეყნება 2 = ერთ-ერთი ქვეყნდება 0 = არცერთი არ ქვეყნდება
ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ³	4	4	=	4 = ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონი 3 = ინფორმაციის ხელმისაწვდომობის საკონსტიტუციო დებულება 1 = ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონის პროექტი 0 = ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კანონი არ არსებობს
ქონებრივი დეკლარაციები ⁴	4	4	=	4 = ქონებრივი დეკლარაციების კანონი, მონაცემები საჯაროა 2 = ქონებრივი დეკლარაციების კანონი, მონაცემები საჯარო არ არის 0 = ქონებრივი დეკლარაციების კანონი არ არსებობს
მოქალაქეთა ჩართულობა (პირველადი ქულა)	3 (6.18) ⁵	3 (5.88) ⁶	=	„ეკონომისტის“ ანალიტიკური განყოფილების (EIU) მოქალაქეთა ჩართულობის ინდექსი, პირველადი ქულა: 1 > 0

				2 > 2.5 3 > 5 4 > 7.5
სულ / შესაძლო (პროცენტი)	15/16 (94%)	15/16 (94%)	=	განწევრებისთვის შესაძლო ქულების 75%

წყაროები

¹ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://www.opengovpartnership.org/how-it-works/eligibility-criteria>

² მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://internationalbudget.org/what-we-do/open-budget-survey/>;
უახლესი შეფასებისთვის იხილეთ: <http://www.obstracker.org/>

³ გამოყენებული ორი მონაცემთა ბაზა საკონსტიტუციო დებულებებს (<http://www.right2info.org/constitutional-protections>) და კანონებსა და კანონპროექტებს (<http://www.right2info.org/access-to-information-laws>) შეიცავს.

⁴ სიმონ ჯანკოვი, რაფაელ ლა პორტა, ფლორენციო ლოპეზ დე სილანესი, ანდრეი შლაიფერი, „პოლიტიკოსების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია“ (ტაკის ბიზნესის სკოლის სამუშაო კვლევა №2009–60), 2009, <http://bit.ly/19nDEfK>; ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, „ინფორმაციის ტიპები, რომლის გამოქვეყნებაც ევალებათ გადაწყვეტილების მიმღებთ, და გამჭვირვალობის დონე (2009)“ – „მთავრობა ერთი შეხედვით, 2009“, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია, საფრანგეთი, 2009, გვ. 132, <http://bit.ly/13vGtqS>; „მსოფლიო ბანკის კლიენტი ქვეყნების შემოსავლები და ქონებრივი დეკლარაციები“ – რიჩარდ მესიკი, „შემოსავლები და ქონებრივი დეკლარაციები: მათი კორუფციაზე გავლენის გლობალური გამოცდილება“, <http://bit.ly/1cIokyf>; უფრო ახალი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://publicofficialsfinancialdisclosure.worldbank.org>. 2014 წელს OGP-ის მართვის კომიტეტმა ქონებრივი დეკლარაციების საზომი ინდიკატორების ცვლილება დაამტკიცა. ამ დეკლარაციების კანონის არსებობამ და საზოგადოების ფაქტობრივმა ხელმისაწვდომობამ შეცვალა ძველი ინდიკატორები, რომლებიც პოლიტიკოსებისა და მაღალი თანამდებობის პირების მიერ ქონების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას გულისხმობდა. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: <http://bit.ly/1EjL4Y>

⁵ „ეკონომისტის“ ანალიტიკური განყოფილება, „2010 წლის დემოკრატიის ინდექსი: დემოკრატია უკან იხევს“ („ეკონომისტი“, ლონდონი, 2010), <http://bit.ly/eLC1rE>

⁶ „ეკონომისტის“ ანალიტიკური განყოფილება, „2014 წლის დემოკრატიის ინდექსი: დემოკრატია და მასთან დაკავშირებული უკმაყოფილებანი“ („ეკონომისტი“, ლონდონი, 2014), <http://bit.ly/18kEzCt>